




# საქართველოს ბიბლიოთეკა

N4 (85) 2021



მცხეთის ბიბლიოთეკა - 130



საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ბიბლიოთეკა: სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი N4 (85) 2021; გამოიცემა 2000 წლიდან.

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: **sakartvelosbiblioteka@gmail.com**

მთავარი რედაქტორი:	<b>მაია მიქაბერიძე</b>
საპატიო რედაქტორი:	<b>ალექსანდრე ლორია</b>
სარედაქციო კოლეგია:	<b>გულნარა სტურუა რუსუდან ასათიანი დალი მაჩაიძე გიორგი ჩუბინიძე მირიან ხოსიტაშვილი</b>
ტექნიკური რედაქტორი:	<b>ლოლა სანაია</b>
დიზაინი:	<b>გიგი გელაშვილი</b>
დაკაბადონება:	<b>მაკა ნათაძე</b>

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

**ყდაზა: მცხეთის ხაღი. ფოტო ალექსანდრე როინაშვილისა**

ISSN 1512-0880  
[www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)  
[www.gela.org.ge](http://www.gela.org.ge)

©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია



[www.fb.com/magazineLibraryofGeorgia](https://www.facebook.com/magazineLibraryofGeorgia)



შინაარსი

**რუსუდან ასათიანი**  
მიმართვა



**მაია მიქაბერიძე**  
რედაქტორისაგან



*საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - ქუყნისა და სმუნეცებოლ აქციუს სმსსსსსსს*

**ლოლა სანაია**  
ეროვნული ბიბლიოთეკის საპატიო დაჯილდოება



**მაია მიქაბერიძე**  
კამპანია „პანდემია, მსოფლიო და ისტორია“



ქართული წიგნის კუთხე ლიეტუვის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში



ქართული სტენდი ბაქოს წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე



*ბიბლიოთეკის კოლექციონარია*

**ია ვაკუა**  
თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქია



*წიგნის ისტორია*

**დალი მაჩაიძე**  
იუბილარი წიგნი - „აიათი ანუ ქმნულები ცოდნის წიგნი“



**ნათია სიხარულიძე**  
გალაკტიონის პირველი წიგნი (გალაკტიონ ტაბიძე -130)



**ნინო ხვედელიძე**  
იოჰან ცაინერი



*საქართველოს ბიბლიოთეკები: რაიონების ისტორია და რეკონსტრუქცია*

**ნინო თათარაშვილი**  
მცხეთის ბიბლიოთეკა -130



**ხათუნა ბუზალაძე**  
გურჯაანის ღვინის ბიბლიოთეკა



ინფორმაციული წიგნიერება

**ენდრიუ უოლში**

„თამაშით სწავლის“ როლი ინფორმაციული წიგნიერების განვითარებაში/ინგლისურიდან თარგმნა ლია გიგაურმა

27

ილია – ანბანური სკოლა

**სამსონ ფირცხალავა**

„ილია უმადურობას ხედავდა გარშემო“

34

ჩუკურჩხია, მიხსილოვა, მთაბეჭდილობები

**გულნარა სტურუა**

ფიქრები დღევანდელობაზე და ხალიდ ჰოსეინის რომანი - „ფრანით მორბენალი“

36

ქაჩაყალი რბიჭაყალი

**მარიამ მარჯანიშვილი**

დღეგრძელობა ჩემი გენიდან მოდის

40

ლიხსეული მამყობისთვის: ქაჩილო ვაყქვახაძე

**რიტა ნაქაძე**

ტარიელ ფუტკარაძე და ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა

47

**ლუიზა საჭაპურიძე**

ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და მისი ბიბლიოთეკა

49

ბიბლიოლოგიის ხანაწილები

**ლევან თაქთაქიშვილი**

წიგნი ჩემი მონარქია (გაგრძელება)

52

სეოლენება

**დავით გიგინეიშვილი**

ქართველი შემსრულებელი დონიცეტის დავიწყებული ოპერის ჩანაწერში

60

**2022 წლის ღირსსახსოვარ დღეთა მცირე კალენდარი**

63





**რუსუდან ასათიანი**

საქართველოს საბიბლიოთეკო  
ასოციაციის პრეზიდენტი

მოხარული ვარ, რომ მძიმე პანდემიური სიტუაციის მიუხედავად ჩვენი სარედაქციო ჯგუფი მაინც ახერხებს ჟურნალზე მუშაობის გაგრძელებას. აღსანიშნავია, რომ 2000 წლიდან მოყოლებული ჩვენი ჟურნალის გამოცემა არ შეწყვეტილა, მიუხედავად არსებული სირთულეებისა. ჟურნალის მთავარი რედაქტორის, ალექსანდრე ლორიასა და მისი გუნდის დამსახურებით ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი ჟურნალის ყოველი ნომერი გამოდიოდა თავის დროზე, რითაც ერთეული პერიოდული გამოცემა თუ დაიკვეხნის.

წინამდებარე ნომრის გამოცემაც პანდემიის პიკს დაემთხვა და შესაბამისად, ბიბლიოთეკებსაც უწევთ, მოერგონ არსებულ რეგულაციებს და არ შეაჩერონ მუშაობა, რაც მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული.

ვფიქრობთ, ბიბლიოთეკებს პანდემიის დროს განსაკუთრებულად უნდა ჰქონდეთ მორგებული განმანათლებლის როლი. ძალიან ბევრი მოქალაქე ვაქცინაციის წინააღმდეგია სხვადასხვა მიზეზის გამო, არადა ვაქცინაცია ერთადერთი გზაა ამ ვერაგი ვირუსის შესაჩერებლად. ბიბლიოთეკების წვლილი სამოქალაქო განათლებაში საკვანძო მნიშვნელობისაა, რაც დღევანდელი მსოფლიოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნე-

*ძვირფასე მკითხველო!*

ლოვანია, როდესაც ყოველდღიურად ათეულობით ადამიანი იღუპება კორონავირუსის მიზეზით.

ბიბლიოთეკებმა ყოველდღიურად უნდა მიანოდონ მოსახლეობას ინფორმაცია ვაქცინაციის აუცილებლობის შესახებ, ვინაიდან ბევრმა არ იცის, თუ რა საფრთხის შემცველია დღეს ვაქცინაციის წინააღმდეგ წასვლა და აუცრელობა. ჩვენ, ჩვენს მომხმარებლებთან ერთად უნდა დავამარცხოთ პანდემია და განვაგრძოთ უსაფრთხო და ჯანმრთელი ცხოვრება. ბიბლიოთეკას შეუძლია, აღმოეხვრას ის ბარიერი, რომელსაც ვირუსი უქმნის შეუზღუდავ განათლებას, განვითარებას და აქედან გამომდინარე, კაცობრიობის კეთილდღეობას, რაც პირდაპირ განათლებაზეა დამოკიდებული.

ჩვენს წინამდებარე ნომერში მრავალი საინტერესო ინფორმაციაა წარმოდგენილი, რომლებიც იმედი მაქვს, ახალ იდეებს და წინსვლის სურვილს გაულრმავებს ჩვენს ბიბლიოთეკებს. თუმცა ასეთი ტიპის ინფორმაციებსაც კი აზრი დაეკარგება, თუ არ მოვუფრთხილებით საკუთარ და ერთმანეთის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

ვიმედოვნებ, ჩვენი ქვეყანა დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად მალე შეძლებს პანდემიის დამარცხებას და ჩვენც გავაგრძელებთ მშვიდ, ჯანმრთელ და უსაფრთხო ცხოვრებას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და თავისუფალ, ხალისიან საქმიანობაში ცხოვრებას.



# ჩუბაქოხილავან!



**მაია მიქაბერიძე**

როგორც ცნობილია, იუნესკოს ინიციატივით, ყოველწლიურად მსოფლიოს ერთ-ერთი ქალაქი მსოფლიოს წიგნის დედაქალაქი ხდება. წელს, 23 აპრილიდან ერთი

წლის განმავლობაში წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი თბილისს მიენიჭა. ძალიან სასიამოვნო ფაქტია და უფრო მეტად კი - საპასუხისმგებლო და დამაფიქრებელიც.

მაინც რატომ თბილისი? განა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ნაკლებად უყვართ წიგნი?! ნაკლებად არიან წიგნიერი ადამიანები?! არა, რა თქმა უნდა! საქართველოს დედაქალაქის ასეთი დაფასება, უპირველესად, ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი წიგნიერი კულტურის აღიარებაა, ასევე, პატივისცემის გამოხატვაა მისი მისწრაფებისადმი, ჩადგეს მსოფლიოს ცივილიზებული ნაწილის ფერხულში და სტიმულიცაა, რომ კულტურული წარსულის ხიბლმა არ მოგვადუნოს და ყველა მიღებული ფორმით განვაგრძოთ კულტურული განვითარების პროცესი.

აი, აქ კი ბიბლიოთეკას თავისი განსაკუთრებული სიტყვის თქმა შეუძლია. ბიბლიოთეკას აქვს მძლავრი ბერკეტები, რომ განათლებისა და კულტურის სხვა ინსტიტუციების მხარდამხარ, იზრუნოს წიგნიერების განვითარებაზე. ბიბლიოთეკა მხოლოდ წიგნების რეკლამირებისა და მიწოდების სერვისით არ უნდა შემოიფარგლოს. ბიბლიოთეკას თვითონ შეუძლია, შექმნას კულტურული

პროდუქტი და მიაწოდოს საზოგადოებას, მით უფრო, რომ დღეს, განსხვავებით თუნდაც გასული საუკუნის 70-წლიანი მონაკვეთისა, როცა ბიბლიოთეკებს კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდის ვალდებულება ზღუდავდა, ბიბლიოთეკა თავისუფალია არჩევანსა და მოქმედებებში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აქტიურად არის ჩართული ამ პროექტში, რომელშიც მის გარდა მონაწილეობენ თბილისის მერიის „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“, მწერალთა სახლი, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, ლიტერატურის მუზეუმი და სხვა ის ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობადაკავშირებულია წიგნთან, ლიტერატურასთან, ზოგადად - განათლებასთან.

ჩვენი ჟურნალის წინამდებარე მე-4 ნომერში მკითხველი გაეცნობა მასალებს „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ გეგმებისა და მასში ეროვნული ბიბლიოთეკის მონაწილეობის შესახებ.

სხვა, ასევე საინტერესო თემების გვერდით, მე-4 ნომერი ამჯერად გაგაცნობთ მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკის 130 - წლიან ისტორიას, ბიბლიოთეკისა, რომელმაც რთული გზა გაიარა უბრალო სამკითხველოდან თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკად ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში. ვულოცავთ მცხეთის ბიბლიოთეკასა და საქმისადმი თავდადებად მის თანამშრომლებს იუბილესა და ვუსურვებთ მშვიდ, ჯანმრთელ და ბედნიერ გარემოში გაეგრძელებინოთ ბიბლიოთეკის ისტორია.

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული  
ბიბლიოთეკა - ქვეყნისა და საზოგადოების აქტიური სამსახურში**



**ლოლა სანია**

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობენ ადამიანები, რომელთა იდეები მუდამ თანამედროვეა და სახელმძღვანელოა სამყაროსა თუ ნებისმიერი ერისათვის. ისინი, თავიანთი განათლებით, აზროვნებითა და განსაკუთრებული ღვაწლით, სანთლად ენთებიან და გზას უნათებენ მომავალ თაობებს. საქართველოსთვის ასეთ პიროვნებათა შორის გამორჩეულია ილია ჭავჭავაძე, ერის მოჭირნახულე მწერალი და საზოგადო მოღვაწე. იგი ზუსტად ხვდებოდა სამშობლოს საჭიროებასა თუ სატკივარს, ახალგაზრდობიდანვე ეძიებდა და პოულობდა ქვეყნის წინსვლისათვის აუცილებელ გზებს. მას ადამიანისთვის ცოდნა და განათლება უმთავრესად მიაჩნდა და ძალისხმევას არ იშურებდა თანამემამულეთა დასარწმუნებლად, რომ ძალა ცოდნაშია, რომ უიმისოდ ყველაფერს მოკლებულია კაცი: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. ნაყოფიერი, სწორი გამოდგა ილიასეული გეზი. შემოკრებილ თანამოაზრებთან ერთად იგი ახორციელებდა დასახულ მიზნებს, ამიტომაც მუხანათურად ხელყვეს მისი სიცოცხლე ქვეყნის მტრებმა, მაგრამ ერმა უკვდავყო თავდადებული მამულიშვილის სიტყვა და საქმე. დღემდე არაერთი გონიერი შთამომავალი აფასებს და მიჰყვება მის იდეებს და მრავალი დაწესებულება თუ საზოგადოება აცოცხლებს დიდებული წინაპრის სახელს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაც ილია ჭავჭავაძის სახელობისაა, მისი განმანათლებლური იდეების

**ეროვნული ბიბლიოთეკის  
საპატიო დაჯილდოება**

*„მხოლოდ წმინდის უფროსი დასჯავს ყოველს იმს  
თავისი ეროვნება, თავისი მსახურება, თავისი ვინაობა.“*

ილია

და სულისკვეთების ერთგვარი გამგრძელებელი.

ამიტომაცაა ძალიან სასიხარულო და ლოგიკური, რომ - 2021 წლის 12 სექტემბერს „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდმა“, სარეკომენდაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საზოგადოების განვითარებისათვის განეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის „ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემიით“ დააჯილდოვა ეროვნული ბიბლიოთეკა. ეს საპატიო ჯილდო დასახელებულმა ფონდმა დაანესა 2017 წელს, ილიას 180-ე საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. ის მოიცავს მოქანდაკე გია ჯაფარიძის მიერ შექმნილ ილია ჭავჭავაძის სულპტურას და ოფიციალურ დოკუმენტს - დიპლომს. პრემია ყოველწლიურია, გაიცემა 12 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს „ეროვნული იმპერატივის“ ყოველწლიური პროექტის „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“ ფარგლებში. ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აღნიშნული პრემიის მეხუთე მფლობელია. მანამდე დაჯილდოვდნენ: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II - 2017 წელს; მწერალი როსტომ ჩხეიძე - 2018 წელს; „საბ-



ილია ჭავჭავაძე.  
მოქანდაკე - გია ჯაფარიძე



ქოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“ - 2019 წელს; ილიკო და ნინო სუხიშვილები - 2020 წელს. დაჯილდოების ცერემონიას დაესწრო და სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილმა. მან განაცხადა: „ეს ჯილდოთა მიერ დანიშნული ბიბლიოთეკის ყოველი წევრის საკუთრებაა და დამატებითი სტიმული იქნება, მეტი იმუშაონ საზოგადოების ინტერესებისათვის, განათლებასა და კითხვადობაზე მეტი ხელმისაწვდომობისათვის; ილიას სახელობის ჯილდოს მიღება სიხარულის გარდა დიდი პასუხისმგებლობაცაა; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა ელექტრონული ენციკლოპედია და ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ

შექმნილი სხვა საბიბლიოთეკო რესურსები ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მემკვიდრეობის უწყვეტობას ემსახურებიან.“ მართლაც, ძალზედ საპატიო, სამაყო და საპასუხისმგებლოა „ილია ჭავჭავაძის ეროვნული პრემია“ ეროვნული ბიბლიოთეკის თითოეული თანამშრომლისთვის. ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ხომ თვითონაც იმ წარსულად იქცა, რომლის ცოდნითაც უნდა დაიცვას ქართველმა „თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა“. მადლიერებასთან ერთად, ეს ჯილდო გვაკლდებულებს, უფრო მეტი მიზანსწრაფულობითა და შემართებით გავაგრძელოთ ილიასული გზა - განათლებულობის ხელშეწყობა ქვეყნის სასიკეთოდ.





**მაია მიქაბერიძე**

# კამპანია „პანდემია, მსოფლიო და ისტორია“

თანამედროვე მსოფლიო უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა COVID - პანდემიამ. არათუ ღარიბი, განვითარებული ქვეყნებიც კი, ფაქტობრივად, მოუზადებლები აღმოჩნდნენ

მოფენა, ეროვნული ბიბლიოთეკის გარდა, საქართველოს ათ რეგიონში გაიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილმა საზოგადოებას გააცნო პროექტის მიზანი. მისი თქმით, საჭიროა საზოგადოებამ უკეთ დაინახოს პანდემიით გამოწვეული პრობლემის არსი და გააცნობიეროს, რომ COVID-19-ის პანდემიის დასრულების ერთ-ერთი მთავარი იარაღი სწორედ მისი საწინააღმდეგო ვაქცინაა.

ასეთ ვითარებაში, რამაც შეინირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე, განადგურების პირას მიიყვანა ეკონომიკა და, ლამის, მასობრივ ფსიქოზის მდგომარეობაში ჩააყენა მსოფლიოს მოსახლეობა. ამ ეტაპზე, ჯერჯერობით ვირუსის მოქმედების ერთადერთი შემარბილებელი საშუალება ვაქცინაციაა. თუმცა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ერთი მხრივ, გაუგებარი ძალების მიერ ორგანიზებული ანტივაქსერული კამპანიისა და, მეორე მხრივ, ინფორმაციის ნაკლებობის გამო, აცრისაგან თავს იკავებს. ასეთ ვითარებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუციების ჩართვას საზოგადოების ამ მიმართულებით განათლების საქმეში.

„პანდემია არ არის ახალი მოვლენა მსოფლიოსთვის. საუკუნეების მანძილზე არაერთი პანდემია იყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით ხშირად კი – ევროპაში. გამოფენა ზუსტად ამ პრინციპით ავანყვეთ: დაწყებული რომის იმპერიით, რომელსაც შავი ჭირი მოედო, გაგრძელებული საქართველოთი, მათ შორის, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის პერიოდით. ამ ეპოქის ისტორიული დოკუმენტები და ხელნაწერები არსებობს, სადაც სწორედ პანდემიას და არსებულ მძიმე მდგომარეობას აღწერენ. შუა საუკუნეებში არაერთხელ აფეთქებულა ევროპაში და, მათ შორის, საქართველოში შავი ჭირის ეპიდემია, შემდგომ – ქოლერა. სწორედ შავი ჭირი დაემთხვა ერეკლე II-ის პერიოდს. თავად ერეკლე რომ გარდაიცვალა, 40 დღის განმავლობაში ვერ დაკრძალეს. მეორმოცე დღეს ჩამოასვენეს თელავიდან სვეტიცხოველში. იმის გამო,

სწორედ ამ მიზანს ემსახურება კამპანია „პანდემია, ისტორია და მსოფლიო“, რომელიც 22 ოქტომბერს გაიხსნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში. კამპანიის მიზანია პანდემიებისა და პანდემიებთან ბრძოლის მსოფლიო ისტორიული გამოცდილების გაცნობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

კამპანიის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივითა და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მხარდაჭერით, მოძრავი გა-



**საქართველოს  
სამსახურში ვიცრებით  
ერთმანეთისთვის!**

**დასრულდა პანდემია!**






რომ შავი ქირი მძვინვარებდა, ერეკლე რამდენიმე ადამიანმა, პირადმა მოძღვარმა და პირადმა მცველმა შეასვენეს ტაძარში. ქირისუფლები არაგვის მეორე მხარეს იყვნენ.

ისტორიას უამრავი ისეთივე მძიმე შემთხვევა ახსოვს, როგორც დღეს გვაქვს. შავი ქირის გარდა, ჩვენთან პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მძვინვარებდა ესპანური გრიპი, ე.წ. „ისპანკა“, შემდეგ - ტიფი, ყვავილი და სხვა არაერთი დაავადება, რომლებიც მთელ მსოფლიოში ცირკულირებდნენ. ბევრ შემთხვევაში ადამიანებმა იმუნიტეტი გამოიმუშავეს, თუმცა, პირველ რიგში, ამ დაავადებებთან ბრძოლის

ნესები შეიმუშავეს. ერთ-ერთი პირველი სწორედ ვაქცინაცია იყო ყვავილზე, ქოლერაზე და ა.შ. გვინდა, ამ გამოფენით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას ვაჩვენოთ ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება და მოვეწოდეთ ვაქცინაციის, დისტანციის დაცვის, პირბადის ტარებისა და ყველა იმ შეზღუდვის გათვალისწინებისკენ, რომლებიც COVID-19-ით გამოწვეული მძიმე შედეგებისგან დაგვიცავს. ვფიქრობ, ჩვენი ძალისხმევა არ იქნება ფუჭი და მოსახლეობას ამ ყველაფერს ისტორიული კუთხით დავანახებთ. ვაჩვენებთ, თუ როგორ გადარჩნენ ადამიანები ვაქცინის საშუალებით დაავადებებთან ბრძოლაში“ – აღნიშნა მირიან ხოსიტაშვილმა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო არა მარტო ისტორიული საარქივო მასალის ფოტოკოლაჟი და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, არამედ პანდემიის წინააღმდეგ საზოგადო მოღვაწეებისა და მედპერსონალის მიერ განხორციელებული ღონისძიებები. გამოფენის დამთვალიერებლებს საშუალება მიეცათ ასევე, ენახათ ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი მასალები.



# ქართული წიგნის კუთხე ლიეტუვის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში

14 ოქტომბერს ლიეტუვის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით, ოფიციალურად გაიხსნა ქართული წიგნის კუთხე. ეს გახლავთ იმ სასიკეთო ტრადიციის გაგრძელება, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძალისხმევით გააქტიურდა. რუსეთის იმპერიისა და ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლების ქართველი სტუდენტები ხშირად სთხოვდნენ თანამემამულეებს ქართული წიგნების მიწოდებას და ქმნიდნენ საზოგადოებას, შესაძლებლობის ფარგლებში, უწევდა მათ დახმარებას - უგზავნიდა ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ქართული ბიბლიოთეკების მოსაწყობად.

დღეს, 21-ე, რთულსა და ხიფათით სავსე საუკუნეში, ცხოვრებამ უხვად დაფანტა ჩვენი თანამემამულეები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ქართველ ემიგრანტებს, მცირე გამონაკლისის გარდა, არცთუ დალხინებული ცხოვრება აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა ქართული კულტურა მათთვის სულისა და, ზოგჯერ, სიცოცხლის გადარჩენის ერთ-ერთი მძლავრი სტიმულია.

ლიეტუვის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ქართული წიგნის კუთხის გახსნა ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ლიეტუვის წარმომადგენლებს შორის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. ლიეტუვისა და საქართველოს მეგობრობის საელჩოს პროექტების მენეჯერი ნინო ინასარიძე, მღელვარებით აღწერს იდეის გაჩენისა და შემდეგ მისი სისრულეში

მოყვანის ამბებს:

„ყველაფერი დაიწყო იანვარში, ერთი პატარა იდეით. ქართული წიგნები ლიეტუვაში გვჭირდება, თან ძალიან! მსურველების წრე დიდია: ქართული დიასპორა, ოჯახები პატარა ბავშვებით, სტუდენტები, ლიეტუვაში მომუშავე სამშობლოს მონატრებული ემიგრანტები, ლიეტუველები, რომლებიც სწავლობენ ქართულ ენას, ასევე ისინი, ვინც ენა არ იცის, მაგრამ ეძებს ქართულ ლიტერატურას ლიეტუვურად ან სხვა უცხო ენებზე. ამის შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი პროცესი: პროექტის წერა, ჟანრები, ავტორები, პარტნიორები, მეგობრები, ოჯახის წევრები, სიები, წიგნები, თბილისი — ეკვილიბრუმი, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ლიეტუვაში ქართული წიგნის კუთხე უკვე გახსნილია. ადგილი უნიკალური გვაქვს, ყველას მიუწვდება ხელი — ლიეტუვის ნაციონალური ბიბლიოთეკა. პირველი ეტაპი — 100 წიგნი და თანამშრომლობის ხელშეკრულება ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. ეს ამ დიდი ამბის უმოკლესი ვერსიაა. უღრმესი მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც გვერდში დაგვიდგა და დაგვეხმარა“. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აქტიურად მუშაობს ქართულ დიასპორებთან ამ მიმართულებით, რისი შედეგიცაა მის მიერ არაერთი ქართული ბიბლიოთეკებისა თუ წიგნის კუთხეების დაარსება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.



# ქართული სტენდი ბაქოს წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე

ქართულ ბეჭდურ წიგნს თითქმის 400-წლიანი ისტორია აქვს, რომელიც მასობრივი მოხმარების ბეჭდურ პროდუქციის პარალელურად მოიცავს ქართული კულტურისათვის უმნიშვნელოვანეს გამოცემებსაც. წიგნის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა ეს მთელი ხელოვნებაა და ასეთი წიგნები ქვეყნის საერთო კულტურული განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ამიტომაც, ასე აუცილებელი და სასარგებლოა წიგნის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა, რათა, ერთი მხრივ, საერთაშორისო საზოგადოებამ გაიცნოს ქართული ბეჭდური გამოცემები, მეორე მხრივ კი, ქართველმა გამომცემლებმა მიიღონ დამატებითი ინფორმაცია მსოფლიო პოლიგრაფიულ სფეროში გამოჩენილი ინოვაციების შესახებ.

6-10 ოქტომბერს ბაქოში გაიმართა წიგნის საერთაშორისო ფესტივალი, რომელზედაც წარმოდგენილი იყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მრავალფეროვანი სტენდი. ქართულმა მხარემ ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემებთან ერთად სხვადასხვა გამომცემლობის მიერ სპეციალურად ამ ფესტივალზე წარსადგენად გადმოცემული არაერთი საინტერესო წიგნი გამოფინა. წიგნები, ფესტივალის დასრულების შემდეგ, აზერბაიჯანის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა.

„ბაქოს წიგნის ფესტივალზე წარმოდგენილ ჩვენს სტენდზე გამოფენილია ბრწყინვალე გამოცემები, რომლებიც სხვადასხვა გამომცემლობამ და ორგანიზაციამ გადმოგვცა საერთაშორისო გამოფენებისთვის. მათ ამ ფესტივალის დასრულების შემდეგ აზერბაიჯანის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადავცემთ. დიდი მადლობა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქალბატონ რუსუდან შარაძეს, ქალბატონ ნინო ჯიშკარიანს, ბატონ ბუბა კუდავას ეროვნული ბიბლიოთეკის სტენდისთვის საუკეთესო გამოცემების გადმოცემისთვის. სტენდზე ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემებიც წარმოვადგინეთ“ -

განაცხადა ფესტივალის მონაწილემ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორმა ლევან თაქთაქიშვილმა.



ფოტოზე: **ლევან თაქთაქიშვილი** (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი), **პაველ კუზმინი** (რუსეთის მ.ი. რუდომინოს სახელობის უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი), **ქერიმ ტახიროვი** (აზერბაიჯანის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი)

## თბილისი – წიგნის დედაქალაქია



### ია ვეკუა

„თბილისის წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ პიარმენეჯერი

უკვე რამდენიმე თვეა, რაც, იუნესკოს გადამწყვეტილებით, თბილისის წიგნის მსოფლიო დედაქალაქია. 23 აპრილს, ეს სტატუსი ოფიციალურად გადმოვიბარეთ კუალა ლუმპურისგან, მომდევნო



წლის 23 აპრილამდე კი, წიგნთან დაკავშირებული უამრავი პროფესიული, საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურული, შემეცნებითი თუ გასართობი ღონისძიება დაგეგმილი. პროექტის მიზანია თბილისის მსოფლიოს ლიტერატურულ-საგამომცემლო რუკაზე უკეთესად პოზიციონირება, წიგნიერების, საგამომცემლო და საბიბლიოთეკო საქმის, ავტორების, მთარგმნელებისა და სხვა დაკავშირებული პროფესიების ხელშეწყობა.

ამ სტატუსის მისაღებად საჭირო განაცხადი და აპლიკაცია, თბილისის მერიის „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ“, თბილისის

# თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქია

მერიის დავალებით შეავსო. ერთ წელიწადზე განერილი პროგრამა იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მომზადდა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებიან წიგნის თემას, ლიტერატურულ პროცესს, საგამომცემლო საქმიანობას, განათლებასა და ა.შ. პროცესში, ასევე, ჩართული იყო არაერთი სახელმწიფო ორგანიზაცია, სამინისტროები და, ცხადია, თბილისის მერიის სხვადასხვა სამსახური. განაცხადის წარდგენიდან რამდენიმე თვეში, ცნობილი გახდა, რომ იუნესკომ ჩვენი პროექტი უმაღლესი ქულით შეაფასა, რასაც ორგანიზაციასა და თბილისის მერიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ოფიციალურად გაფორმება და უშუალოდ პროექტზე მუშაობის დაწყება მოჰყვა.

წიგნის მსოფლიო დედაქალაქის წოდების მოსაპოვებლად, ყოველწლიურად, ათობით ქალაქი იბრძვის, რადგან ამ პროექტის განხორციელება, არა მხოლოდ ქალაქისა და ქვეყნის პრესტიჟისა და ცნობადობის ამაღლებას ემსახურება, არამედ საზოგადოების განათლებისა და განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. თბილისს პირველივე მცდელობაზე გაუმართლა, რაც სწორად და საინტერესოდ შედგენილმა პროგრამამ განაპირობა.

პროექტში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საბავშვო და მოზარდებისთვის განკუთვნილ პროგრამებს: ასაკობრივი ლიტერატურის პოპულარიზაციას, საბავშვო ბიბლიოთეკის გახსნასა და საბავშვო წიგნის ფესტივალის ჩატარებას. უკვე დასრულებულია თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების ახალი წიგნებით შევსების პროექტი, რომელმაც, მთლიანობაში, 177 სკოლა მოიცვა.

გამოცხადებულია და დასრულების ეტაპზეა სასტიპენდიო კონკურსები მწერლების, მთარგმნელებისა და გამომცემლებისთვის. ასევე, უკვე ხორციელდება სარეზიდენციო პროგრამა, რომელშიც, კონკურსის შედეგად, ათმა ქართველმა



მწერალმა გაიმარჯვა. ისინი, ეტაპობრივად გაემგზავრებიან საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და ორი კვირის განმავლობაში ახალ ნაწარმოებებზე იმუშავენ. მომდევნო თვეებში იგეგმება კიდევ ერთი სარეზიდენციო პროგრამა - ამჯერად უცხოეთში.

დასრულებულია კიდევ ერთი კონკურსი - თბილისის ილუსტრაციის ფესტივალისთვის უკვე შერჩეულია 30 ილუსტრატორი, რომლებიც სექტემბერში დაგეგმილ ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას. წარმატებით ხორციელდება პროექტი „ინტერაქტიული წიგნებიც“. მის ფარგლებში, ასზე მეტი მოზარდი, ციფრული ტექნოლოგიით წიგნების შექმნას სწავლობს. პროექტის მიზანია, ქართული ნაწარმოებების მიხედვით, ინტერაქტიული წიგნების შექმნა, მოკლე პრაქტიკული კურსების ჩატარება და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით ცოდნის გაზიარება.

წარმატებით მიმდინარეობს სახალხო ღონისძიებებიც. მათ შორისაა თბილისური ეზოების სახელით ცნობილი აუდიო-მუსიკალური პროექტები და წიგნის ფლიმარკეტი, რომელშიც ნებისმიერს შეუძლია მონაწილეობა, ვისაც კი მეორეული ან ახალი წიგნების ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, გაჩუქება ან წიგნის სხვა მოყვარულებთან დაახლოება სურს.

„თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში, უკვე ხორციელდება ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროექტი - მცირედმხედველი ადამიანებისთვის მიმდინარეობს თანამედროვე ქართული ნაწარმოებების აუდიოგახმოვანება. მათთვის რამდენიმე ათეული წიგნი გახმოვანდება და ისინი უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი ნებისმიერი მსურველისთვის.

მომდევნო თვეების განმავლობაში, გაიმართება არაერთი პროფესიული ხასიათის ღონისძიებაც. მაგალითად, საერთაშორისო და ეროვნული საბიბლიოთეკო კონფერენციები, საქართველოს საგამომცემლო სფეროს კვლევა და დასკვნითი კონფერენცია, ასევე ლიტერატურული ფორუმ-დიპლომატი ქართველი და უცხოელი გამომცემლების, ავტორებისა და ლიტერატურის აგენტებისთვის.

ცხადია, თბილისი უმასპინძლებს საერთაშორისო მნიშვნელობის თანამედროვე მწერლებსაც. ამჟამად უკვე ცნობილია რამდენიმე მათგანის ვინაობა, ვისთანაც ვადაბთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

ჩვენი პარტნიორები არიან: მწერალთა სახლი, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, ლიტერატურის მუზეუმი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისის მუზეუმების გაერთიანება, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გოეთეს ინსტიტუტი, ჯეოლაბი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამერიკის საელჩო, საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, ლიტერატურის მუზეუმი და სხვა. პროექტის გენერალური სპონსორია საქართველოს ბანკი.

მოკლედ პროექტის შესახებ: World Book Capital (წიგნის მსოფლიო დედაქალაქი) 2002 წელს, UNESCO-ს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით დაარსდა. დღემდე წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსს ატარებდა ამსტერდამი, შარჟა, ათენი, ანტვერპენი, ტურინი, ბუენოს აირესი, ერევანი, ბანგკოკი, ლუბლიანა და სხვა. ის მიზნად ისახავს წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წიგნის ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ყველა სფეროს განვითარებას, თანამედროვე ავტორების, მთარგმნელების, ბიბლიოთეკების, გამომცემლების ხელშეწყობას.

# თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021



**წიგნის ისტორია**



**დალი მაჩაიძე**

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

300 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1721 წელს თბილისში, ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში გამოიცა სპარსულიდან თარგმნილი „აიათი ანუ ქმნულების ცოდნის წიგნი“. ეს მეცნიერული შინაარსისა და სახელმძღვანელოს ტიპის პირველნაბეჭდი ქართული საბუნებისმეტყველო წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ასტროლოგიური ხასიათისაა, მეორე - გეომეტრიული. გამოცემის წინასიტყვაობაში ქართლის მეფე ვახტანგ VI თავს წარმოგვიდგენს სპარსული ასტრონომიული წიგნების მთარგმნელად და განმარტავს თავისი, როგორც ქვეყნის მმართველის, ამგვარი მოღვაწეობის განმანათლებლურ მიზანს: „საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოხრებულ იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა და სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხოდენ. და ან მე მეფემან მეფეთამან ვახტანგ ეს სპარსული აიათი , რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი - ზიჯი თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანა შეწევითა. და სტროლაბიც ქართულად გამოვიღე. ნუკუე ისწავონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილასოფოსობა და გამოიღონ და ჩემთვისაც შენდობის მოქენე ვარ, რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს ვითარმედ მრავალნი ჭირნი მინახავან ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახურება დამიკ-

**იუბილარი წიგნი -  
„აიათი ანუ ქმნულების ცოდნის წიგნი,“**

**(პირველნაბეჭდი ქართული  
საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელო)**

ლიეს“. იმხანად ჯერ კიდევ ქართლის განმგებლი იყო ვახტანგ ბაგრატიონი, როცა ირანში ტყვეობაში მყოფი თარგმნიდა ხსენებულ წიგნებს. ამ „აიათის“ თარგმნით კი მან ქართულ მეცნიერებას აღმოსავლეთის ერთ-ერთი საუკეთესო ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული ნაშრომი შესძინა.



ვახტანგ VI-ის პორტრეტი წიგნში

როგორც ცნობილია, განათლების მოყვარე ვახტანგ ბაგრატიონი ჭაბუკობიდანვე ინტერესით ეცნობოდა სასულიერო თუ საერო მწერლობის რჩეულ ნიმუშებს და ახალგაზრდობიდანვე დაიწყო მრავალფეროვანი მთარგმნელობითი საქმიანობაც. თარგმნიდა ბერძნულიდანაც, თუმცა მის მთარგმნელობით მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სპარსულენოვანი წყაროებიდან გადმოღებულ ლიტერატურულ თუ სამეცნიერო თხზულებებს. ვახტანგი გატაცებული იყო ასტრონომიით, მათემატიკით, გეოგრაფიით, ქიმიითა და



მედიცინით. ის თავისი ნაშრომებით ფუძემდებელადაც მოვევლინა საქართველოში საბუნებისმეტყველო მეცნიერების ზოგ დარგს.


აქ ჩვენი მიზანი არაა ვახტანგ VI-ის თარგმანთა წარმოჩენა. აღვნიშნავთ ოღონდ, რომ მნივნივობით მეფემ თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობით გამორჩეული როლი შეასრულა ქართულ-სპარსულ სალიტერატურო და სამეცნიერო ურთიერთობაში. სულხან-საბა ორბელიანის ღირსეულმა აღზრდილმა, თავის თარგმანებზე სხვადასხვა სახის ლექსიკონების დართვით, შექმნა დღემდე მნიშვნელოვანი და მეცნიერული ღირებულების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, მათ შორის სპარსულ-ქართული ასტრონომიული ლექსიკონი და შეიმუშავა საბუნებისმეტყველო დარგების შესაბამისი სამეცნიერო ტერმინები.

უნდა ითქვას, რომ ვახტანგ VI-ის საგანმანათლებლო მისია მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე უფრო წარმატებულად აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ის იყო საგანმანათლებლო საქმის საუკეთესო ორგანიზატორი: დაარსა საქართველოში პირველი სტამბა, შექმნა მეცნიერთა დასი – „სწავლულ კაცთა“ სამეცნიერო კომისია და ხელმძღვანელობდა მათ საქმიანობას; მეორე მხრივ, თავისი საგამომცემლო, ლიტერატურულ-მთარგმნელობითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობითაც დიდად გაამდიდრა ქართული კულტურა და არაერთი მნიშვნელოვანი წიგნი შეჰკმატა ქართულ წიგნიერ საგანძურს. ამით დაიმკვიდრა ვახტანგ VI-მ განმანათლებელი მეფის სახელი საქართველოს ისტორიაში. მეფის მრავალმხრივი და ნაყოფიერი სა-

განმანათლებლო მოღვაწეობა ასე შეაფასა მისმა თანამედროვე გერმანე ხუცეს-მონაზონმა, თბილისის სტამბის მუშაკმა და პირველნაბეჭდი ქართული სახელმძღვანელოს ავტორმა: - „ვახტანგ ალავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა, რომელიც დაკლებული იყო ჟამთა ვითარებისაგან და მდევართაგან ქრისტეს რკულისა“.

ახლა რაც შეეხება იუბილარ გამოცემას: „აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი“, გამოიცა მროველი ეპისკოპოსის, ნიკოლაოზ ორბელიანის, სულხან-საბას ძმის რედაქტორობით. წიგნი დაიბეჭდა შერეული შრიფტით: თავფურცელი, კოლონტიტული და სათაურები შესრულებულია მრგვლოვანით, ძირითადი ტექსტი კი მხედრულით, რომლითაც მანამდე ვახტანგის სტამბას ორი საერო გამოცემა ჰქონდა დაბეჭდილი: ხსენებული გერმანე მღვდელ-მონაზონის ყმანვილთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო - „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მონაფისა“, გამოცემული 1711 წელს და შოთა რუსთველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანის“ პირველი გამოცემა 1712 წლისა. ცხადია ეს სამივე საერო წიგნი მნიშვნელობით გამორჩეული და ეპოქის მოთხოვნების შესაბამისი იყო ამ სტამბის 20, მეტწილად სასულიერო გამოცემათა შორის.

„აიათი“ შეიცავს [4], 148 გვერდს. როგორც ჩანს, მისი ბეჭდვა გაგრძელებულა თითქმის 4 თვეს: თავფურცელზე მითითებულია, რომ დაიბეჭდა 1721 წლის 14 აგვისტოს, ბოლო გვერდზე კი მესტამბეთა შენიშვნა გვაუწყებს: „განსრულდა სეკდემბერს იბ (12), ქრისტეს აქეთ ჩღკა (1721)“. ამავე 148-ე გვერ-



დბეა მესტამბეთა მძიმე შრომისა და წიგნბეჭდვის დასრულებით გამოწვეული სიხარულის გამო- მხატველი ლექსიც:

**„მენავე, ლელვა გვემული, განეროს ზღვისა წყრომასა, გალათონი და ხურონი რა მორჩენ თვისსა შრომასა, მათს სიხარულსა ვინ დასთვლის, ანუ შვებისა ზომასა. და მესტამბე მათგან უაღრეს, იქ(მ)ს სიხარულის ნდომასა“.**

ვახტანგის სტამბის ტრადიციისამებრ, ამ გამოცემასაც ერთვის ბაგრატიონთა გერბი, ორლომიანი ვარიანტი. წიგნი ნაბეჭდია ერთ ფერში, გაფორმება სადაა, შემკული თავსამკ-ბოლოსამკებით, ტექსტის გამყოფი ორნამენტებითა და ჩარჩოებით.

აღსანიშნავია, რომ სტამბის ტექნიკურ შესაძლებლობათა შეზღუდულობის გამო, წიგნის გარკვეულ გვერდებზე დაუტოვებით ცარიელი ადგილები, განკუთვნილნი ხელით ჩასახატი ნახაზებისათვის. მოღწეულ და აღწერილ ეგზემპლართა უმრავლესობაში ისინი შევსებულია სათანადო ნახაზებით, ორ ფერში, შავი და წითელი მეღწეული. შესრულების განსხვავებული ხელწერა მიგვანიშ-

ნებს, რომ ამ საქმეს არაერთი მხატვარი ასრულებდა.

და რაც მთავარია: „აიათი ანუ ქმნულების ცოდნის წიგნი“ რარიტეტული, იშვიათი გამოცემაა, შემორჩენილი ერთეული რაოდენობით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ამ წიგნის 4 ეგზემპლარია - 2 სრული და 2 დეფექტიანი ცალი. მათგან 3 გამორჩეული ეგზემპლარი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდიდანაა: აღნიშნული საზოგადოების საინვენტარო ჩანაწერის მიხედვით, FS 944/09 შესყიდულია კარბელაშვილისაგან; FS 4946/09-ის წინა ფორზაცზე შესრულებული მინაწერის თანახმად, წიგნი მღვიმის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ იოანეს უჩუქებია იმერეთის მეფის სახლთუხუცესისა და სტამბის მფლობელის, ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთლის უფროსი ვაჟის, გრიგოლისათვის, რომელსაც ხელნაწერი და ბეჭდური წიგნების საუცხოო პირადი ბიბლიოთეკა ჰქონდა; გამორჩეულია ეგზემპლარი ლექსიკოგრაფ დავით ჩუბინაშვილის პირადი კოლექციიდან, რომელიც შეიცავს ძველნაბეჭდი ქართული გამოცემების ყველაზე მეტ და იშვიათ ცალებს. ჩუბინაშვილისეული FS 3820/09 ცალი ერთადერთია, რომელშიც შეუვსებელია ნახაზებისათვის დატოვებული ადგილები.



**ნათია სიხარულიძე**  
ფილოლოგიის დოქტორი

1908 წლის სექტემბერში, თბილისში ჩამოსვლისთანავე, გალაკტიონმა რედაქციებს მიაშურა, სურდა თავისი ლექსები გამოექვეყნებინა. რედაქციების თანამშრომლები მის ხელნაწერებს ეცნობოდნენ და უკვირდათ, როგორ შეიძლება „ბავშვი ასეთ მშვენიერ ლექსებსა სწერდესო“... ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორმა კი თანამშრომლებს ახალგაზრდა პოეტი ასე წარუდგინა: „იცნობდეთ, ეს არის საქართველოს ამომავალი მნათობი!“.

დადგა 1908 წლის 28 სექტემბერი, დღე, როდესაც გალაკტიონის პირველი ორი ლექსი დაიბეჭდა: „...მთვარე კაშკაშებს“ (გაზეთში „ამირანი“) და „...სქელი ღრუბელი“ (ჟურნალში „ჩვენი კვალი“).

ასე დაიწყო ახალი საუკუნე – „სხვა საუკუნე გალაკტიონის“.

„1908 წლის 28 სექტემბერი – ეს იყო ყველაზე უკეთესი და ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში“, – ასე შეაფასებს ათწლეულების შემდეგ პოეტი საკუთარ დებიუტს.

1914 წელს, ერთ-ერთი სალიტერატურო საღამოს შემდეგ, სათაყვანო აკაკიმ გზა ამ სიტყვებით დაულოცა ჟაბუკ მგოსანს: „ახალგაზრდა პოეტებში მე ყველაზე დიდ იმედებს ვამყარებ გალაკტიონ ტაბიძეზე, მას დიდი გაქანების პოეტური მონაცემები აქვს და უთუოდ დიდი მომავალი ექნება“.

# გალაკტიონის პირველი წიგნი

*(ვაკოაქციონ ქაბიძე - 130)*

ამავე წელს პოეტის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ფაქტი უკავშირდება – იბეჭდება მისი პირველი კრებული – „ლექსები“. თუმცა, უნდა ითქვას, რომ წიგნის გამოცემას გალაკტიონი უფრო ადრეც აპირებდა: 1912 წელს, 21 წლის ასაკში, ახალგაზრდა პოეტმა გადაწყვიტა თავისი ლექსების კრებული გამოექვეყნებინა. იმდროინდელი პრესა იუწყებოდა:

„მიიღება ხელის მოწერა გალაკტიონ ტაბიძის წიგნზე „ლექსები და პოემები. რვეული პირველი“. ფასი ხელმოწერით ათი შაური“.

ეს განზრახვა, როგორც თავად ავტორი გვამცნობს, წარმოუდგენელი კატასტროფით დამთავრდა. წიგნს წინასწარ ხელი მხოლოდ თხუთმეტმა კაცმა მოაწერა.

კრებულის გამოცემის შემდეგი მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა. 1914 წლის ზაფხულში ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება განცხადებები – მკითხველს ატყობინებენ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პოპულარული პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნის გამოქვეყნებას:


„მივიღეთ „ლექსები“ გალაკტიონ ტაბიძისა, გამოცემა ტუტკუ გვარამიასი. წიგნს დართული აქვს ავტორის სურათი, მოკლე ბიოგრაფია და ივ. გომართელის კრიტიკული წერილი. წიგნი კარგათ არის გამო-



გალაკტიონ ტაბიძე, 1918 წელი

ცემული და შეიცავს 192 გვერდს“.

გალაკტიონის პირველ წიგნში („ლექსები“, ქუთაისი, 1914 წელი) 157 ლექსი შევიდა. კრებულში დაიბეჭდა „ხელოვნება“, „მიმღერე რამე“, „უსიყვარულოდ“, „გურიის მთები“, „სად?“, „უდაბნო“, „გეტერა“, „ორი ზარი“, „მესაფლავე“ და მკითხველისათვის დღეს უკვე კარგად ნაცნობი სხვა არაერთი ნაწარმოები. საინფორმაციო ხასი-



გალაკტიონის ხელნაწერი

ათის განცხადებებს მალე კრიტიკოსთა გამოხმაურება-რეცენზიები მოჰყვა: გამოქვეყნდა 20-მდე სტატია. გაგაცნობთ ფრაგმენტებს ზოგიერთი გამოხმაურებიდან:

„ბარათაშვილის შემდეგ ჩვენი პოეზია საკმაოდ განვითარდა, მაგრამ ბარათაშვილის გზას კი ასცდა. პოეზიის უმთავრეს საგნათ ეროვნული მდგომარეობა და საზოგადოებრივი კითხვები გადაიქცა. ტაბიძემ ღრმად იგრძნო ყოველი შეგნებული ადამიანის სევდა და სულის სწრაფვა, ბარათაშვილს გამოეხმაურა და თავის მკვნესარე ხმები მსოფლიო სევდას შეუერთა“, – წერდა ივანე გომართელი გალაკტიონის წიგნის წინასიტყვაობაში.

კრებულის გამოქვეყნებისთანავე დაიბეჭდა აკაკი პაპავას რეცენზია: „გ. ტაბიძის ლექსები“. კრიტიკოსის აზრით:

„გ. ტაბიძის წიგნი ერთგვარ ნაბ და სევდიან განწყობილებას ქმნის ჩვენში... სულიერი განწყობილება, რომელიც ფლობს მგოსნის სევდიან სულს, მშვენიერ, მელოდიურ ფორმაში აქვს გამოხატული. განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში იგრძნობთ სულიერ ნათესაობას ამ შემოქმედებასთან; იგია ღვიძლი შვილი ჩვენი ეპოქის... გ. ტაბიძის ლექსები – ეს ნაზი აკორდია ქართულ მუსიკალურ პოეზიაში და ვისაც უყვარს ლამაზად სახული ტანჯვა მწუხარებისა, იგი შეიყვარებს ამ წიგნსაც“... (გაზ. „შრომა“, 1914, N20, 14 ივლისი).

შემდეგი გამოხმაურება იოსებ იმედაშვილს ეკუთვნის:

„გ. ტაბიძე, ეს ბუნებისა და ადამიანის სულის ბგერათა მესაიდუმლე, სრულიად განკერძოებითა დგას და თავისი შემოქმედებით იგი მსოფლიო სევდის მგოდებელთ უახლოვდება... გ. ტაბიძემ თავის ლექსთა მშვენიერ თაიგულში საუცხოვოდ

გადაგვიშალა მუდამ მეძიებელის, სულით დელვილი ადამიანის სწრაფვა, აღბეჭდა უკანასკნელ ათეულ წლების ინტელიგენციის რწმენის მერყეობა, ახალი გზების ძებნა, იმედის გაცრუება, უნუგეშობა... ..ახალგაზრდა მგოსანი დიდის ყურადღების ღირსია, და ვისაც ჰსურს განიცადოს სულიერი კმაყოფილება, უაღრესი სიტკბოება, მან თვით ნაწერები - მგოსნის შემოქმედება უნდა გაიცნოს“ (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, N2, 11 იანვარი).

პოეტის პირველი წიგნის ცალკეულ ასპექტებზე, გალაკტიონის ადრეული პერიოდის შემოქმედებაზე ასევე წერდნენ: ალექსანდრე აბაშელი, მიხეილ აბრამიშვილი, ია ეკალაძე, გრიგოლ რობაქიძე, ტიცვიან ტაბიძე და სხვები. რეცენზიებისა და სტატიების ავტორები ერთხმად აღიარებდნენ გალაკტიონ ტაბიძის განსაკუთრებულ პოეტური ნიჭს.

\*\*\*

გალაკტიონის პირველ კრებულს ერთი სახალისო ისტორიაც უკავშირდება.

1914 წელს თითქმის ერთდროულად გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების წიგნი და ილია ჭავჭავაძის ნაწერების პირველი ტომი.


ვარდენ ყიფიანმა, „ღვანკითის შევარდენად“ ცნობილმა პოეტმა, რომელსაც ორივე წიგნის შექმნაც მოესწრო და გადათვალთვალა, შეხვედრისას გალაკტიონს შეფარული ირონიით უსაყვედურა:

– რა ამბავია, ეს როგორი პესიმისტური წიგნი გამოგიცია, ან ეს ახალგაზრდობა რამ გააგიჟა, სულ შენს „მესაფლავესა“ და „მე და ღამეს“ გაიძახიან. ამდენი ცრემლის ღვრა თვალებს გაგიფუჭებს.





პირველი წიგნის გარეკანი



პირველი წიგნის ტიტული

- ეგ რა წიგნი გიჭირავს? - პასუხის ნაცვლად  
ჰკითხა გალაკტიონმა. - შენი ლექსებია.

- მეორე? - ილია ჭავჭავაძისა.

- გადაშალე 111-ე გვერდი და წაიკითხე, -  
უთხრა გალაკტიონმა.

ვარდენმაც გადაშალა და წაიკითხა:

ვაჟკაცს ცრემლსა რად უძრახვენ?

რკინაც სტყდება, როგორც გრდემლი.

კაცთ და პირუტყვთ გასარჩევად

ღმერთმა შეჰქმნა მარტო ცრემლი.

ამ დღის შემდეგ ვარდენ ღვანკითელს გალაკტიონის პესიმისტობაზე სიტყვა აღარ დაუძრავს.

\*\*\*

როგორც აღვნიშნე, გალაკტიონის 1914 წელს გამოცემულმა კრებულმა ერთნაირად აღაფრთოვანა მკითხველიც და ლიტერატურის კრიტიკოსებიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ათწლეულების შემდეგ ამ წიგნისადმი დამოკიდებულება გარკვეულწილად შეიცვალა. კერძოდ, გაჩნდა აზრი, რომ გალაკტიონის პირველი წიგნი „სხვისი დანერილია“ (ვახტანგ ჭავჭავაძე). თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს შეხედულება უფრო შთაბეჭდილებებს ემყარება, ვიდრე კონკრეტული ლექსების ანალიზს. რა თქმა უნდა, გალაკტიონის 1914 წელს გამოცემული „ლექსები“ „არტისტული ყვავილების“ (1919)

თვალშეუდგამ სიმაღლეს ვერ აღწევს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოეტის პირველ წიგნს უდიდესი მნიშვნელობა დავუკარგოთ და მის განსაკუთრებულ როლზე არ ვისაუბროთ.

„ამ წიგნით მე ვფიქრობდი ქვეყნის აფეთქებას, - წერდა გალაკტიონი 1914 წლის კრებულის შესახებ. საგანგებო კვლევამ დაადასტურა, რომ ეს არ იყო ემოციურად ნათქვამი ფრაზა. კერძოდ, ამ კრებულის შესწავლამ ცხადყო, რომ

„გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი არ არის ლექსების უბრალო ნაკრები, იგი პოეტური მთლიანობაა, რთული სტრუქტურის ტექსტი-მითი... ეს წიგნი უნიკალური მოვლენა იყო თავისი დროის ქართულ პოეზიაში და იგი ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძეს განახლების გლობალური პროცესის თანამონაწილედ წარმოაჩენდა“ (თეიმურაზ დოიაშვილი).

დღეისათვის გალაკტიონის შემოქმედების მკვლევართათვის სრულიად აშკარაა ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც 1914 წელს გამოცემულმა „ლექსებმა“ შეასრულა ქართული ლირიკის ისტორიაში. სწორედ ამის გამო, 2014 წელს საგანგებოდ აღინიშნა პოეტის პირველი წიგნის 100 წლის იუბილე და ამ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო-ლიტერატურული კრებულის - „გალაკტიონოლოგიის“ მეშვიდე ტომი.



**ნინო ხვედელიძე**

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ჟურნალის („საქართველოს ბიბლიოთეკა“ 2021 №2) ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიით „იოჰან მენტელინი და მისი ბიბლია“ ჩვენ გაგაცანით იოჰან გუტენბერგისა და პეტერ შუფერის მოსწავლე იოჰან მენტელინი (1410–1478). იგი გახლდათ ხელნაწერთა გადამწერი, ეპისკოპოსის ნოტარიუსი, მესტამბე-გამომცემელი და წიგნით მოვაჭრე. 1450 წელს, მან სტრასბურგში დააარსა სტამბა და დაიწყო წიგნების ბეჭდვა. მის გამოცემებს შორის გამორჩეულია 1466 წელს, გერმანულ ენაზე დაბეჭდილი ბიბლია, რომელიც „მენტელინის ბიბლიის“ სახელწოდებით არის ცნობილი. მენტელინის ღვანლი ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება კულტურულ აღორძინებას ევროპაში - მოძრავი ლიტერებით ბეჭდური პროდუქციის შექმნასა და გავრცელებას. ამას გარდა მან „წიგნის ბეჭდვის საიდუმლოება“ შეასწავლა არა ერთ ახალგაზრდას, რომელთა შორის იყვნენ ძმები ცაინერები.

## იოჰან ცაინერი - მხატვრული ნაწარმოების ილუსტრაციებით გაფორმების ფუძემდებელი

იოჰან ცაინერი (გარდ. 1523) წარმოშობით პატარა სამხრეთ გერმანულ ქალაქ როიტლინგენიდან გახლდათ. წიგნის ბეჭდვის საქმეს ის ძმასთან, გიუნტერთან (გარდ. 1478) ერთად სწავლობდა ქალაქ სტრასბურგში, იოჰან მენტელინის სახელოსნოში.


პოლიგრაფიული ხელოვნების შესწავლისთვის ცაინერებმა სხვადასხვა ქალაქს მიაშურეს: გიუნტერმა - აუგსბურგს, ხოლო იოჰანმა - დუნაის ზემო ნაწილში მდებარე ულმს. 1465 წელს იოჰანი დაქორწინდა სუზანა ცუკვერტზე - ადგილობრივი ქვის მთელის ქალიშვილზე. ულმში იოჰან ცაინერი დაუახლოვდა ქალაქის ექიმს - ჰენრიჰ შტაინჰოველს (1412-1482), რომელიც ჰუმანიტარების წრესთან დაახლოებული, მრავალმხრივ განსწავლული ადამიანი გახლდათ. მას განათლება ვენისა და პადუას უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული. ჰენრიჰ შტაინჰოველი მომავალ გამომცემელს ულმში დამკვიდრებაში დაეხმარა და ფინანსურადაც გაუმართა ხელი. ჰენრიჰმა სახლიც დაიქირავა, სადაც დაახლოებით 1470 წელს იოჰანმა დააარსა სტამბა და

წიგნების გამოცემა დაიწყო.


ცაინერის მიერ დაბეჭდილი პირველი წიგნი გახლდათ „Pestordnung“ - სახელმძღვანელო შავი ჭირის პროფილაქტიკის შესახებ. მის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს საშინელი ეპიდემია შუა საუკუნეებში ევროპის თითქმის ყველა ქალაქში მძვინვარებდა და მოსახლეობის თავზე დამოკლეს მახვილივით ეკიდა. წიგნი გამოსაცემად შტაინჰოველმა მოამზადა და 1473 წლის 11 იანვარს იგი დაიბეჭდა.

ქალაქის ექიმს არ სურდა მისი თანამშრომლობა ცაინერთან მხოლოდ საკუთარ პროფესიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების გამოცემით შემოფარგულიყო. პოლიგრაფიული საქმიანობის მხარდაჭერა მისი პირდაპირი მოვალეობა გახდა. ექიმის სურვილი იყო, თანამემამულეებისთვის გაცნო ანტიკური ხანისა და იტალიური ლიტერატურის შესანიშნავი ნაწარმოებები, რასაც იოჰანი დიდი სიხარულით დასთანხმდა.

1473 წელს, ულმში, იოჰან ცაინერმა გამოსცა დიდი



ილუსტრაცია წიგნიდან - „ცნობილი ქალბატონების შესახებ“. 1473 წ.



ტექსტში ჩართული ილუსტრაცია.  
„ცნობილი ქალბატონების შესახებ“. 1473 წ.

იტალიელი ნოველისტის ჯოვანი ბოკაჩოს თხზულება „De mulieribus claris“ - „ცნობილი ქალბატონების შესახებ“. ნაწარმოები მოიცავდა 106 ქალის ბიოგრაფიას - ევადან ნეაპოლის დედოფალ იოანამდე. ეს იყო პირველი კრებული დასავლურ ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნებოდა მხოლოდ ქალბატონებს. გამოცემა თავდაპირველად ლათინურ ენაზე დაიბეჭდა, მაგრამ მალე მას შტაინჰოველის მიერ გერმანულ ენაზე შესრულებული თარგმანი მოჰყვა.

საქმე ისაა, რომ მხატვრული ნაწარმოების ილუსტრაციებით გაფორმების იდეა სწორედ ამ გამოცემიდან იღებს სათავეს. ლათინური გამოცემა – 81, ხოლო გერმანული - 76 ქსილოგრაფიული ტექნიკით შესრულებული გრაფიურით იყო დამშვენებული. ყველა მათგანი შექმნილი იყო მთლიან ფორმატზე. 110x180 მმ. პარამეტრების ილუსტრაციებზე გამოსახული იყო ანტიკური ხანის მითოლოგიური ქალღმერთების (აფროდიტას, ლედას, მშვენიერი ელენეს და ა.შ.), როგორც მინიერი არსებების ცხოვრებისეული მომენტები, ისე პერსონაჟი ქალების ზღაპრული ისტორიების ამსახველი კულმინაციური სცენები.

საგულისხმოა, რომ იმ დროის წიგნებს სატიტულე ფურცელი არ გააჩნდა. პირველ გვერდზე ზემოთ მოთავსებული იყო წიგნის სათაური, შემდეგ კი თითოეული თავის სახელწოდება. 1473 წლის გამოცემაში დართულია მისი ერთგვარი ორნამენტი. იგი პროტოტიპია იმ შემკულობისა, რომელიც აუგსბურგის 1470-1471 წლების გამოცემებშიც გვხვდება. ამიტომ მკვლევრები თვლიან, რომ გრაფიურის შემსრულებელი, რომელმაც ბოკაჩოს ზემოთ ხსენებული წიგნის ილუსტრაციები შექმნა, თავდაპირველად აუგსბურგში



ეზოპის გამოსახულება გარშემორტყმული მისი ცხოვრებისეული მოვლენებით. ქსილოგრაფია.

ცხოვრობდა და გიუნტერ ცაინერის სტამბაში მუშაობდა, ხოლო შემდეგ გადასახლდა ულმში და იოჰანთან დაინყო თანამშრომლობა. მისი სახელი, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის და ხელოვნებათმცოდნეები მას „ბოკაჩოს ოსტატად“ მოიხსენიებენ.

1473 წელი იოჰან ცაინერისთვის ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. ბოკაჩოს წიგნის გარდა მან გამოსცა „გერმანული ქრონიკები“, რომელიც ჰენრიჰ შტაინჰოველმა შეადგინა, იტალიელი პოეტის ფრანჩესკო პეტრარკას „გრიზელდას ისტორია“, აგრეთვე შუა საუკუნების ბუნებისმეტყველების მკვლევრის ალბერტ დიდის ფილოსოფიური ნაშრომი „პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორია“.

იოჰან ცაინერის განსაკუთრებული გამოცემა „ეზოპეს ცხოვრება და მისი იგავ-არაკები“ გახლავთ, რომელიც 1476 წელს გამოიცა. ნაწარმოები ჰენრიჰ შტაინჰოველმა თარგმნა. შუა საუკუნეებში ძველი ბერძენი მეიგავეს – ეზოპეს ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ცაინერის გამოცემის დართულმა ილუსტრაციებმა კი იგი პოლიგრაფიული ხელოვნების მსოფლიო შედევრად აქცია. წიგნის 205 ილუსტრაციდან 29 მათგანი ეზოპეს ცხოვრებას, დანარჩენი კი იგავ-არაკების სიუჟეტებს ასახავს. ყველა ილუსტრაცია ხეზე ნაკვეთი გრაფიურების ტექნი-



კითაა შესრულებული. წიგნის ბეჭდვის გამოგონების დროიდან მე-15 საუკუნის ბოლომდე მისი იგავ-არაკები 130-ჯერ გამოიცა. ეს უკვდავი ნაწარმოები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ეზოპეს იგავ-არაკების სიუჟეტები გამოყენებული აქვთ ფრანგ პოეტს ჟან ლაფონტენს, რუს მეიგავე იური კრილოვს და სხვებს.

ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ მანამდე ასეთი მდიდრული და უხვად ილუსტრირებული წიგნი არასდროს არ გამოცემულა. ჰუმანისტებს შესანიშნავად ესმოდათ მასობრივი კითხვისთვის განკუთვნილი ილუსტრირებული გამოცემის მნიშვნელობა. მისი შესანიშნავი გრავიურები დღემდე იპყრობს ხელოვნებათმცოდნეებისა და პოლიგრაფიის ისტორიკოსთა ყურადღებას.

წიგნის ფრონტისპისად მთლიანგვერდიანი გრავიურა გვევლინება, რომლის ზომა 189x113 მმ-ია. მასზე თვით მეიგავის გამოსახულებაა. თუმცა, გრავიურისა და ავტორის მსგავსებას არ უნდა ველოდოთ, ვინაიდან იმ დროისთვის ეზოპეს პორტრეტი შემონახული არც ყოფილა. გრავიურაზე გამოსახული დაკუნთულკიდურებიანი კუზიანი მამაკაცი, რომლის თავზე ლათინური ასოებით ეზოპეს სახელი აწერია, მხოლოდ წარმოსახვითი გრავიურაა. ილუსტრაციაზე ეზოპეს გარს ახვევია მისი იგავების პერსონაჟი ცხოველები და ფრინველები. ეზოპეს ყოფა-ცხოვრების ამსახველი ილუსტრაციები ნათლად გვიხატავენ უბრალო ხალხიდან გამოსული ადამიანის სახეს, რომლის ულამაზო გარეგნობის მიღმა ღრმა სიბრძნე იმალება. აბსოლუტურად ყველა გრავიურაზე შენარჩუნებულია მსგავსება ფრონტისპისზე გამოსახულ მეიგავესთან. გრავიურაზე შესანიშნავად ჩანს, რომ მისი შემქმნელი ვირტუოზულად ფლობდა კომპოზიციის ხელოვნებას და ქალაქის ზედაპირზე მინიატურების განლაგების ოსტატობას. წიგნი 27 ნახატით არის შემკული. 80x107 მმ. ზომის ილუსტრაციები თითქოს ტექსტში იჭრებიან და შეერწყმიან მათ. სწორკუთხოვანი გრავიურები ორმაგხაზოვან ჩარჩოშია ჩასმული. ჩვეულებრივ, ასეთ ჩარჩოში ხელნაწერი წიგნებისა და ადრეული ინკუნაბულების ილუსტრაციებს ათავსებდნენ.

1476 წლის გამოცემა დიდი პოპულარობით სარ-

გებლობდა და მალევე გაიყიდა. 1477-78 წელს გიუნტერ ცაინერმა კრებული განმეორებით გამოსცა აუგსბურგში. მეცენატ ჰენრიჰ შტაინჰოველის თარგმანი გერმანიის უამრავ სხვა სტამბაშიც დაიბეჭდა. მალე ეზოპეს იგავ-არაკები ევროპის სხვა ენებზეც ითარგმნა. 1484 წელს კრებული ფრანგულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა. მომდევნო 50 წლის მანძილზე ნაწარმოები ათჯერ გამოიცა.

ბევრ გამოცემაში ჩვენ გვხვდება 1476 წლის ილუსტრაციები, რომლებიც არაერთხელ გადააკეთეს. თუ ვინ იყო იმ გრავიურების ავტორი, მეცნიერთათვის დღემდე სადავო საკითხს წარმოადგენს. ერთნი ამტიკიცებენ, რომ ეს „ბოკაჩოს ოსტატის“ ნახელავია, მეორენი კი მათ ავტორად მიიჩნევენ ლუდვიგ შონჰაუერს, ლითონზე გრავირების ცნობილი ოსტატის – მარტინ შონჰაუერის ძმას.

სახელგანთქმული ეზოპეს ნაწარმოების გამოცემის შემდეგ იოჰან ცაინერმა წარმატებულად გააგრძელა მუშაობა ქალაქ ულმში, მაგრამ ჰენრიჰ შტაინჰოველის სიკვდილის შემდეგ იგი მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომებს გამოსცემდა. 1480 წელს მან ლათინურ ენაზე დაბეჭდა ბიბლია. სამწუხაროდ, 1493 წელს ცაინერი იძულებული გახდა სტამბა გაეყიდა, რათა მოზღვავებული ვალები გადაეხადა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მას ვალების გამო ულმის დატოვება მოუხდა, მაგრამ შემდეგ დაბრუნდა, შეიძინა წიგნების სავაჭრო დახლი და სხვადასხვა გამოცემით ვაჭრობდა. სხვა პირველბეჭდავების მსგავსად, მასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში დიდი ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ჰენრიჰ შტაინჰოველის გარეშე ვერ მოახერხებდა არაჩვეულებრივი წიგნების გამოცემას. იოჰან ცაინერი 1523 წელს გარდაიცვალა.

იოჰან ცაინერი თავისი გამოცემების უდიდეს ნაწილს უმადლოდა ე.წ. „ბოკაჩოს ოსტატს“, იმ ანონიმ გრავიორს, რომელმაც მოამზადა ილუსტრაციები პეტრარკას, ბოკაჩოსა და ეზოპეს ნაწარმოებებისთვის. მისი გრავიურების სტილმა გავლენას მოახდინა არა მხოლოდ მეტხუთმეტე საუკუნის 80-იან წლებში დაბეჭილი წიგნების ილუსტრაციებზე.

## საქართველოს ბიბლიოთეკები: გაახსების ისტორია და დღევანდელი



### ნინო თათარაშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერი

მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა მდებარეობს ქალაქის ულამაზეს ადგილას, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ჯვრის მონასტრის პირდაპირ, მიხეილ მამულაშვილის ცნობილი ბაღის წინ. 50 მეტრში კი მოჩანს დიდებული სვეტიცხოვლის ტაძარი. ჩვენთან, მცხეთაში ბიბლიოთეკას „ცოდნის ტაძარსაც“ ეძახიან, თავისი დიდი, საპასუხისმგებლო ფუნქციისა და მისი ლამაზი ისტორიის გამო.

ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოში სახალხო სამკითხველოების გახსნა მასობრივად დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოს. სამკითხველოები იხსნებოდა ჩვენი ქვეყნის არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ სოფლებშიც კი. სამკითხველოების დაარსების საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მეორე მხრივ კი, თვით მოსახლეობის დიდი ნაწილი უფრო და უფრო რწმუნდებოდა განათლების აუცილებლობაში და, აქედან გამომდინარე, მეტადაც იწყებდა ზრუნვას ბიბლიოთეკების, როგორც განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენის, დაარსებაზე.

## წიგნის სახლი, სახლი თითოეული მცხეთელისათვის

(მცხეთის ბიბლიოთეკა 130 წლისაა)

სწორედ ამ პროცესის ნაწილია მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა, რომელსაც გასულ წელს დაარსებიდან 130 წელი შეუსრულდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მცხეთის უფასო სამკითხველო დაარსდა 1890 წელს. იმ პერიოდში ჯერ კიდევ ინტენსიურად არ იხსნებოდა სამკითხველოები. მცხეთის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი პირველი იყო ქვეყნის მასშტაბით. მიუხედავად ხალხის კეთილგანწყობისა, მცხეთის სამკითხველოსაც თავდაპირველად უჭირდა ფეხზე მყარად დადგომა. 1891 წლის 9 ივნისის გაზეთი „ივერია“ (N120) აუწყებდა მკითხველებს: „მცხეთა. 2 თიბათვეს ჩვენში ფრიად სასიამოვნო ამბავი მოხდა, დილის თორმეტ საათზეთ აკურთხეს სასოფლო კანცელარია და ხალხი ბლომად დაესწრო. ამ დღეს სადამოსვე აკურთხეს საჯარო წიგნთა საკითხავი, აქ კიდევ უფრო ბევრი ხალხი დაესწრო და დიდის სიამოვნებით მიეგება გახსნასა და კურთხევასა: ეხლა კი გვეშველება და გავიგებთ რასმეო, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ წიგნთ-საცავი ძალიან ღარიბია და შეძლება ცოტა აქვს. ამის გამო თათბირი ჰქონდათ, იქნება როგორმე განვკარგოთ წიგნთ-საკითხავიო, და შემოსწირა ზოგმა ფული და ზოგმაც წიგნები; აგრეთვე დაგვიპირდა რამდენიმე, სხვებს ვეტყვი და შემოვანირვინებთ რასმეო“.



ბიბლიოთეკის გამგე მართა თათარაშვილი და ბიბლიოთეკარი ნათელა ტოგონიძე

მათ შორის, ვინც ფული შესწირა მცხეთის სამკითხველოს, ყოფილან ელიზბარ გუგუშვილი (18





მან.), მარიამ გედევანიშვილი (5 მან.), ილუმენია ნინა (10 მან.), ოლგა გურგენიძისა (2 მან.), ელენე ჯორჯაძის ასული (3 მან.), გრიგოლ მაჩხანელი (18 მან.), მღვდელი ქრისტესია თათარაშვილი (3 მან.) და სხვები. სულ იმ დღეს 74 მანეთი შეგროვებულა. ამისათვის სამკითხველოს გამგებლები გაზეთის საშუალებით მადლობას უხდიდნენ სამკითხველოს შემწეებს.

გაზეთის მომდევნო ნომერშიც (N121) დაიბეჭდა სამკითხველოს გამგებელთა სამადლობელი წერილი: „ნება მოგვეცით თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო იმათ, რომელთაც მცხეთის საჯარო წიგნთსაკითხავს შემოსწირეს წიგნები: ალექსანდრე როინიშვილმა 10 მან, და 50 კაპ; მღვდელმა სვიმონ ხახუტოვმა 6მან და 55კაპ; ანასტასია გედევანოვის ქალმა 6მან და 35კაპ; ივანე ემელიანოვმა 3მან და 70 კაპ; შაქრო ჭინჭველაძემ 2მან და 75კაპ; პროკოპი ბარისაშვილმა 7მან და 50 კაპ; მარიამ ბარისოვამ ფულად 1 მან და წიგნები ღირებული 5მან და 55კაპ; ზაქარია გარსევანიშვილმა 2მან,20კაპ; გრიგოლ მაჩხანელმა 3 მან,40 კაპ; საბა პონოზიშვილმა 3მან,50კაპ.“

პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ვიგებთ, რომ მცხეთის წიგნთსაცავის მაშინდელი გამგებელნი იყვნენ პროკოფი ბარისაშვილი და გრიგოლ მაჩხანელი. მოგვიანებით წყარო გვიჩვენებს, რომ 1896 წელს წიგნთსაცავს ხელმძღვანელობდნენ გიორგი მრევლიშვილი და სოფიო ციციშვილი. მთლიანობაში სამკითხველოს საქმეს თვალყურს ადევნებდა დამფუძნებელი საზოგადოება. ბიბლიოთეკა დაარსებიდანვე შეიცავდა როგორც ქართულ, ასევე რუსულ წიგნებს. ამის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა თვითონ პ. ბარისაშვილმა: „წიგნთ-საცავში არის 165 წიგნამდე შემოსული (გამოცხადებული იყო მე 121 N-ში), ვიღებთ ჟურნალ-გაზეთებს უსასყიდლოდ „ნოვოსტს“, „კავკაზს“ და

ვიხდით მარტო ფოსტის გადასახადს შემდეგ გაზეთებზე: „ნოვოე ობოზრენიე“, ორი ეგზემპლარი „ივერია“, „ტფილისის ლისტოკს“, „რუსკაია ვედომოსტს“, „სევერნი ვესტნიკს“, „მეურნეს“ და ამ დღეებში მივიღებთ „ჭეჭილსაც“. ამ ზემოთხსენებული ჟურნალ-გაზეთებით საზოგადოება სარგებლობს უსასყიდლოდ“ (ივერია, 1891, N165).

მეოცე საუკუნის 50-იან წლებამდე ჩვენთვის უცნობია ვინ მართავდა მცხეთის ბიბლიოთეკას, თუმცა ამ ხნის მანძილზე ბიბლიოთეკას მცხეთაში ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. 1950-დან 1965 წლებამდე მცხეთის ბიბლიოთეკას მიეცა რაიონული ბიბლიოთეკის სტატუსი. ის მართავდა 56 ბიბლიოთეკას მცხეთის რაიონში, რომლებიც ეტაპობრივ გაიხსნა 1950 წლიდან 1960 წლამდე. აქ არსებობდა საბიბლიოთეკო სწავლების კურსებიც. ამ პერიოდში ბიბლიოთეკის გამგე იყო ქალბატონი მართა კაპანაძე-თათარაშვილი.

1965-დან 1983-წლამდე მცხეთის რაიონულმა ბიბლიოთეკამ შეიცვალა სახელწოდება და იწოდებოდა მცხეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკად. მისი დირექტორი იყო ქალბატონი ქეთო თათარაშვილი. მცხეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობდა მცხეთის რაიონში არსებულ ამ დროისთვის 56 ბიბლიოთეკას. რომელთა რაოდენობაც ეტაპობრივ შემცირდა და 1985 წლისთვის არსებობდა მხოლოდ 32 ბიბლიოთეკა, და ამ საბიბლიოთეკო ქსელს სულ ორი წლის განმავლობაში 1983 -და 1985 წლამდე მართავდა ქალბატონი ნუნუ ნაზლაიძე. 1985 წლიდან 2007 წლამდე მცხეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი იყო ქალბატონი თინა (გენო) გარსევანიშვილი.

2007 წლიდან მცხეთის მთავარ ბიბლიოთეკას მართვის პატივი მე დამევალა. ამ ბიბლიოთეკაში 1982 წლიდან ვმუშაობ. ამ დროისთვის ბიბლიოთეკას ეწოდებოდა ცენტრალური ბიბლი-



ბიბლიოთეკის გამგე ქეთო თათარაშვილი მკითხველებთან ერთად



ბიბლიოთეკის გამგე ნუნუ ნაზლაიძე მკითხველებთან ერთად



ბიბლიოთეკის გამგე თინა გარსევანიშვილი მკითხველებთან ერთად



ოთეკა. გვყავდა უამრავი მკითხველი და წიგნების მრავალფეროვანი არჩევანი. სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ბიბლიოთეკამ დაღმასვლა განიცადა. ძალიან ცუდი პერიოდი იყო, რომელიც 2007 წლამდე გაგრძელდა. არ შემოგვდიოდა ახალი წიგნები და გვიჭირდა არსებული არქივის შენახვა - გადარჩენა. ამ პერიოდში ძალიან დაგვაკლდა მკითხველიც. მომდევნო ეტაპს, 2010 წელს, ცრემლების გარეშე ვერ ვიხსენებ, რადგან იმდროინდელმა ხელისუფლებამ გასცა ბიბლიოთეკების დახურვის განკარგულება. მაშინ მე გახლდით დირექტორის პოზიციაზე და დამევალა მეცნობებინა ჩვენი თანამშრომლებისთვის 24 ბიბლიოთეკის დახურვა. ჩემი გონება მოცული იყო ორი აზრით, გადამერჩინა ბიბლიოთეკები და არ დარჩენილიყვნენ ჩემი თანამშრომლები უმუშევრები. ძალიან მიჭირს ამ პერიოდის გახსენება. მაშინ მხოლოდ ცენტრალური, ახალგაზრდული ერედისა და ნატახტრის ბიბლიოთეკების გადარჩენა შევძელით. მოგვიანებით ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა.

2014 წელს ქალაქი მცხეთა გამოცხადდა თვითმმართველ ქალაქად, მოხდა ბიბლიოთეკების გაყოფა ქალაქისა და თემის ბიბლიოთეკებად. ქალაქში დარჩა სამი ბიბლიოთეკა - მთავარი, საბავშვო და ახალგაზრდული, თემში კი ორი - ერედის და ნატახტრის ბიბლიოთეკები. 2015 წელს მცხეთის თემის გამგეობამ გახსნა ხუთი ბიბლიოთეკა. ყველა ახლადგახსნილ ბიბლიოთეკაში ახალი წიგნები შეიტანეს 400 ლარის ვაუჩერით, რომელიც პრეზიდენტის ფონდიდან გაიცა. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პროექტის ფარგლებში: „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ახლადგახსნილ ხუთივე ბიბლიოთეკაში შეიტანეს კომპიუტერები და დაატრენინგეს თანამშრომლები. 2017 წელს კიდევ ორი ბიბლიოთეკა შემოგვემატა. 2019 წელს მოხდა ქალაქის და თემის შერწყმა-გაერთიანება და

ბიბლიოთეკები ისევ დაექვემდებარენ მცხეთის მთავარ ბიბლიოთეკას.

მცხეთის ბიბლიოთეკამ თავისი არსებობის 130 წლის მანძილზე მრავალი გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ გაუძლო დროთა ძნელბედობებს, რადგან თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული და თავდადებული ბიბლიოთეკარების შრომას მხარს უმაგრებდნენ ბიბლიოთეკის ერთგული მკითხველები. სწორედ ასეთი მკითხველები გვაძლიერებდნენ, გვაძლევდნენ ძალას და სურვილს იმისას, რომ უამრავი ლამაზი ღონისძიება თუ პროექტი განგვეხორციელებინა. ჩამოგიტვლით ჩვენი ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებულ პროექტების, ინტელექტუალურ კონკურსების, მასობრივი ღონისძიებების მცირე ნაწილს, რომელთაგან ზოგიერთი ბოლო წლებში ჩატარდა და ვრცელდებოდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ზოგიერთი კი წლების განმავლობაში ტარდებოდა მკითხველთა ინტერესებისა თუ თემის აქტუალობის გამო. მაგალითად: მხატვრული კითხვის კონკურსი სახელწოდებით „მე შენ მიყვარხარ, საქართველო“; ინტელექტუალური კონკურსი „სად, როდის“ - შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი“-ს მიხედვით; კონკურსი „გააგრძელე ლექსი“; პროექტები „მცხეთა, იბერიის დედაქალაქი“ და „ვიკითხოთ ერთად“; აქცია-შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან და ა.შ.

მართალია, გარკვეული დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მაინც მინდა გავიხსენო წინა წლების რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება: არაჩვეულებრივი შეხვედრა ანა კალანდაძესთან; შეხვედრა-დისკუსია რატი ამალაშვილთან და ლაშა ბულაძესთან; ნამდვილად დაუვიწყარი და მნიშვნელოვანი ღონისძიება - მწერალ ვალერიან მამუკელაშვილის საიუბილეო საღამო და ა.შ. საყურადღებოა ასევე მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და

განათლების მულტიფუნქციური ცენტრის მიერ ორგანიზებული აქცია პერფორმანსი სახელწოდებით „შემიყვარე“, რომლის იდეის მიხედვით, თითქოს ჩვენს თაროებზე განლაგებული წიგნი მიმართავდა მკითხველს - „შემიყვარე“.

დღეს კი, როდესაც კოვიდ-პანდემიამ ასე შეგვიზღუდა მკითხველთან ურთიერთობა, ფეისბუკ გვერდის საშუალებით ვატარებთ შემდეგი სახის აუდიო-ვიდეო პროექტს: „მცხეთელი პოეტების პოეზიის ხუთი წუთი“, რომელიც მოიცავს მთელ მუნიციპალიტეტს. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყოველ წელს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვატარებთ აქცია-ღონისძიებებს სხვადასხვა სახელწოდებებით: „იკითხე წიგნები, უკეთესი იქნები“, „ეძებე შენი წიგნი“, „იპოვნე შენი ბიბლიოთეკა“ და სხვა. ღონისძიებების შემდეგ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის დირექტორის, ქალბატონი შორენა არჯევანიძის ინიციატივით ბავშვებს საჩუქრად ურიგდებათ საბავშვო წიგნები. ყოველი ჩვენი ღონისძიება სრულად არის ასახული როგორც მცხეთის მთავარი ბიბლიოთეკის, ასევე გაერთიანების ფეისბუკ გვერდზე.

როგორც აღვნიშნე, ბევრი ერთგული მკითხველი ჰყავდა და ჰყავს მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის მთავარ ბიბლიოთეკას. ერთ-ერთი მათგანია მწერალი ვალერიან მამუკელაშვილი, რომელმაც ასე გამოხატა თავისი გრძნობები და სიყვარული ბიბლიოთეკის მიმართ:

„მე ბიბლიოთეკას განძთა სავანესაც დავარქმევდი, რადგან მასზე უფრო დიდი სიმდიდრე არსად მეგულება. აქ ამ წმინდა ადგილზე, ბიბლიოთეკის დარბაზებში, თაროებზე ფეხზე დგანან ისინი, რომელთა სიბრძნემაც გააბრწყინა, გაანათა არა მარტო ერთი სიცოცხლის მოკლე მანძილი, არამედ საუკუნეები, ათასწლეულები, ვისი ნამოღვაწარიც კაცობრიობას შემორჩა როგორც სულიერი საზრდო, რომელსაც ვერაფერს აკლებს წელთა მდინარება, ვისმა წიგნებმაც გაუძღეს მრისხანე, დაუნდობელ ქართველებს, კატაკლიზმებს, ავთა და ბოროტთა ქმედებებს.

და, როდესაც დღე დამთავრდება, დაიკეტება

ბიბლიოთეკის კარები, წიგნებში დაუნჯებული გმირები შუქურვარსკვლავად გადაქცეულნი, ჩვენს თავსასთუმალთან იკრიბებიან, გვარიგებენ, გვამხნევენ, რათა არ შევცდეთ, გულში სიკეთე გავამრავლოთ, გაჭირვებულთ დავეხმაროთ, ნაქცეული ფეხზე წამოვაყენოთ, სწავლას კარები ფართოდ გავუღოთ. იმ ვარსკვლავებიდან ერთს შექსპირი ჰქვია, მეორეს რუსთაველი, მესამეს ბაირონი, მეოთხეს გოეთე, მეხუთეს ილია, მეექვსეს აკაკი, მეშვიდეს ვაჟა, მერვეს გალაკტიონი და ასე შემდეგ. და ბოლოს, თქვენ მინდა გითხრათ მადლობა ბიბლიოთეკაში მოღვაწეებს



ვალერიან მამუკელაშვილი  
მწერალი

იმ უანგარო, ერთგული სამსახურისათვის, რომელსაც ენევით ამ ტაძარში, სიყვარულით თავს დაჰკანკალებთ თვითვე წიგნს, ჟურნალს თუ გაზეთს. სიყვარულს უდიდესი ძალა აქვს, სიყვარული ხომ წყურვილია უკვდავებისა, დედამშობელი სიკეთისა. თუ არა სიყვარული წიგნებისა, რა გაგაძლებინებდათ წლების მანძილზედ იმ მიზერულ ხელფასზე, რომელსაც თქვენ იღებთ. მაგრამ დიდ არს ძალა წიგნისა რამეთუ: 1) „კაცთა მომნიჭებელი პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრება არს.“ - წერდა დავით აღმაშენებელი; 2) „სახლი, სადაც წიგნი არაა, უსულო სხეულია.“ - ამბობდა ციცერონი; 3) „წიგნი ჩემთვის მეფის ტახტზე უფრო ძვირფასია.“ - წერდა შექსპირი; 4) „უწინოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა.“ - გვმოდღვრავდა დიდი ილია.

ამიტომაც, დამილოცნიხართ წმინდა ტაძრის წმინდა მოსამსახურენო, დიდება თქვენს შრომას!

მხცოვანი მეცნიერისა და მწერლის სიტყვებს ბიბლიოთეკისა და წიგნის მნიშვნელობაზე დიდი აღმზრდელობითი დატვირთვა აქვს. ჩემი მხრივ კი, მინდა მივმართო ჩვენს მკითხველს - ძალიან კარგია თანამედროვე სამყარო, თუმცა წიგნისა და მკითხველის ურთიერთობა სულ სხვა მისტიკაა. ვურჩევ, მოვიდნენ ჩვენს ბიბლიოთეკაში, ჩვენ ყველანაირად უზრუნველყოფთ მათ მოთხოვნებს. პირადად მე ბიბლიოთეკას დავარქმევდი „წიგნის სახლს - სახლი თითოეული მცხეთელისთვის“.



**ნათუნა ბუზალაძე**

გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების ბიბლიოთეკების კურატორი

# გურჯაანის ღვინის ბიბლიოთეკა

პალიტეტში ტრადიცია ჩაეყარა ღვინის ფესტივალს და უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ტარდება. მისი მიზანია ქართული ღვინისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებამაც სცადა, თავისი წვლილი შეეტანა ქართული ღვინის ათასწლოვანი კულტურის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

არავისთვის არ არის ახალი, რომ ქართულ ღვინოსა და მევენახეობას დიდი საერთაშორისო აღიარება ხვდა წილად. არ გუვლია ქართულ მიწაზე უცხოელ მოგზაურს, რომ ქართული ღვინის სიკეთით განცვიფრებულს ქებითა და დიდებით არ მოეხსენიებინოს იგი!

უნიკალური ვაზის ჯიშებისაგან დაყენებული ქართული ღვინო საქართველოს უცვლელი სავიზიტო ბარათია. ქართველ კაცს არ შეეძლო ცხოვრება უვაზოდ და უღვინოდ. მისი ეკონომიკური მნიშვნელობა დიდი იყო და არის დღესაც. გურჯაანი კი ტრადიციულად წარმოადგენს ადგილს, სადაც ვაზის კულტურა და მეღვინეობა უხსოვარი დროიდან არის განვითარებული. მართო ის რად ღირს, რომ ვაზის 500-ზე მეტი ქართული ჯიშია ცნობილი მსოფლიოში, აქედან რქაწითელი, მწვანე და საფერავი გურჯაანის მეღვინეობისათვის სტრატეგიულ პროდუქტს წარმოადგენს. გურჯაანში წარმოებული ღვინის ამოუცნობი გემოს საიდუმლო, ჯიშის უნიკალურობასთან ერთად, დამზადების ტექნოლოგიაშიც არის.

ადგილობრივი უნიკალური ჯიშებისა და ტრადიციული მეღვინეობის საფუძველზე ჩვენს რეგიონს სამართლიანად აქვს დამკვიდრებული ღვინის სამშობლოს სტატუსი. ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, გურჯაანის მუნიცი-

პალიტეტში ტრადიცია ჩაეყარა ღვინის ფესტივალს და უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ტარდება. მისი მიზანია ქართული ღვინისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა. გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებამაც სცადა, თავისი წვლილი შეეტანა ქართული ღვინის ათასწლოვანი კულტურის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. მეღვინეობისა და მევენახეობის სპეციალისტებს, ღვინის მოყვარულებს სასიამოვნო სი-ახლეს ვთავაზობთ: ბიბლიოთეკის სივრცეში საფუძველი ჩავუყარეთ ღვინის ბიბლიოთეკას, სადაც წარმოადგინეთ მეღვინეობისა და ღვინის შესახებ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნადი რესურსი. გარდა იმისა, რომ მკითხველს შევთავაზებთ საჭირო ლიტერატურას ამ დარგში, გვაქვს შესაძლებლობა გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ელექტრონული რესურსებიც. ჩვენ შევეცდებით, ღვინის ბიბლიოთეკაში ჩავატაროთ არაერთი აქტივობა, რომლებიც საზოგადოებას შეახსენებს ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მის როლსა და მნიშვნელობას ქართული ეკონომიკის განვითარების საქმეში.

ბიბლიოთეკის სივრცეს შევთავაზებთ ამ დარგის სპეციალისტებს ტრენინგებისა და საქმიანი შეხვედრების ჩასატარებლად. იმედს ვიტოვებთ, რომ ღვინის ბიბლიოთეკა წარმატებით შეძლებს შეასრულოს ის მისია, რა მიზნითაც იგი შეიქმნა და გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ დარგის შემდგომი განვითარების საქმეში. გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება მადლობას უხდის იდეის ავტორს, ბატონ, მირიან ხოსიტაშვილს, აგრეთვე, ქალბატონ რუსუდან ასათიანსა და ბესო ბაჯელიძეს - იდეის მხარდაჭერისთვის.



## ინფორმაციული წიგნიეხება

### ენდრიუ უოლში

ჰადერსფილდის უნივერსიტეტი,  
დიდი ბრიტანეთი

# „თამაშით სწავლის“ როლი ინფორმაციული წიგნიერების განვითარებაში

### რეზიუმე

თამაშს ხშირად არასერიოზულ, მხოლოდ მცირეწლოვანი ბავშვებისათვის მახასიათებელ თვისებად მიიჩნევენ. ამის საპირისპიროდ, წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ „თამაშით სწავლის“ მეთოდს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის ინფორმაციული წიგნიერების განვითარების საქმეში. ავტორი გვაცნობს იმ პედაგოგიურ ნაშრომებს, რომლებშიც „თამაშით სწავლის“ თეორიები განხილული და გვიჩვენებს მათ შორის არსებულ კავშირებს, ასევე საილუსტრაციოდ მოჰყავს პრაქტიკული მაგალითები საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ცოდნის სფეროდან; მოკლედ მიმოიხილავს აღნიშნული მეთოდის გამოყენების თანმდევ ხარვეზებსა და დაბრკოლებებს; მკითხველს სთავაზობს ამ მეთოდის პრაქტიკაში დანერგვის რამდენიმე გზას.

### ინფორმაციული წიგნიერება

ინფორმაციულ წიგნიერებას ბევრი განსაზღვრება აქვს. მოცემულ სტატიაში ამ ცნების იმ არსებით ნიშნებსა და ჩარჩოებს განვიხილავთ, რომლებიც მის გარემოებით განპირობებულ და შედარებით ბუნებას ასახავენ. „ინფორმაციული წიგნიერება“ არის ჩვენ მიერ მოპოვებული და გამოყენებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასებისა და, აქედან გამომდინარე, დასკვნის გამოტანის უნარი“ (CILIP, 2018). ამ ცნების ახალი განმარტებები ძველისაგან იმით განსხვავდება რომ: ეს უკანასკნელი ადამიანის ინფორმაციისადმი დამოკიდებულების ცვალებად ხასიათზე მიუთითებენ და მიიჩნევენ, რომ ადამიანის სუბიექტური მიმართება ინფორმაციისადმი მისი სამყოფელისა და გარემოებების მიხედვით შეიძლება იცვლებოდეს; ამასთანავე, კრიტიკულ აზროვნებასა და წარმოსახვაზე მაღლა აყენებენ

სათანადო ცოდნათა იმ განსაზღვრულ მონაცემებს, რომლებიც ინფორმაციულად განვითარებულ თუ წიგნიერ ადამიანს უნდა ახასიათებდეს.

„ინფორმაციული წიგნიერება არის ინფორმაციის აღმოჩენის, გადამუშავებისა და შეფასების, ასევე ახალი ცოდნის შექმნისა და, სასწავლო თემებში მისი ეთიკურად დანერგვის მიზნით, ინფორმაციის გამოყენების უნარების ერთობლიობა“ (ACRL, 2016).

ინფორმაციული წიგნიერების გარემოებით განპირობებული და შედარებითი ხასიათი პირველად ქრისტინა ბრიუსმა მიმოიხილა თავის ნაშრომში 1997 წელს და მისი მოსაზრებანი დღესაც ფართოდ არის გავრცელებული და მიღებული. ეს კარგად გამოჩნდა განმარტებებშიც, განსაკუთრებით ისეთ ფრაზებში, როგორც არის, მაგ., „reflected discovery“ („წარმოსახვითი აღმოჩენა“), რომელმაც შეცვალა ტერმინი “search” (ძებნა, ძიება) და „balanced judgements“ (შემაჯამებელი დასკვნები), რომელიც „evaluation“ („შედეგების შეფასება“) - ის ნაცვლად იხმარება.

ჩვენს სტატიაში ინფორმაციულ წიგნიერებას განვიხილავთ არა მხოლოდ ზემოთ დასახელებულ გარემოებით განპირობებულ და პრობლემატურ ქრილში (აქ ის, უშუალოდ, იმ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომელშიც ესა თუ ის ადამიანი საქმიანობს), არამედ მას წარმოვადგენთ აგრეთვე, როგორც გარკვეული ქცევების, მიმართებებისა და უნარების ერთობლიობას, რომელიც ასე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ადამიანი საზოგადოებისა და მისი თემების სრულყოფილი წევრი გახდეს.

### თამაშით სწავლა

თამაშით სწავლის მეთოდი გვიჩვენებს, რომ თამაში (playful) არის გააზრებული მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს სურვილი ქცევითი



თამაშისა, რაც სასწავლო პროცესისათვის არის სასარგებლო. იგი მთელ რიგ სამეცადინო სტრატეგიებსა და ტექნიკურ ხერხებს (მათ რიცხვში წარმოსახვით თამაშებსაც კი) მიმართავს, რომ ამ მეთოდით სწავლაში წარმატებულ შედეგებს მიაღწიოს. ხალისი (Playfulness), რომელიც ამ დროს ჩნდება, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თამაშის რომელიმე ცალკე აღებული გამოჩეული ასპექტი. ეს არის ტვინის მდგომარეობა, რომელიც მოიცავს „რალაცა ახლის და რალაცა უფრო ძნელის გაკეთების სურვილს, რის წარმატებაშიც დარწმუნებული არ ხარ“ და თავის თავში აერთიანებს ფანტაზიის, ზეიმის, შემოქმედებითობის, იუმორის, სიურპრიზისა და წარმოსახვის უნარებს. ასე რომ, თამაშით სწავლა ზოგჯერ იმის საშუალებას გვაძლევს, რომ მოსწავლეებმა საკუთარ თავში, სრულიად მოულოდნელად, აღმოაჩინონ ახალი უნარები და თავიანთ შეცდომებზე ისწავლონ.

ნორგარდი და სხვა ავტორები აღწერენ, თუ რა აშკარაა სწავლაში თამაშის სტრუქტურების წვლილი, რათა შეიკრას სათამაშო გარემოს „მაგიური წრე“, სადაც ხარ უსაფრთხო და დაცული. ამ სტრუქტურებში იგულისხმება თამაშის დროს მხიარული ურთიერთობის წახალისება და მოსწავლეთა გულთა ურთიერთობების მხარდაჭერა, რაც აძლიერებს დემოკრატიულ ღირებულებებს და მათი მიღების მოლოდინს. მოსწავლეები გრძნობენ, თუ რაოდენ დაფასებულნი არიან და, რომ მარცხი და შეცდომა სწავლის პროცესის სრულიად ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილია. თამაშით სწავლა უფრო მეტადაა მზარდი შინაგანი მიზანსწრაფულობის წყარო, ვიდრე გარედან შეპირებული ჯილდოს მოლოდინი. ნორგარდის მოდელის სტრუქტურები გვხმარება, რომ სასწავლო აქტივობებთან ერთად, შევქმნათ ეფექტური ფიზიკური თანამონაწილეობის გარემო, სადაც ადვილდება ბევრ ადამიანთან თანამშრომლობა; სადაც მზადყოფნაა ახალი ექსპერიმენტებისა და უნარების, ყველა სიახლისა და სიურპრიზის მიმართ. ავტორები იმაზე მსჯელობენ, თუ როგორ გახადონ თამაშის ეს სტრუქტურები ხალხის დიდი ნაწილისათვის მისაღები სათამაშო მექანიზმების ჩართვით. სინამდვილეში, ეს სტრუქტურები თამაშით სწავლის მეთოდის მხოლოდ ზედა ფენაა და ბევრადაა ამოკიდებული უფრო სიღრმისეულ

ფენებზე, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენებდით.

თამაშით სწავლა, ტრადიციულად, უმცროსი ასაკის ბავშვთა სწავლაზეა დაფუძნებული. პედაგოგიკის წამყვანი თეორეტიკოსები, პიაჟე და ვიგოცკი, ვრცლად მსჯელობენ ამ საკითხის შესახებ. მაგ., ვიგოცკის პოტენციური განვითარების უახლოეს ზონას (1978) თამაშში უმთავრესი ადგილი უჭირავს. იგი სწავლისათვის ისეთ სიტუაციურ გარემოს ქმნის, რომელშიც ბავშვი დამოუკიდებლად და ოსტატურად ბაძავს სხვებს. პიაჟე (1962) სწავლის ახალ კონცეფციებში თამაშს ცენტრალურ კომპონენტად არ განიხილავს, თუმცა მიაჩნია, რომ ეს მეთოდი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვთა განვითარების საქმეში, კერძოდ, თამაში ეხმარება მათ ერთხელ უკვე ნასწავლი ცნებებით გავარჯიშებასა და ამ პროცესისათვის საჭირო გარემოს შექმნაში.

ზემოთ ნახსენები ორივე მკვლევარი ეყრდნობა სწავლის კონსტრუქტივისტულ თეორიას, სადაც ცოდნა მოსწავლის უკვე არსებულ გამოცდილებებს ეფუძნება და თავის მხრივ, სოციალური ურთიერთობებით არის განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქტივისტული სწავლის თეორია, ძირითადად, მცირეწლოვან ბავშვთა სწავლაზეა დაფუძნებული, მას წარმატებით იყენებენ მოზრდილთა სწავლებაშიც. ცალკეული პედაგოგიური მოძღვრებები, რომლებიც სწავლის კონსტრუქტივისტულ თეორიას იზიარებენ, თავის თავში მოიცავენ: აქტიურ სწავლებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, ექსპერიმენტულ სწავლებასა და კონსტრუქტივიზმს (ცოდნის აგება წინა გამოცდილებების საფუძველზე). თამაშის ზუსტი ელემენტები სასწავლო თეორიებში უფრო ხშირად მაშინ იკარგება, როცა ხდება მათი სპეციალურ პედაგოგიურ მიდგომებად ჩამოყალიბება. თუმცა მათი ბუნდოვნება და შეუცნობლობა ამ შემთხვევაშიც არ არის გამორიცხული. მაგ., აქტიური სწავლა, იგივე „კითხვით სწავლა“, არის კონსტრუქტივისტული მეთოდი, მას პირდაპირ „თამაშად“ ვერ განვიხილავთ, მიუხედავად იმისა, რომ თამაშის ბევრ ელემენტს შეიცავს და აქტიური სწავლისათვის დამახასიათებელ უამრავ საშუალებას იყენებს. გამოკითხვასა და პრობლემაზე დაფუძნებული თეორიებიც, ანალოგიურად, ისეთი გარემოს შექმნას ითვალისწინებენ, სადაც მთავარი გა-



მონვევა პრობლემის ჯგუფური კვლევაა, სადაც შეიძლება სწავლის მონინაალმდეგის როლიც (მხედველობაში პროფესიული თვალსაზრისი გვაქვს) კი ითამაშოთ. ეს უფრო „გეიმს“ ჰგავს, სადაც წესები შეფასების კრიტერიუმებიდან გამომდინარეობენ და მოსწავლეებისთვის შესაფერის პროფესიულ გარემოს ქმნიან (აქ ისინი თავს ბუნებრივად გრძნობენ). მათში როლური თამაშის ელემენტები ჩაქსოვილია ამოსახსნელი კითხვარების, წარმოსახვებისა თუ გამოცანების სახით. შეკითხვებსა და სირთულეების დაძლევაზე დაფუძნებული სწავლების შესაქამებელი შედეგების საჩვენებლად, შეგვიძლია მოვანყოთ წარდგენები (პრეზენტაციები) და მოვყვეთ იმაზე, თუ რა და როგორ შეისწავლეს ჯგუფებმა. ესაა თამაშით სწავლის ის თვალსაჩინო ელემენტები, რომლებსაც მოსწავლეები შეიძლება, ვერც კი ამჩნევდნენ.

სტუდენტთა სწავლებაში ხშირად ვერ ხერხდება „მხიარული ურთიერთობის“ გამოყენება, რათა თამაშის შეზღუდული წესების მიმღებლობა, მისი ექსპერიმენტული შემოწმება და „მაგიურ წრეში“ გადასვლა გაადვილდეს. ეს „მხიარული ურთიერთობა“, თამაშის ფსიქოლოგიური მიმღებლობა, შეიძლება განვიხილოთ, როგორც სწავლისათვის (სასწავლო სივრცეში არსებული თამაშისა და სხვა სასწავლო აქტივობებისათვის) აუცილებელი, სასიცოცხლო გარემო. თამაშით სწავლების მომხრე პედაგოგიური თეორიების განვითარების მცდელობა მკაფიოდ „ასახავს კონსტრუქტივისტული სწავლის ძირითად ელემენტებს“, რასაც სიახლისა და სურპრიზის სახით მხიარულების ელემენტებიც ემატება. ყველა ეს თეორია (მცირეწლოვანი ბავშვებისათვის თუ მოზრდილთათვის), თავისი მკაფიოდ აგებული პრინციპებითა და ჯერ უამრავი გაურკვეველი აქტივობით, სათავეს იღებს კონსტრუქტივისტული მიდგომებიდან.

თინეჯერებსა და მოზრდილებში თამაშით სწავლის მიდგომები იძლევა უმაღლესი განათლების სფეროში სტუდენტებისა და ლექტორების პრაქტიკული გამოცდილების გაუმჯობესების შესაძლებლობას „გართობის“, სიამოვნებისა და შემოქმედებითობის ზრდის გზით, აგრეთვე ნახალისების, ვარჯიშის, ჩართულობის, ხარაჩოს ტექნიკის, უკუკავშირისა და ციფრული წიგნიერების გამოყენებით. ეს უქმნის მოსწავლე-

ებს უსაფრთხო გარემოს კვლევა-ძიებისათვის, რათა მათ მეტაფორულად აზროვნება შეძლონ. აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდებისათვის. კერძოდ, მხედველობაში მისაღებია თამაშის თანამდევნი სოციალური ასპექტები, რაც ექსპერიმენტისთვის „დაცულ გარემოს-ფორუმს“ ქმნის და იძლევა შესაბამისი სუბკულტურის/ჯგუფის ჩამოყალიბების საშუალებას. საუბარია იმ სოციალურ ჯგუფზე, ვის ნაწილადაც მიიჩნევა თავს მოსწავლე“.

ამ გარდამავალ პერიოდებს, როდესაც ადამიანები ახალი ჯგუფის წევრობას, ენას და აზრებს ითავსებენ და თამაშობენ, მნიშვნელოვანი თანხვედრა აქვთ ზღვრული ცნებების იდეასთან. მოსწავლეები ზუსტად იმავეს აკეთებენ ამ თეორიის „გარდამავალ სივრცეებში“. აქ ისინი მანამდე თამაშობენ, სანამ სრულად არ გააცნობიერებენ ყველაფერს, რაც არის კიდევ მათი განვითარების გზაზე გადადგმული გარდამქმნელი ნაბიჯი. „ზღურბლურ სივრცეებში“ მყოფი მოსწავლეები იღვწიან, რომ ბოლომდე ჩაწვდნენ ცნებების მნიშვნელობას, რისთვისაც მათ ძველ და ახალ „გაგებათა“ შორის უნევთ მოგზაურობა. ეს კი შეიძლება სარისკო და სახიფათოც აღმოჩნდეს მათთვის. სწორედ ამიტომ ცდილობენ ისინი სივრცეში თავის დამკვიდრებას წარმოდგენილი ენისა და სტრუქტურების მიბაძვის საშუალებით. ამგვარი „სასწავლო მოგზაურობისას“ მოსწავლეებმა შეიძლება უსაფრთხო სივრცის შექმნის გზას მიაგონ. ანალოგიურად ხდება როლური თამაშის დროსაც. როდესაც მოთამაშე უსაფრთხო სივრცეში ცხოვრობს (სხვა ხასიათის, სტილის ცხოვრებით). ეს ჰგავს „მხიარულ ურთიერთობას“, რომელიც თამაშში შესასვლელად არის საჭირო. თამაშში რომ სრულად ჩავერთოთ, მისი შეზღუდული წესები უნდა მივიღოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვეთანხმებით იმ ენობრივ და ქცევით წესებს, რომლებითაც ადამიანები ზღვრული ცნებების ბოლომდე წვდომას ლამობენ. სპეციალურ დისციპლინაში ჩართული ზღვრული ცნებები ხშირად შეუმჩნეველი რჩება, რაც გაგების პროცესს ართულებს. სწავლა კი უფრო საინტერესო ხდება იმ თვალსაზრისით, რომ „ქვეტექსტიანი თამაში მოსწავლისაგან უსიტყვო თამაშში ჩაწვდომას, ფიქრსა და ვარჯიშს მოითხოვს“.



შესაბამისობა თამაშით სწავლასა და ინფორმაციულ წიგნიერებას შორის

თუ თამაშით სწავლას განვიხილავთ, როგორც საზოგადოებრივად განპირობებულ მიდგომას, სადაც „აზრი“ და „გაგება“ ჩვენი სამოქმედო არეალის კონტექსტში და ჩვენივე კოლეგების გარემოცვაში იქმნება, მაშინ გამოდის, რომ ინფორმაციული წიგნიერების განვითარებისათვის ნოყიერი ნიადაგი გვაქვს. ინფორმაციული წიგნიერება წმინდად ინდივიდუალისტური ბუნების არ გახლავთ. მის განვითარებას იწვევს ჩვენი ურთიერთობა სპეციფიკური კონტექსტის ინფორმაციასთან და ამ კონტექსტში მოქმედ სხვა ადამიანებთან. ეს ეხება ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფს თუ შესასწავლ საგანს. მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვის საშინაო დავალებას განვიხილავთ თუ სახანძრო რაზმის წევრის მიერ თავის საქმიანობაში პროფესიული ინფორმაციის გამოყენების საკითხს. ინფორმაციული წიგნიერება, რომელიც კონტექსტუალურად ვითარდება, კარგად თანხვდება იმ სასწავლო თეორიებს, რომლებიც ცოდნისა და სწავლის სოციალურად კონსტრუირებულ ბუნებას ეყრდნობიან. ზემოთ ითქვა, რომ თამაშით სწავლის პედაგოგიური მეთოდი ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებთან შეიძლება გამოდგეს, მიუხედავად იმისა, რომ მას, ჩვეულებრივ, მცირე ასაკის ბავშვებთან სამუშაოდ უფრო იყენებენ. თამაშით სწავლის ბევრი მაგალითი გვაქვს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მუშაობს იგი სხვადასხვა ასაკისთვის განსაზღვრულ ბიბლიოთეკებში, განსაკუთრებით კი, უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, რომლებიც ფოკუსირებისა და კულტურის გავრცელების (წიგნებითა და სტატიებით) შესანიშნავ საშუალებას ქმნიან. სამწუხაროდ, გართობასა და თამაშზე დაფუძნებული სასწავლო თეორიის შესახებ ბევრი ლიტერატურით ვერ დავიკვებინით, არც ინფორმაციული წიგნიერებისა და თამაშით სწავლის სფერო გამოირჩევა წიგნების დიდი რაოდენობით.

და მაინც, აშკარად შესამჩნევია, რომ ინფორმაციული წიგნიერებისადმი კონტექსტუალური, შეფარდებითი მიდგომა სხვებთან ურთიერთობისა და შედარების საფუძველზე გაჩნდა მანამდე არსებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ინფორმაციული წიგნიერების განვითარება სწავლისადმი ზემოგანხილულ კონ-

სტრუქტივისტულ მიდგომას შეესაბამება. მისი სრულყოფისთვის ნებისმიერი პედაგოგიკური მეთოდი გამოდგება, რომელიც სწავლისადმი სოციალურ კონსტრუქტივისტულ დამოკიდებულებას ეფუძნება. ეს აზრი კიდევ უფრო განამტკიცა სულ ახლახანს „კოლეჯებისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკების ასოციაციის“ მიერ მიღებულმა პლატფორმამ „უმაღლეს განათლებაში ინფორმაციული წიგნიერების შესახებ“, რაც „ინფორმაციული წიგნიერებისათვის ზღვრული ცნებების“ დანართში აისახა. ზღვრული ცნებების არსი ის არის, რომ მოსწავლეები დიდხანს რჩებიან გარდამავალ სივრცეებში, სანამ საკვანძო ცნებების შესახებ ყველაფერს არ გაარკვევენ. ისინი ამას იმ ენით გაახმოვანებენ, რომელიც გაიგონეს, გამოიყენებენ იდეებსა და უნარებს, სანამ გაგების იმ ზღვარს არ გადააბიჯებენ, თავიანთ პროფესიულ (ან განათლების) კონტექსტში რომ ხვდებოდნენ. ეს კი ისე ჟღერს, როგორც ზემოთ განხილული „სოციალურად კონსტრუირებული სწავლა“. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია ის აზრი, რომ თამაშით სწავლა გარდამავალ სასწავლო სივრცეებში უფრო ძლიერია. ვარაუდი, რომ თამაშით სწავლა ხალხის მიერ ინფორმაციული წიგნიერების განვითარების გზადაა მიჩნეული, უსაფუძვლოდ არ გვეჩვენება, ვინაიდან თამაშით სწავლა ერთნაირად გამოსადეგი პედაგოგიური მიდგომა შეიძლება იყოს, როგორც მცირე ასაკის ბავშვებისათვის, ასევე მოზრდილთათვის. თუმცა, მიუხედავად ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებისა და თამაშის (play) როლზე ინფორმაციული წიგნიერების განვითარების საქმეში, ტერმინი „თამაში“ უფრო იშვიათად იხმარება და არ არის გამოკვეთილი, როგორც წამყვანი სიტყვა „გართობისა“ და „წახალისების“ გვერდით. ეს იმ აზრის მიუხედავად, რომელიც თვლის, რომ თამაშში ჩართვა ყოველთვის პრობლემატური იყო. თამაში, თავისთავად, შეიძლება იყოს ჩართულობის სტიმულატორი, თუმცა სასწავლო სიტუაციებში მოსწავლეთა თამაშის მდგომარეობამდე მიყვანა მაინც მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ჩვენ ვერ ვაიძულებთ ხალხს, რომ ითამაშონ (თამაშის ბევრ დეფინიციაში ვხვდებით მას, როგორც ცენტრალურ კომპონენტს). ამ მხრივ (და ეს ეხება თამაშით სწავლის მიდგომებსაც), განსაკუთრებულ სიძნეელებს მოზრდილებში ვაწყდებით.

### თამაშით სწავლის სირთულები

ლიტერატურაში, რომელიც ინფორმაციული ნიგნიერების განვითარებას შეეხება, თამაშით სწავლების მაგალითების უმრავლესობა აქცენტს აკეთებს სტრუქტურულ თამაშებზე ან გამოფიკაციაზე (თამაშის მსგავსი ელემენტების ერთიანობა გამოცდილებისა და წახალისების გამოყენებით), ხოლო ისეთ ცნებებს, როგორცაა „თამაში“ (play) და „მხიარულება“ (playfulness) მხოლოდ გაკვირვებით ეხება. ეს არც ისე გასაკვირია, რადგან „თამაში“ (play) ხშირად ბავშვობად ან ბავშვებისთვის შესაფერ აქტივობად აღიქმება. ადრეულ ბავშვობაში (როცა თამაში ყველაზე მისაღებია) მიღებულ ინფორმაციულ ცოდნაზე კი იშვიათად მსჯელობენ. ჭაბუკობისა და მოზრდილობის ჟამს თამაშს უფრო შეუფერებლად მიიჩნევენ და მას განიხილავენ, როგორც რაღაცა უხერხულს, რომელიც „ალიბის“ მოითხოვს. თამაშში აქ თავისუფალი წარმოსახვითი აქტივობები და უნარები იგულისხმება, კერძოდ, საქმისა და განათლებისადმი „მსუბუქი“ მიდგომა ბავშვობას ნამდვილად ახასიათებს, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად ამგვარი განწყობა შესამჩნევად კლებულობს. თამაში შეიძლება „პოლიტიკურ აქტადაც“ ჩაითვალოს. ერთი მხრივ, იგი ცხადყოფს, თუ როგორ ვურთიერთობთ გარემომყაროსთან და, მეორე მხრივ, ეს ქმედება ჩვენგან გარკვეულ გაბედულებას მოითხოვს. ამას კი იმის ახსნამდე მივყავართ, თუ რატომ არის გამახვილებული ყურადღება საინფორმაციო ნიგნიერებისა და თამაშით სწავლის შესახებ ინსტრუქციებში ფორმალურ, კერძოდ, კომპიუტერულ თამაშებზე (გეიმები). ამ ტიპის თამაშებს მანქანა უზრუნველყოფს. იგი ქმნის თამაშს და მასთან დაკავშირებული უხერხულობაც მცირდება. ზოგჯერ თავის გასამართლებლად აშკარა „ალიბის“ როლს ისეთი სიტყვები ასრულებენ, როგორცაა „გართობა“ (ფან) და „მზარდი ჩართულობა“ (ინქრიზინ ინგეიჯმენტ), რითაც აკნინებენ თამაშით მოტანილ ისედაც აშკარა სარგებელს ამ ელემენტებთან შედარებით.

თამაშები რომ ყველა ასაკისათვის მისაღები გავხადოთ, ამისათვის უამრავი გზა არსებობს. უოლში უმაღლეს განათლებაში თამაშის დანერგვის ინიციატივით გამოდის და გვიჩვენებს, რომ სტუდენტებს თამაშის დაწყებისთანავე სტიმული მივცეთ; სასწავლო აქტივობებისთვის ხელ-

შემწყობი გარემო შევუქმნათ; სტრუქტურული მიპატიჟებით და ყველა საშუალების სასწავლო მიზნით გამოყენების საფუძველზე მოსწავლეებს ხელში გადავცეთ სადავები; დავენერგოთ პედაგოგიკური მეთოდები; გავუადვილოთ ხალხს თამაშში ჩაბმა თავაზიანი მიწვევით და არა იძულების წესით. ინდუქციური და საორიენტაციო ამოცანები (ეს ის აქტივობებია, რომელთა წინაშე სტუდენტი სწავლის დაწყებისას დგება, უმეტესად, ახალი ორგანიზაციის პირობებში, ოღონდაც კურსის ან მოდულის დასაწყისში) ნორმალურ ქცევას ძლიერ სტიმულს უნდა აძლევდეს. ახლებურად დაგეგმილი პირველი დღეები და კვირები ნიშნავს სოციალური მოლოდინების ახალ ჩარჩოში ჩასმას, რომელმაც შეიძლება მანამდე არსებული იმედები განამტკიცოს ანდა სულაც გააცამტვეროს. ე. ი. ეს ინტერაქტიური, სათამაშო ქმედებები და გეიმები მოსწავლეებს მიუთითებენ, რომ ამ კონტექსტში თამაშით სწავლა არის ჩვეულებრივი, ნორმალური პროცესი. ხოლო თუ დავაგვიანებთ, როგორც კი ქცევითი ნორმები დაინერგება და განმტკიცდება, მაშინ ეს პროცესი, გარდამავალ პერიოდთან, უფრო რთული იქნება.

ხელშემწყობი პირობების შექმნა სათამაშო აქტივობებისთვის ნიშნავს, რომ გარემო, რომელშიც ხალხს სათამაშოდ ვინვევთ, ამ მხრივ შესაფერი და საინტერესო იყოს. ხშირად ხდება, რომ სწავლების სივრცეები, კერძოდ, სალექციო დარბაზები ან ბიბლიოთეკები, მყისიერად კარნახობს მოსწავლეებს ქცევის გარკვეულ წესებს. ადამიანებს ჰგონიათ, რომ ცოდნის შექმნა აქტიურობის გარეშე - პასიურად და წყნარად მოუწევთ. ამიტომ სასწავლო ისეთი სივრცე უნდა შეირჩეს, რომ მოსწავლეები თამაშისთვის განვანყოთ. შეგვიძლია მაგიდებზე დავანყოთ ლეგო (სხვადასხვა ფერის ფიგურები), საძერწი თიხა, კალმები, ფურცლები (ხელით შრომით აზროვნების წახალისება/გააქტიურება), ბუშტები ან მოძრავი სათამაშოები (ყურადღების, კონცენტრაციის გადასატანად). ისეთ საკლასო ოთახებში, სადაც სკამები ერთ ადგილზე არ არის მიმაგრებული, მაგიდები შეგვიძლია სხვადასხვა კონფიგურაციით დავალაგოთ (ან სულაც ოთახიდან გავიტანოთ), რათა წავახალისოთ აქტივობა, ჯგუფური მუშაობა და ჩართულობის სხვა ფორმები.



სასწავლო მიზნების, როგორც მეთოდების, გადაცემა მოსწავლეებზე სტრუქტურული მიწვევის ხარჯზე არღვევს იმ ძლიერ ტრადიციულ სტრუქტურებს, რომლებსაც სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე ვხვდებით. ეს განაპირობებს ყურადღების გამახვილებას მასწავლებელზე, ლექტორზე, ბიბლიოთეკარზე, ე. ი. იმ პირებზე, ვინც ცოდნას გადასცემს მოსწავლეს/სტუდენტს. თუმცა თამაშში ყურადღება უფრო თანაბრად ნაწილდება იმ მოთამაშეთა შორის, რომლებსაც თავიანთი თავის შეცვლა უნევთ ჯგუფზე მოსარგებად. ხოლო იმისათვის, რომ სასწავლო აქტივობები ნამდვილად გასართობი იყოს, მოსწავლეებს უფრო მეტი უფლებამოსილება უნდა მივანიჭოთ. მაგ., მიუხედავად სასწავლო მიზნების მნიშვნელობისა, ჩვენ შეგვიძლია ისინი გეგმავთაგან და სპონტანურობის მიხედვით დავალაგოთ იმ მოსწავლეებთან, რომლებიც შორს არიან წინასწარ დასახული მიზნებისაგან. ფაქტების შეფასებითა და გამეორებით ხელს ვუშლით თამაშს მაშინ, როცა შემოქმედებითი სავარჯიშოებით მის წახალისებას ვაღწევთ.

სათამაშო (გასართობი) პედაგოგიკური მეთოდები სწავლისა და სწავლების სფეროში თამაშზე მიწვევის თვალსაჩინო საშუალებებია. გაკვეთილების მომზადებაში თამაშით სწავლის ხერხების, გამოყენება გვარწმუნებს იმაში, რომ ეს გამომწვევები პედაგოგიკურ მეთოდებშია ჩართული. ცოდნა და სასწავლო გეიმები წარმატებით გვეხმარება ფაქტებისა და პროცესების თვითმიგნებაში; წრმოსახვები - უნარების გავარჯიშებაში; შემოქმედებითი სავარჯიშოები - ათვისებაში და ეს ყველაფერი ერთად ხელს უწყობს კლასში თამაშით სწავლის მეთოდის გამოყენებას.

ადამიანები სწავლის პროცესში უნდა შევიყვანოთ ნებით და არა იძულებით წესით. ასეთი მიდგომა თანხვდება თამაშის ნორმალურ განმარტებას, რომლის მიხედვითაც, თამაში ყოველთვის ნებაყოფლობითი აქტივობა უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხს შეუძლია თვითონ გააკეთოს არჩევანი. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო აქტივობები თამაშის გამოყენებით იყოს კარგი და ეფექტური; არ ვაიძულოთ ადამიანები, რომ თამაშში სრულად ჩაეფლონ (თუნდაც ვიცოდეთ, რომ უამისოდ საქმე არ გამოვა). ყველა შემთხვევაში, ყურადღებას მივმართავთ

წახალისებაზე და არა იძულებით რამის კეთებაზე. თამაშში, რომელიც სავალდებულო გახდება, თამაშად აღარ ჩაითვლება. უოლში ცდილობს, გვიჩვენოს, რომ თამაშში „ნორმალური“ და „მისალმობი“ კონკრეტულ კონტექსტში, ურომლისოდაც მას გარკვეული უხერხულობა შეექმნებოდა. მკვლევარმა აქ უმაღლესი განათლების კონტექსტი იგულისხმა, თუმცა ინფორმაციული წიგნიერების პარამეტრები შეიძლება ნებისმიერი ბიბლიოთეკისა და ასაკობრივი ჯგუფისათვის წარმატებით გამოვიყენოთ. გამოცდილების გაზიარების მიზნით, თამაშით სწავლის მიდგომებში ხშირად იყენებენ მზა ფრაზებს ან მექანიზმებს. ეს საკითხი ზემოდასახელებულ ლიტერატურაშიც მიმოვიხილეთ, სადაც ვსაუბრობდით კომპიუტერულ გეიმებზე, სხვა სახის თამაშებსა და შემოქმედებით სავარჯიშოებზე, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება თამაშით სწავლა. ეს მაშინ, როცა „თამაში“(ფლეი) ბავშვურ საქმიანობად ითვლება, ხოლო მისი ალტერნატივა - კრეატიული სავარჯიშოები, სხვადასხვა ასაკისათვის შესაფერისად არის მიჩნეული (მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტივობები, ძირითადად, შეიძლება ჰგავდეს კიდევ ერთმანეთს).

**თამაშის უპირატესობა არსებულ მეთოდებს შორის**

თამაშით სწავლის ელემენტების ათვისება, სწავლების ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, წინ გადადგმული ნაბიჯი შეიძლება იყოს ინფორმაციული წიგნიერების განვითარების საქმეში. ამ სფეროში უკვე არსებული მეთოდების ხელახლა ფორმირება შეიძლება არც იყოს საჭირო, თუმცა მათი ჩარჩოების შეცვლა არ არის გამორიცხული იმისათვის, რომ თამაშით სწავლისაგან უფრო მეტი სარგებელი მივიღოთ. ნორგარდისა და სხვათა მიხედვით, ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც, ზედაპირული სტრუქტურებიდან (პროფესიული საქმიანობები) ფოკუსის უფრო ბუნდოვან სტრუქტურებზე გადატანის პროცესი. ხოლო ის საშუალებები და ხერხები, რომლებსაც უიტონი გვთავაზობს, ამ მიდგომებში (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა და სხვა აქტიური სასწავლო ჩართვები) ყველაზე წინ უნდა დავაყენოთ. რისკ-ფაქტორებს, მარცხს, ღიაობასა და მხიარულ ურთიერთობას, ერთი შეხედვით, ნებისმიერ ზედაპირულ ფენაში უნდა

ველოდოთ. ამის გასაკეთებლად ჩვენ არ გვჭირდება სპეციალური სასწავლო გეიმები ანდა სა-თამაშო აქტივობები. სამაგიეროდ, კარგად უნდა ვიყოთ ჩახედული სასწავლო თეორიებში, პედაგოგიკურ მიდგომებსა და იმ სირთულეებში, რომლებიც მოზრდილებში თამაშით სწავლას ეხება. ეს კი თამაშში მხიარულების, გართობითი დამოკიდებულების შეტანის საშუალებას უნდა გვაძლევდეს, რათა შევავსოთ ჩვენში არსებული სწავლების მეთოდები. თამაშით სწავლა არ არის დამოკიდებული რაიმე ხერხზე ან მექანიზმზე, აქ მთავარია დამოკიდებულება, ნება-სურვილი, რომ გონებით ჩავწვდეთ თამაშს და მისი საშუალებით სწავლა გავუადვილოთ ჩვენს მოსწავლეებს.

ინფორმაციული წიგნიერების გაკვეთილები ხელს უწყობს თამაშის „მაგიური წრის“ შექმნას იმით, რომ წინასწარ სწავლობს იმ დაბრკოლებებს, თამაშს რომ უძღვის. უოლშის სწავლება დაგვეხმარება სოციალური კონსტრუქტივიზმის გზაზე აღმოცენებული პრობლემური ცნებების გაგებაში. მოსწავლეებს შეუძლიათ თამამად გამოსცადონ ეს ცნებები და თანდათანობით მიხვდნენ იმას, თუ რას ნიშნავს იყო წიგნიერი (იგულისხმება ინფორმაციული წიგნიერება).

### **შეჯამება და დასკვნა**

თუ ინფორმაციულ წიგნიერებას მივიღებთ, როგორც ვითარებით განსაზღვრულ, ურთიერთობებით განპირობებულ და, ამდენად, სწავლებისთვის ძნელ ფორმას (თუმცა კონსტრუქტივისტული მიდგომები სწავლებას აადვილებენ), მაშინ თამაშით სწავლა მის შესაბამის მეთოდად უნდა მივიჩნიოთ. თამაშით სწავლის ხერხი მისაღებია ნებისმიერი ასაკისა და პარამეტრისათვის და, როგორც პედაგოგიური მიდგომა, მტკიცედ არის სოციალურად კონსტრუირებული. ამასთან, თამაშით სწავლის მეთოდის გამოყენებას უამრავი სიძნელე ახლავს (მით უმეტეს, თუ საქმე არ ეხება მცირეწლოვანი ბავშვის განათლებას), თუმცა არსებობს მათი

დაძლევის გზები, რათა თამაშში ნაკლებად „უხერხული“ იყოს და მისაღები გახდეს პოტენციური მოსწავლეებისა და ინსტრუქტორებისთვის. დაბრკოლებათა მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ სტატიებში ნაკლებად განიხილავენ თამაშის, გეიმებისა და სხვა აქტივობების მნიშვნელობას ინფორმაციული წიგნიერების განვითარების საქმეში (მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩართვებში მთავარ როლს თამაში და გართობა ასრულებს). და თუ, ინფორმაციული წიგნიერების თვალსაზრისით, თამაშის დანიშნულებას სწორად არ შევიმეცნებთ, მაშინ მისგან მისაღებ უმთავრეს სარგებელსაც გვერდს ავუვლით. თავს ვიგდებთ წარუმატებლობის საფრთხეში, თუ არ გავეცნობით თამაშთან მჭიდროდ დაკავშირებულ ლიტერატურასა და თემებს, თამაშით ქმედებას.

ინფორმაციული წიგნიერების განვითარებას სულ რამდენიმე სტატია ეძღვნება (მათში მიმოხილულია ყველა დასახელებული თეორია), სადაც აღნიშნულია, რომ ბიბლიოთეკარებსა და განათლების მიმწოდებლებს გამორჩევათ ხოლმე ორივე - სასწავლო თეორია და მისი სპეციფიკური პედაგოგიკური პროგრამები, რომლებიც თამაშით სწავლის მიდგომებში გამოადგებათ. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურად კონსტრუქტივისტული თამაში ინფორმაციული წიგნიერების ბევრ ფორმას მოიცავს, ჩვენ შეგვიძლია მათი ფორმისა და განხორციელების გზების განვითარება ამ ფორმასა და პროგრამაზე დაყრდნობით; ასევე შეგვიძლია, არსებული პრაქტიკისა და თეორიის კარგად გაცნობიერებით, ინფორმაციული წიგნიერების გასაუმჯობესებელი გზების მონახვა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ფორმას, გეიმებს, თამაშსა და შემოქმედებით მიდგომებს არ გამოვიყენებთ, დავრჩებით ყოველგვარი სარგებლის გარეშე და ვერაფერს მივაღწევთ.

**ინგლისურიდან თარგმნა ლია გიგაურმა.  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა**

## ილია-თანამდევნი სუდი



**სამსონ ფირცხალავა**

ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე 1902 წ. მაისში, წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებაზე, რომელსაც ის თავმჯდომარეობდა. კრებაზე მე ამირჩიეს საზოგადოების გამგეობის წევრად. ივნისში გამგეობამ მდივნობა მომანდო და მალე საქმისმწარმოებლის მოვალეობაც დამაკისრა.

ეს ის დრო იყო, როცა ახალთაობა მიანყდა წერა-კითხვის საზოგადოებას და მოინდომა მისი საქმეების მართვაში მონაწილეობის მიღება. მრავალი ახალი წევრი ჩაენერა საზოგადოებაში. დიდძალი ხალხი მოდიოდა საერთო კრებებზე და ცხარე კამათი იმართებოდა ძველსა და ახალ მოღვაწეებს შორის. 1901 წ. შემოდგომაზე გამგეობის არჩევნები რომ მოხდა, რამდენიმე ახალგაზრდა გავიდა გამგეობის წევრად (სოციალ-დემოკრატები: ნ. ელიავა, კ. ჯაფარიძე, ი. გომართელი, გ. ლასხიშვილი) და ი. ჭავჭავაძის კვლავ თავმჯდომარედ არჩევას კრების მესამედმა არ მისცა ხმა.

ილია ჭავჭავაძე ნ.კ. საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარე იყო, მე მდივანი და საქმისმწარმოებელი და, ცხადია, ხშირი შეხვედრა და ახლო დამოკიდებულება უნდა მქონოდა მასთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტიურად ილია საზოგადოების საქმეებში უკვე მონაწილეობას არ იღებდა. წინა წლებში ხანდახან კიდევ ესწრებოდა გამგეობის სხდომებს, ხოლო 1902 წ. მეორე ნახევრიდან ერთხელაც არ მოსულა გამგეობის სხდომაზე. რამე მძიმე საკითხზე თუ რჩევას ვთხოვდით, ან დიდი საჭიროების ქალაქებზე ხელს თუ მოვანერინებდით. გამგეობის ნამდვილი თავმჯდომარე იყო ნიკო ცხვედაძე.

საზოგადო კრებებს კი ი. ჭავჭავაძე ყოველთვის ესწრებოდა და თავმჯდომარეობდა. ამ თავმჯდომარეობაში ჩანდა მთელი მისი ბუნება. მტკიცე ხასი-

„ილიას ყმაყყინობას  
ხედავს ვახუშტი“

ათის იყო, დისციპლინის და წესის მოყვარე, თავის უფლების სასტიკი დამცველი. კომპრომისი არ იცოდა. მაგრად იჭდა და ადგილიდან ადვილად დაძვრას ნურავინ იფიქრებდა. რკინა იყო, ფოლადი, ძნელად მოსალუნი. დინჯი, იოლად არ აპილოკიდებოდა. მოუფიქრებელს არაფერს იტყოდა. მის ნათქვამს წონა ჰქონდა, მძიმე იყო, დატვირთული. თავის ძალას გრძნობდა. მოპირდაპირეს ყურადღებით უსმენდა. იცოდა მახვილი რეპლიკები. ერთხელ ვილაცამ უსაყვედურა: სიტყვას ბანზე ნუ აგდებთო, ილიამ მოუჭრა: თუ ვერ მიწვდებით, კიბე მოიშველიეთო!

საერთოდ, ილიას რომ უყურებდით, გრძნობდით, რომ „ოთარაანთ ქვრივში“ ილიამ თავისი ზნე და ხასიათი, რწმენა და მორალი გადაიტანა. უკანასკნელად საზოგადოების საერთო კრებას დაესწრო 1906 წ. დეკემბერში. მან მწუხარედ გახსნა კრება და დამსწრეთ სთხოვა, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ შიო ჩიტაძის და ნიკო ხიზანიშვილის ხსოვნისათვის. ილიას რაღაც საქმე ჰქონდა თუ შეუძლოდ იყო და ამის შემდეგ კრება დასტოვა, რომელიც გაგრძელდა ნ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით. სამგლოვიარო ამბის გახსენებით გამოეთხოვა ილია ჭავჭავაძე წერა-კითხვის საზოგადოებას და ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ წინამურის ტრაგედია დატრიალდებოდა და მთელ საქართველოს საგლოვო გაუხდებოდა თვითონ მისი დაღუპვა.

...გავიხსენებ იმ უკმაყოფილების ატმოსფეროს, რომელიც არსებობდა იმ დროს ახალ თაობაში ილიას პიროვნების გარშემო: ილიას წინააღმდეგ საყვედურები და სამდურავები სხვადასხვა მხრიდან გაისმოდა. მე არაფერს ვამბობ მაჩაბლისტებზე. ეს უკვე დასრულებული ამბავი იყო, მხოლოდ მისი ანარეკლი ხანდახან გამოჩნდებოდა აქა-იქ. ფართო და მოურიდელები პოლემიკა დაუწყეს ილიას „მესამედასელებმა“ ამ საუკუნის დასაწყისში. უწუნებდნენ დემოკრატიზმს, საზოგადო საქმეების სიყვარულს. იგი ბანკირია. ბანკის ინტერესების დასაცავად პუბლიცისტობს,



თავისუფლებას და სამართლიანობას უმღერდა ვითომც და სხვა. ახალთაობის მთავარი იარაღი კი იყო რევოლუციური მოქმედება, ხალხური, მასიური გამოსვლები, მეტი აქტივობა. მთელი რუსეთი, მთელი საქართველო ამოძრავებული იყო, ყოველმხრივ ისმოდა პროტესტი ძველი რეჟიმის წინააღმდეგ და ახალი ცხოვრების მოთხოვნა. ქალაქი და სოფელი ამბოხებამ გაიტაცა და ამ დროს ილია და თითქმის ყველა მისი დროინდელი მოღვაწე, თითქოს დამბლადაცემულნი იყვნენ, უძრავნი, უმოქმედონი. ყველას გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ილიას საყვირის ხმა, რომელიც ისე მძლავრად გაისმოდა 60-70-იან წლებში, სრულებით მიწყდა დღეს.



ილია ჭავჭავაძე

ამგვარი ურთიერთობისა და სულიერი განწყობის ნაყოფი იყო ის სამწუხარო შემთხვევა, რომლის გახსენება ყოველთვის მწვავე ტკივილებს მაგრძნობინებს ხოლმე.

1901 წ. სპარსეთიდან ჩამოვიდა ორი ფერეიდნელი ქართველი - ონიკაშვილი და ხუციშვილი. ისინი ბაქოში ჩამოსულიყვნენ გემით, ქართველები მოენახათ და იმათ თბილისში წერა-კითხვის საზოგადოებაში გამოეგზავნათ. მე [საზოგადოების] კანცელარიაში ვიჯექი. სიხარულით მივეგებე... საღამოს მათი ამბავი ვუამბე საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგს და შევთანხმდით, რომ საზოგადოება იკისრებდა მათ ზრუნვა-პატრონობას. იმ ზაფხულს ისინი საქართველოში დამყავდა, ვმართავდით საღამოებს, ყველგან დიდძალი ხალხი გვესწრებოდა, ყველანი სიყვარულით ეგებებოდნენ დაკარგული ძმების წარმომადგენლებს და უხვი ქართული სუფრითაც გვიმასპინძლებოდნენ. ერთი ასეთი მოგზაურობის დროს მცხეთის სადგურზე მოულოდნელად შევეჩხეთ ილიას - ის, ალბათ, საგურამოდან თბილისში მოდიოდა. ილია ბუფეტიდან გამოდიოდა, ჩვენ ბუფეტში შევდიოდით. მივესალმე ილიას. იგი ყურადღებით ჩააცქერდა ჩემს თანამგზავრებს, მიხვდა, ვინც იყვნენ. შევატყვე, უნდოდა მათთან გამოლაპარაკება, მაგრამ მე რატომღაც უხერხულად მივიჩინე გაჩერება და მაშინვე ბუფეტში შევედი ჩემი თანამგზავრებით.

რატომ ვიყავი ასეთი ტლანქი, ვერ გამოვიჩინე უბრალო ზრდილობა და თავაზიანობა და არ მივეცი საშუალება მოხუცს, დამსახურებულ მოღვაწეს, დიდ პოეტსა და მამულიშვილს, დამტკბარიყო ცოტა ხანს

მანც საქართველოს მოწყვეტილ ქართველებთან შეხვედრით და საუბრით? რატომ? იმიტომ, რომ ილია ვითომც „მემარჯვენე“ იყო და მე ჩემი თავი“ მემარცხენე“ მიმაჩნდა?

მე მინდა ფაქტების და ამბების ფსიქოლოგიური ახსნა. იმ წლებში ყოველდღე ვლამობდი სამოთხის კარის გაღებას, დაავადებული ვიყავით „მემარცხენეობით“, ვფიქრობდით, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას დავუფლეთ და მტრად მიგვჩნდა ყველა, ვინც რაიმე წუნს სდებდა ჩვენს

სიტყვას და საქმეს. რასაკვირველია, დღეს სულ სხვანაირად მეჩვენება მაშინდელი ამბები. ცხადია, ჩვენს მამებს არ დაუმსახურებიათ შეუმწყნარებლობა და ჩვენს შორის არსებული უთანხმოების გამო მტრული განწყობილება არ უნდა გვექნოდა მათთან. უნდა გამოგვეჩინა ტოლერობა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ი. ჭავჭავაძის შესახებ. ზოგიერთების გალაშქრებამ ილიას წინააღმდეგ ყოველივე საზღვარი გადალახა და მისი პიროვნება დახატეს, როგორც ყველაზე უბოროტესი, საშინლად მავნებელი...

...არავინ მოინდომა სიმართლის გამოძიება, ფაქტების პირადად შემოწმება. ილიას არავინ გამოექომაგა, ხმა არ შეაწია, ნუგეში არ უთხრა. ილია მარტო დარჩა, ეს დიდი კაცი, და ვინ იცის, რა სულიერი მღელვარება განიცადა, როგორ დაიტანჯა! ის ხომ ფიზიკურად დაავადებული იყო ბოლო დროს, გული და ფილტვები დაზიანებული ჰქონდა და ახლანდელი მორალური დამცირება, უეჭველად, ფრიად დამამცირებელი იქნებოდა. იგი უმადურობას ხედავდა გარშემო, მეგობრებში, ნაცნობებში და ამის გრძნობა ძნელი ასატანი იყო...

**წინამურის ტრაგედიამდე ილიას გულში უკვე დატრიალდა სულიერი ტრაგედია. ეს არავინ დაინახა, არავის აღმოაჩნდა წინდახედულობა, სიფრთხილე. დაჭიმული მდგომარეობა და ილიას გარშემო შექმნილი განწყობილება ქვეყნის მტრებმა გამოიყენეს. წინამურში მომხდარი ამბავი მარტო ი. ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი არაა, იგი მჭიდროდაა გადასკვნილი ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიის ბევრ საკითხთან.**

1951 წ.

(ნიგინიდან: ს. ფირცხალავა. მოგონებათა ფურცლები. - თბ., 1988).



**ჩვენთვის, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები**



**გულნარა სტურუა**

საბიბლიოთეკო საქმის ამაღლარი მოღვაწე,  
ჟურნალისტი

# ფიქრები დღევანდელობაზე და ხალიდ ჰოსეინის რომანი - „ფრანით მორბენალი“

ახლა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში მძვინვარებს პანდემია. რა არის ეს, რა გამოცდას გვინცობს განგება, მესამე მსოფლიო ომია?! მეორე მსოფლიო ომმა 60 მილიონამდე ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოქალაქე, ამ უხილავმა მტერმა კი, ოცდამეერთე საუკუნის ოციან წლებში „თავი გამოიჩინა“ და დაღუპულთა რიცხვი, უკვე ოთხ მილიონს აჭარბებს. ვინ იცის, რა იქნება ხვალ და ზეგ... ამ უგუნურ, უსახო კოვიდ-ვირუსს რა უნდა მოკითხო, რომელიც გაუგებარია, საიდან და როგორ მოკალათდება ადამიანის სხეულში, როცა ვერ იქნა და ვერ დავძლიეთ ის, რაც ჩვენს ხელთ არის, რაც ჩვენს ნებას უნდა ემორჩილებოდეს: ღალატი, სიძულვილი, შური, სიცრუე, უმადურობა - ეს ხასიათობრივი მონაცემები, პანდემიაზე არანაკლებ მოდებია ჩვენს ყოფას...

პლანეტა კაცობრიობის საკეთილდღეოდ მოგვიწყობს განგებამ - აჰა, მოდით და იცხოვრეთო - და ამ მშვენიერი სფეროს პატრონობა მოგვანდოდ. ჩვენ კი როგორ მოვექცით მას? მას კი არა, ჩვენივე თავს, სიცოცხლეს, რომლის გარეშეც პლანეტის არსებობას აზრი არა აქვს? ომებით დავინწყეთ კაცთა მოდგმის ისტორიის შექმნა და დღემდე ასე ვაგრძელებთ. ვშფოთავთ, ვერ ვისვენებთ. სად, მსოფლიოს რომელ კუთხეში არის სრულყოფილი მშვიდობა?! თითქმის ყველგან, ყველა კონტინენტზე ომია ან საომარი იარა-

ღებისა და ტექნიკის შემქმნელი ქარხნების გამალეებული მშენებლობა.

ახლა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარეთა (და არამოყვარეთა) ყურადღება ავღანეთმა მიიპყრო. თალიბებმა დაიკავეს ავღანეთი, დიახ, მას შემდეგ, რაც აშშ-ს ახლანდელმა პრეზიდენტმა ავღანეთიდან ჯარების გაყვანა დაიწყო და ამით მაგალითი მისცა დანარჩენ მოკავშირეებს, ამ ქვეყნის ბედით შეწუხებულ თუ სხვადასხვა ინტერესების მქონე პირებს, ქვეყნის მეთაურებსა თუ პრაგმატული იდეებით შეპყრობილ დიდ საქმოსნებს, უნდა სცოდნოდათ, რაც ამას მოჰყვებოდა. ამ მომენტს თალიბები ხელიდან როგორ გაუშვებდნენ, სუსტი წერტილი როგორც კი ნახეს, მაშინვე შემოესივნენ ქვეყანას. პრეზიდენტი წავიდა, გაიქცა თუ დაიშალა, რა მნიშვნელობა აქვს. საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, პანიკამ მოიცვა ხალხი. ლტოლვილების რიცხვი დღემდე არ შემცირებულა. აშშ-მ ათასობით ამერიკელი მოქალაქე ოპერატიულად გაიყვანა საფრთხის ზონიდან და დააბრუნა სამშობლოში. 30-მდე საქართველოს მოქალაქესაც უშველეს, როგორც საქართველოს ასევე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა და ისინი, მადლობა ღმერთს, მშვიდობიანად დაუბრუნდნენ ოჯახებს. ალბათ არ დარჩენილა მსოფლიოში იმ აეროპორტის კადრების უნახავი ადამიანი, სადაც თალიბების შემოსვლით შეშინებული ავღანელები, ლტოლვილები, ხომალდის ფრთებზე ჩამოკიდებულები, ხალხით გადაჭედილ თვითმფრინავების სალონებში შესვლას რომ ლამობენ. სულ ახლახან კი იგივე აეროპორტში ტერორისტული აქტი განხორციელდა : თვითმკვლელმა თავი აიფეთქა და თან გაიყოლა უდანაშაულო ადამიანების საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვი. ეს კიდევ არაფერი

იმ რეგიონის მდგომარეობასთან შედარებით, სადაც ჯერ კიდევ ვერ შესულან თალიბები. რა ელოდება პანჯშირის პროვინციას, სანამ შეძლებენ ისინი თავდაცვას?

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი, ტრამპი ამერიკის სირცხვილს უწოდებს თალიბების ხელახლა შემოსევას ავღანეთში. არ გაემტყუნება. ბევრი ფიქრობს ალბათ ასე. ოცი წლის განმავლობაში ამერიკის სამხედრო ძალები სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო შენაერთებთან ერთად კბილით იცავდნენ თალიბთა ტერორიზმისაგან ავღანეთს. ვინ მოთვლის რამდენი მილიარდი დოლარია დახარჯული დემოკრატიული ავღანეთისათვის და ასე უბრძოლველად და „მშვიდობიანად“ მის დათმობას ვინ მოელოდა!

შეწუხებულია მსოფლიოს კაცთმოყვარე საზოგადოების უდიდესი ნაწილი, მათ შორის, შეწუხებული ვართ ჩვენც - ქართველები. ჰუმანურობას და სამართლიანობას რომ თავი დავანებოთ, რამდენი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეენირა თალიბთა მიერ იქ წარმოებულ პარტიზანულ თუ ტერორისტულ ომებს. არ შემოიძლია არ გავიხსენო ქართველი ჯარისკაცებისადმი მიძღვნილი ჩემი ერთ-ერთი ლექსი, ჯერ კიდევ 2013 წელს დაწერილი:

**ექვსი დაიღუპა, მერე კი შვიდიო  
მატულობს ნელ-ნელა რიცხვი დაღუპულთა,  
სადღაც ავღანეთში მტერს უნდა მივდიოთ,  
როცა მტერი აქ გყავს, ახლოს ქვეყნის გულთან.  
ქართულმა დროშებმა დახარეს თავები,  
გული დაგვიმძიმა დარდმა და ვაებამ.  
ბიჭები დაეცნენ შორეულ მხარეში,  
ბიჭები - სიცოცხლე, ჩვენი გახარება!  
სად იყვნენ, ან რატომ, იქ მტერს რა უნდოდა,  
ან ჩვენ რა გვინდოდა იმ უცხო მიწაზე,  
ვიცით კი? რა ვიცით, ან ვიცით ბუნდოვნად, ...  
ბიჭებმა იცოდნენ - სამშობლოს იცავდნენ!  
ასე და ამრიგად, კვლავ ომი, კვლავ ცეცხლი.  
კვლავ ჩნდება სისხლისღვრის ახალი მდინარე,  
ვიღაცას არ ყოფნის არც ოქრო, არც ვერცხლი,  
და ომში პოულობს დოლარებს, დინარებს!..**

(გულნარა სტურუა. „ფიქრების ქარში“, 2016).

ავღანელი ლტოლვილების ახალი ნაკადის დინებამ ბევრი ტკივილი და მწუხარება შეგვახსენა. საკუთარი კუთხიდან, საკუთარი კარმიდამოდან

დევნილების მეტი რა გვინახავს ქართველებს ამ 30 წლის მანძილზე. მაგრამ ახლა, ამ წუთში, მინდა გავიზიარო ავღანური წარმოშობის ამერიკელი მწერლის, ხალიდ ჰოსეინის ის მწარე განცდები, რომელიც უთუოდ დაეუფლებოდა დიდებული რომანის „ფრანით მორბენალის“ ავტორს (ინგლისურიდან თარგმნა ლალი ყუშიტაშვილმა). ვისაც ეს რომანი წაუკითხავს, კარგად ამოიცნობს ნათქვამის შინაარსს. ამ წიგნში, რელიგიურ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ საკითხებთან ერთად, ავტორი მკითხველისათვის გადამდები სიყვარულით გვაცნობს ავღანელი ხალხის ცხოვრების ადათ-წესებს, გვიღვივებს ინტერესს და გვაახლოებს მასთან. ... ასე დამემართა პირადად მე, შემყვარდა დღემდე ჩემთვის უცნობი ხალხი და თავად მწერალი, რომელსაც, შეყავს რა მკითხველი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ავღანეთის ცხოვრების მოვლენებში, საინტერესო პასაჟებით ქმნის დიდ ინტერესს და ახდენს შთაბეჭდილებას... არ იქნება ზედმეტი თუ ვიტყვით, რომ რომანი ფსიქოლოგიურია. მოქმედება იწყება ავღანური ეთნოსის (პუშტუნი და ხაზარა) წარმომადგენელი ორი ბავშვის ცხოვრების გადმოცემით. ამირი და ჰასანი 12 წლის ასაკამდე ერთად იზრდებოდნენ. ჰასანი ღარიბი ხაზარას, ცერებრული დამბლით დამახინჯებული კაცის - ალის შვილი იყო, მაგრამ იგი ამირის მამის, საკმაოდ მდიდარი და ქალაქის მცხოვრებთა შორის ავტორიტეტითა და პატივისცემით მოსარგებლე კაცის - საჰიბის ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა. მამა-შვილი ჰასიბის (ბაბას) ოჯახს დიდი ერთგულებით ემსახურებოდა. არც არის გასაკვირი. ობლად დარჩენილი ხუთი წლის ალი, ჰასანის ბაბუას თავისი ზედამხედველობის ქვეშ აუყვანია და ისიც საჰიბთან ერთად ანუ ამირის ბაბასთან ერთად გაუზრდია. ამბავს ნიჭიერი, ბავშვობიდანვე მოთხრობების წერით დაინტერესებული ამირი გადმოგვცემს. ის გვაცნობს რომანის გმირებს, გვიხატავს მათ პორტრეტებს, ჯერ კიდევ ბავშვი, ამჩნევს თავის თავში ხასიათის სუსტ შტრიხებს, უნდა, რომ ჰგავდეს მამას, ქალაქის რჩეული საზოგადოებისთვის მეტად პატივსაცემსა და ავტორიტეტულს. „მამაჩემი ძლიერი კაცი იყო, მონუმენტური, პუშტუნთა მოდგმის წარმომადგენელი. ... საკმარისი იყო ეს, თითქმის ორმეტრიანი კაცი წვეულებაზე გამოჩენილიყო, რომ ერთბაშად იტაცებდა ყველას მზერას, თა-



ვებს ისე ატრიალებდნენ მისკენ, როგორც მზესუმზირები მზისკენ,” და ამირსაც უნდოდა მამას ჰგვანებოდა. თითქმის მთელი ბავშვობა ცდილობდა მამისაგან მეტი სიყვარულის მოპოვებას, ეჭვიანობდა კიდეც მისი (ბაბას) ჰასანისადმი, ამ კურდღლის ტუჩით დაბადებული ბავშვისადმი ყურადღებიანობაში, საჩუქრებიც ერთნაირი რომ მოჰქონდა მათთვის. ბოლოს იმ ნაკლის აღმოსაფხვრელად ექიმიც რომ მოუყვანა... ამირისთვის მამის ასეთი თბილი, გულკეთილი დამოკიდებულება ჰასანისადმი გაუგებარი იყო. რომანის სიუჟეტში განვითარებულ მოვლენების შესახებ მწერალი ისეთი განცდებით, გრძნობებით, ემოციებით გვესაუბრება, რომ მკითხველს უჩნდება ეჭვი რომანის ავტობიოგრაფიულობაზე...

ჩვენ თალიბები გვანტერესებდა... მათ ხომ დიდი ტანჯვა-წამება მოუტანეს ავღანელებს. მაგრამ თალიბებამდე, რუსეთის ჯარისა და ტექნიკის ვითომ ავღანელთა დასახმარებლად შემოდინებამ, შიში და მწუხარება შეიტანა ავღანელთა ცხოვრებაში. „1978 წლის დეკემბერს... იმ ქუჩებში, სადაც მე და ჰასანა ვთამაშობდით, რუსული ტანკები გამოჩნდებიან. ისინი თან ჩემი ავღანელების სიკვდილს მოიტანენ და მიმდინარე სისხლისღვრას დაუდებენ დასაბამს“... ვკითხულობთ ნაწარმოებში.

იმ მომენტამდე, სანამ რუსული ჯარები შემოიჭრებიან ავღანეთში, პირადად ამირის ცხოვრება აფორიაქდება... იგი უნებური მოწმე გახდება უმძიმესი, აღმაშფოთებელი და დამთრგუნველი ფაქტისა (მით უმეტეს, ბავშვის ბუნებისთვის), რომელიც თავს დაატყდება მასთან თანშებრდილ ბიჭს, ჰასანს და ეს მოხდება, სამწუხაროდ, სწორედ იმ დღეს, ფრანგებით მოთამაშეთა ტრადიციულ ზეიმზე, როდესაც ამირს თავისი სანატრელი გამარჯვებუნი და ეზეიმა, ბაბას (მამის) ყურადღება და მოწონება დაემსახურებინა... აი რას წერს ამის შესახებ ავტორი: „ჯერ კიდეც მაშინ, ვიდრე რუსები მარშით შევიდოდნენ ავღანეთში, ვიდრე სოფლები გადაიწვებოდა და დანადგული მინდორველი სასაკლაოდ იქცეოდა, ვიდრე დახოცილ ავღანელ ბავშვებს ქვა-ღორღს მიყრიდნენ, ქაბული ჩემთვის აჩრდილების ქალაქად იქცა, კურდღლისტუჩა ბიჭის აჩრდილების ქალაქად“... ის ერთგული ჰასანი, რომელიც ამირის გულისთვის „მინასაც კი შეჭამდა“, ვერ დაიცვა ამირმა, ვერ გამოვიდა სამალავიდან, არ ეყო გამბედაობა...

და შეგრძნება იმისა, რომ ამით მან ჩაიდინა გამოუსწორებელი დანაშაული, მთელი ცხოვრების მანძილზე მტანჯველ გრძნობად გაჰყვება მას. თუ აქამდე ჰასანთან შეხვედრა, მასთან ყოფნა, საუბარი და თამაში ერთი დიდი სიხარულ იყო ამირისთვის, ახლა მის დანახვაზე ცუდად ხდება. ფიქრობს, რომ მხოლოდ მისი მოშორება დაუბრუნებს სიმშვიდეს, დაავიწყებს იმ ძალადობის საშინელ ეპიზოდს, რომელიც ფაშისტური იდეებით შეპყრობილმა ასეფმა და მისმა ბანდამ განახორციელეს. ამ მიზნით ამირი მისი ხასიათისთვის არცთუ ჩვეულ ხერხს მიმართავს, რის შედეგადაც ჰასანს ქურდობა ბრალდება.

ამირის მოულოდნელი და, ამავე დროს, უცნაური ქცევა აიძულებს ოჯახის უერთგულეს და უმნიშვნელო მორალის მექონე მამა-შვილს, ჰასანის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, დატოვოს საყვარელი გარემო. ნაწარმოებში ვხედავთ, რომ ჰასანის წასვლას ამირისთვის სიმშვიდე არ მოუტანია.

ეს სწორედ ის დროა, როდესაც რუსეთის რეჟიმით შევიწროებული ავღანელი მოსახლეობის დიდი ნაწილი ლტოლვილების სტატუსით ტოვებს სამშობლოს... მათ შორის აღმოჩნდებიან ბაბა (ჰასანი) და ამირი. ისინი ამერიკაში დასახლდებიან. მათ ლტოლვილობის მძიმე და რთული ცხოვრების მანძილზე ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ფიქრი სამშობლოში დაბრუნებაზე, მაგრამ ვინ იცის ცხოვრება რას უმზადებს კაცს... დიდი გაჭირვება ნახა მამა-შვილმა, მაგრამ ამირი მიზანდასახულად, ბაბას ხელშეწყობით რამდენიმე სასწავლებელს ამთავრებს. მწერლობაშიც სერიოზულად იკაფავს გზას. მძიმედ დაავადებული ბაბა სიკვდილის ბოლო წუთებამდე ეხმარება მას. ცოლიც შეირთო ავღანური წეს-ჩვეულების დაცვით... მალე ბაბა გარდაიცვლება...

ამასობაში ახალი უბედურება მოეწვინა ავღანეთს. ეს უბედურება თალიბანი იყო. თალიბების სისასტიკესა და განუკითხაობაზე წერს ავტორი თავის რომანში. „სექსუალური ძალადობა, ობოლი ბავშვები, მათხოვრებით მოფენილი ქუჩები“ და სხვა მრავალი საშინელება ახლავს თალიბების გამოჩენას. უკვე ამერიკაში დავაჟკაცებული ამირი თავისივე თვალთ ნახავს ამ უბედურებას, როდესაც გაიგებს, რომ თურმე ჰასანი მისი ნახევარძმა ყოფილა. აი, რატომ ჰქონდა ბაბას მისადმი ასე თბილი და მზრუნველი დამოკიდებულება...

ბა. სულით ხორცამდე შეძრულია ამ საიდუმლოს გაცნობის შემდეგ ამირი, „ყველა სხვა ცოდვა ქურდობის ვარიაციაა... როცა კაცს ჰკლავ, მის სიცოცხლეს იპარავ... როცა ცრუობ, სიმართლის გაგების უფლებას ჰპარავ ვიღაცას, როცა თაღლითობ – სამართალს“ - ასე მასწავლიდა ბაბა და რატომ, თუკი თავად არღვევდა ამ კოდექსს? - ფიქრობს ამირი. მაგრამ ბაბას ამხანაგი რაჰიმხანი არწმუნებს მას, თუ როგორ ტანჯავდა ბაბას ეს ამბავი და როგორ უყვარდა ორივე შვილი.

ბოლოს ამირი ავლანეთში მიემგზავრება. მისი მიზანია, დაიხსნას ნახევარძმის - ჰასანის ობოლი შვილი. და რას ხედავს იგი ამ მოგზაურობის დროს: “ტანკებით გადათხრილ ქუჩები, უპატრონოდ მიტოვებული, ნახევრად დანგრეული სახლები, გადაყირავებული მანქანების ჟანგიანი კარკასები. ნაგავში ნახევრადჩაფლული, ეკრან-

ჩამტვრეული ტელევიზორები და კედელზე შავი პულვერიზატორით გაკეთებული წარწერა: ზენდა ბანდ, თალიბან! დღეგრძელი იყოს თალიბანი!”

მიუხედავად რთული მოვლენებისა, რომანი იმედიანად მთავრდება - ამირი და მისი პედაგოგი მეუღლე, სორაია, შვილად აიყვანენ პატარა სოჰრამს, ჰასანის შვილს და სიყვარულით ზრდიან მას.

თავისი ერისადმი და, ზოგადად, ადამიანისადმი დიდი სიყვარულით გაჟღენთილ რომანს დღემდე მკითხველ არ მოჰკლებია...

დღეს ავლანეთის სათავეში მოსული თალიბები თავიანთი ქმედებებით დიდად არ განსხვავდებიან ადრინდელისაგან, თუმცა უფრო დემოკრატიულ პოლიტიკას პირდებიან თავიანთ ხალხს... მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, ვინ იცის, რა მოხდება ხვალ?!



## ქართული ემიგრაცია



### მარიამ მარჯანიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

ბავშვობიდანვე, შატოში, სადაც დედის მშობლები და საფრანგეთის ქართველ ემიგრანტთა დიდი რაოდენობა ბინადრობდა, ყოველდღე უცნაური მუსიკის ჰანგები ისმოდა. პარიზის ქართული ემიგრაციის მუსიკალური მეობა ქართული ქალაქური სიმღერებით იყო გამოსატყულები, რომელსაც უნიკალური ხალხური მრავალხმიანობით გამორჩეული „კრიმანჭული“ ემატებოდა. მის უბადლო შემსრულებელს, ვალოდია გოგუაძეს, მთელი უფროსი თაობა ჰყავდა სოფლური სიმღერების შესრულებაში აყოლიებული.

მრავალრიცხოვან ქალაქურ სიმღერებსა და ორიგინალურ სოფლურ მრავალხმიანობას ავსებდა რეჟებ ჟორდანიას მიერ შესრულებული კლასიკური მუსიკაც. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მეთაურის, ნოე ჟორდანიას ვაჟი პროფესიონალი მუსიკოსი გახლდათ, რომელიც პარიზის კონსერვატორიაში ფორტეპიანოსა და კომპოზიციის კურსების დამთავრებასთან ერთად საკუთარი კომპოზიციების ჩანაწერების ავტორიც იყო. იგი ემიგრანტთა ბავშვებს ქართულ ხალხურ ცეკვებს ფორტეპიანოზე შესრულებული საცეკვაო მელოდიებით ასწავლიდა.

ამ მუსიკალურმა ფონმა, ბუნებრივია, ქართველი ემიგრანტი

# დღეგრძელობა ჩემი გენიდან მოდის

**ეძღვნება საქართველოს ოკუპაციის 100 და დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავს.**

გოგონას მომავალზე განსაკუთრებული როლი ითამაშა: „როდესაც პატარა ვიყავი, ვცეკვავდი, დედა მღეროდა და ბიძაჩემი რეჟები პიანინოზე უკრავდა... მე შინაგან რიტმზე აყოლილი ვცეკვავდი ყველგან, სახლსა თუ ქუჩაში.

ერთხელ ჩვენ სამოენსში ვისვენებდით. როგორც ყოველთვის ქუჩაში ვცეკვავდი. ჩემით დაინტერესებულ სოფლის მღვდელს დედაჩემისთვის უთხოვია, რომ მონაწილეობა მიმელომის მიერ ორგანიზებულ დღესასწაულში.

ალბათ, შემთხვევითობამ ან ბედისწერამ განაპირობა ის, რომ აქ ჩვენთან ერთად ისვენებდა მოცეკვავე სერჟ ლიფარის კონცერტმეისტერი, რომელმაც დედას ურჩია, რომ წავეყვანე ცნობილ პარიზელ პედაგოგთან ლ. ეგოროვასთან.

ადრე იგი იყო პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის ყოფილი ბალერინა...

„აქ, არის იმ შესანიშნავი ცეკვის მასწავლებლის მისამართი, სადაც შეგიძლიათ წასვლა. ქალბატონი ეგოროვა La Rochefoucauld-ის მე-15 ქუჩაზე პარიზის მე-9 რაიონში ცხოვრობდა თავის მეუღლესთან, პრინც ტრუბეცკოისთან ერთად. მათი დიდი დარბაზი გამოყოფილი იყო ცეკვის კლასებისათვის, სადაც მხოლოდ მოზარდებს იღებდნენ. როდესაც მივედი, მან დედას უთხრა: „ის ნამეტანი პატარაა! მაგრამ რადგან აქ ხართ, მაჩვენოს რას ახერხებს. ვიცეკვე, ქ-ნ ეგოროვას მოეწონა და



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას შვილიშვილთან, ეთერი ფაღავასთან ერთად.



მიმილო მონაფედ. აქიდან დაიწყო ჩემი ბალეტში ჩართვა“ (ფალავა 2021:1).

პატარა ეთერი (ასე წარმოთქვამს თავის სახელს ქალბატონი ეთერი) ფალავას სცენური ნათლობა დაემთხვა 1944 წელს და გაგრძელდა 1945 წლიდან ახალი „შანზ-ელიზეს ბალეტის“ ფარგლებში. 13 წლის ასაკში მან მონაწილეობა მიიღო ბორის კოხნოს ლიბრეტოს მიხედვით კომპოზიტორ ანრი სოგეს, ქორეოგრაფ როლან პეტისა და მხატვარ ქრისტიან ბერარდის ერთობლივი ძალებით შექმნილ სპექტაკლში „ბაზრის კომედიანტები“/„Les Forains“. ამ სპექტაკლში შესრულებულმა პატარა აკრობატის როლმა დაუდო სათავე ეთერი ფალავას ბრწყინვალე არტისტულ კარიერას. 1948 წელს პეტიმ ნორჩი ბალერინა თავის მეორე ბალეტში - „იუპიტერის სიყვარული“/„Les Amours de Jupiter“ გამოიყვანა.

მალე სერჟ ლიფარის მიწვევით 15 წლის ეთერი ფალავა გაემგზავრა მონტე-კარლოში, სადაც მარკიზ დე კუევას რუსულ საბალეტო დასში იცეკვა ბალეტებში: „რომეო და ჯულიეტა“ და „სომნამბულა“. სერჟ ლიფარის მიერ პ. ჩაიკოვსკის სიმფონიურ პოემა „რომეო და ჯულიეტას“ მუსიკაზე განხორციელებულ ქორეოგრაფიულ პოემა-დუეტში შესრულებულმა ჯულიეტას როლმა ეთერის განსაკუთრებული წარმატება მოუტანა. ასევე ნაყოფიერი გამოდგა მისთვის ამავე დასში დიდ ქართველ ბალეტმეისტერ ჯორჯ ბალანჩინთან შემოქმედებითი თანამშრომლობა. 1948 წელს, ბელინის მუსიკის საფუძველზე ჯ. ბალანჩინის მიერ „სომნამბულას“ ახალ დადგმაში ეთერი ფალავას ხელოვნებამ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ფერმკრთალი, თითქმის გამჭვირვალე სახის, შავი მეტყველი თვალებისა და ჰაეროვანი ტექნიკის გამო ახალგაზრდა ბალერინას „პატარა ბრილიანტი“ შეარქვეს.

„ბალანჩინმა პირველად რომ მნახა, არ იცოდა, ქართველი თუ ვიყავი. დიდ საპრემიერო სპექტაკლს დგამდა და ბალერინას არჩევდა

მთავარი პარტიისთვის. ჩვენს რეპეტიციას დაესწრო. რეპეტიციის შემდეგ შემატყობინეს, რომ მე ამირჩია. იმდენად გამიხარდა, ლამის გავგიჟდი...

ჩემს სიცოცხლეში ძალიან ბევრი მიცეკვია, მაგრამ საუკეთესო გამოსვლა ბალანჩინის ბალეტში იყო. ორივე რომ ქართველი ვიყავით, ეს ძალას მაძლევდა, კარგად რომ მეცეკვა. მასაც უხაროდა, ქართველი რომ აღმოვჩნდი. რატომღაც ქართულად არ მესაუბრებოდა. მე 15 წლის ვიყავი, ის კი 40-ის. ძალიან მერიდებოდა მისი, როგორც უდიდესი ავტორიტეტის მქონე პიროვნების.“

მალე ეთერი ფალავა პარიზის „გრანდ ოპერაში“ მიიწვიეს, რასაც მოჰყვა გასტროლები „ლასკალაში“, ერთხანს იგი ამსტერდამის ოპერის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა იყო.

ჯორჯ ბალანჩინმა პარიზში, მსოფლიოს ხელოვნების მექაში, ჯერ კიდევ ეთერი ფალავას დაბადებამდე აღმოაჩინა პირველი ქართველი ბალერინა თამარ თუმანიშვილი.

ფორტეპიანოსა და ქორეოგრაფიაში თამარის პირველი პედაგოგი იყო ცნობილი რუსი ბალერინა ოლგა პრეობრაჟენსკაია. მისი დებიუტი სცენაზე 10 წლის ასაკში შედგა პარიზის ოპერის სცენაზე ბალეტით „L'Eventail de Jeanne“. სწორედ ამ პერიოდში შენიშნა თამარი ცნობილმა ქორეოგრაფმა ჯორჯ ბალანჩინმა და მიიწვია იმჟამად ცნობილ საბალეტო დასში „De Basil Ballets Russes de Monte Carlo“. იმ პერიოდიდან მოყოლებული თამარ თუმანიშვილის კარიერა ძირითადად დაკავშირებული და ასოცირებული იყო ჯორჯ ბალანჩინთან.

თამარ თუმანიშვილი ცეკვავდა ირინა ბარონოვასა და ნატალია რიაბოჩენსკაისთან ერთად ცნობილ საბალეტო ჯგუფში „ბეიბი ბალერინას“. 1932 წელს ჯორჯ ბალანჩინმა სპეციალურად მისთვის შექმნა ახალგაზრდა გოგონას სახე ბალეტში „Cottillon“, რომელიც პარიზის ოპერის სცენაზე დაიდგა. ამავე წელს ქართველმა ბალერინამ მონაწილეობა მიიღო ბალეტში „Concurrence“



ეთერი ფალავა



და „Le Bourgeois“, რომლებმაც იგი ვარსკვლავად აქცია. ამავე, 1932 წელს, სპეციალურად თამარ თუმანიშვილისათვის მან შექმნა ბალეტი „Le Palais de Cristal“ — „ბროლის სასახლე“, რომელიც ასევე დაიდგა პარიზის ოპერის სცენაზე. ეს ბალეტი მოგვიანებით ჯორჯ ბალანჩინმა „ნიუ-იურკ-სითი ბალეტისთვის“ თავიდან დადგა, შეუცვალა სათაური და ცნობილი გახდა სახელწოდებით „Symphony in C“.

პარიზის პრესამ თამარ თუმანოვას ბალეტის „შავი მარგალიტი“ შეარქვა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რით ჰგავდა ეს ორი ქართველი ბალერინა ერთმანეთს და რა თავისებურება და განუმეორებლობა ახასიათებდა მათ მიერ შესრულებულ პარტიებს?!

**ეთერი ფალავას მიერ შესრულებულ მთავარ პარტიებში უპირველესად იგრძნობოდა სიცოცხლის დიდი სიყვარული, მჩქეფარე განცდა. მისი ცეკვა აღსავსე იყო შინაგანი გაცისკროვნებით, რომელიც მთლიანად აერთიანებდა სიმსუბუქესა და ძლიერებას.**

რაც შეეხება თამარ თუმანოვას მიერ შესრულებულ პარტიებს, იგი ბოლომდე ერთგული დარჩა ჯორჯ ბალანჩინის მიერ ჩამოყალიბებულ ჯერ სიუჟეტიან, შემდეგ კი უსიუჟეტო, ე. ი აბსტრაქტული ბალეტების ვირტუოზული ტექნიკის.

საერთო კი, ამ ორ ბალერინას შორის იყო ის სინთეზი, რომელიც ფრანგული საბალეტო სკოლის ტრადიციებიდან მომდინარეობდა. ამასთან ერთად ის თანდაყოლილი ტემპერამენტიც, რომლებიც მოცეკვავეთა ქართულ ბუნებაში რომ დულდა.

სწორედ ეს სინთეზი წარმოშობდა ორივე პრიმა-ბალერინას თავისებურ მომხიბვლელობას, რასაც თან ერწყმოდა მათი ნატიფი გარეგნობა, კლასიკური ხაზების ზღვრული სინმინდისა და ცქრილა სხივმფენი შესრულების მანერები.

ამერიკული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი ჯორჯ ბალანჩინი წერდა: „თხუთმეტი წლის ასაკში მოცეკვავეები გამოიმუშავებენ თავიანთი სხეულის ყველა უჯრედს და ყველა უჯრედი უნდა მღეროდეს სცენაზე. თუ ამ განვითარებული და განვრთნილი სხეულის სილამაზე, მისი მოძრაობა, პლასტიკა, მისი გამომხატველობა ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს დარბაზში მსხდომ მაყუ-

რებელს, მაშინ, ჩემი აზრით, ბალეტმა მიაღწია მიზანს“.

ამ აზრის კონსტატაციაა ეთერი ფალავას შემოქმედებითი გზა, რომელიც 13 წლისამ დაიწყო და დღესაც გრძელდება.

ნორჩი ბალერინა თანდათან ცნობილი ხდება და მალე იგი გასტროლებით შემოივლის ინგლისს, იტალიას, ამერიკას, ესპანეთს, პორტუგალიას, ჰოლანდიას, ეგვიპტეს, სადაც დიდ წარმატებას აღწევს.

პრიმა-ბალერინას მიაჩნია, რომ თავისი თავი, თავის შემოქმედებითი ხასიათი, თავისი ცეკვის სტიქია „ჯულიეტას“ როლისა და ბალეტ „სომნამბულას“ შესრულებისას იპოვა. იგი ცეკვაში იზრდებოდა ფიზიკურად და შემოქმედებითადაც. „ეთერის უდიდესი კონცენტრირება და ღრმა შინაგანი განწყობა ისეთ ემოციას გადმოსცემდა, რომ საკონცერტო დარბაზში ცხარე ცრემლებით ავტირდი“, - იგონებს მისი და, ქრისტინე ფალავა.

„მე არ ვიყავი ერთადერთი აუდიტორიაში, ვინც თვალებს იმშრალებდა და ცხვირს იხოცავდა. ეს ფენომენი მეორდებოდა ყოველ წარმოდგენაზე. მე არასდროს არ მინახავს მსგავსი რამ სხვა მოცეკვავეებთან. „სომნამბულა“ დაუყოვნებლივ გახდა „მონტე-კარლო გრან ბალეტის“ წამყვანი ბალეტი და ეთერი ამ როლის შეუცვლელი შემსრულებელი. ყველგან იცეკვა ეს პარტია. ლონდონში „კოვენტ-გარდენის“ სამეფო თეატრში აღფრთოვანებულმა მაყურებელმა მქუხარე აპლოდისმენტებით ცხრამეტჯერ მოიხმო სცენაზე. ეს იყო არნახული წარმატება, რომელმაც, მგონი, არა მარტო ყველა მანამდე არსებული რეკორდი მოხსნა, არამედ შემდეგშიც არ განმეორებულა მსგავსი რამ“ (ფალავა-ბულები 2012:2).

ეთერი ფალავას მშობლებმა ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის გამო 1921-24 წლებში საქართველო დატოვეს. ემიგრაციაში მათ სამშობლო თან წაიღეს და მთელი ცხოვრება ერთდროულად საქართველოშიც ცხოვრობდნენ და საფრანგეთშიც. დევნილი ქართველებისათვის ლევილის შატოპატარასაქართველო გახდა, სადაც გადახვეწილთ შეეძლოთ ღუზის ჩაშვება. ქართველი ემიგრანტებისათვის ლევილში ჩასვლა, თბილ და მშობლიურ ატმოსფეროში მოხვედრა, ახალი ძალისა და ენერჯის იმპულსი იყო.

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, სწორედ, ლევილის შატოში მოხვდა მომავალი

პრიმა ბალერინას მამა ლევან ფალავაც. იგი 1907 წლის 9 თებერვალს დაიბადა ჭიათურაში. მისი დედა იყო ჭიათურელი ბაბლინა ვაშაძის ქალი, ხოლო მამა სამეგრელოს თავადი სამსონ ფალავა, რომელიც ჭიათურაში მანგანუმის მალაროებს ფლობდა.

ეროვნულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის თანაკურსელებთან ერთად ლევან ფალავა დააპატიმრეს. მამამისმა დარაჯის მოსყიდვით მოახერხა საპატიმროდან შვილის გაპარება. და იმ დღიდან მოყოლებული, ლევან ფალავას აღარასოდეს უნახავს დედ-მამა და ახლობლები. საფრანგეთში გადახვეწილმა სწავლა ქალაქ გრენობლის უნივერსიტეტში გააგრძელა. 1927 წელს იგი სტრასბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, რადგან საქართველოში გაცემული დიპლომით სწავლის გაგრძელება შესაძლებელი იყო.



ეთერი ფალავა ოჯახთან ერთად:  
მარცხნიდან - მარჯვნივ: შვილიშვილები თეა და  
კლარა-ნათელა, რძალი - ანა პინტო,  
ვაჟი - ტარიელ ლურდენ-ფალავა.

ბედისწერამ, უცხოეთის ცის ქვეშ აპოვნინა ლევან ფალავას ქართველი საცოლეს, რომელიც ნოე ჟორდანიას უფროსი ქალიშვილი ასმათი, მეტსახელად ატია გახლდათ. იგი 1905 წლის 11 აპრილს დაიბადა თბილისში, რომლის დედა რუსი მღვდლის ქალიშვილი ინა ივანოვნა კორენევა (ქალაქ ორიონიდან) იყო.

ამ დროს ატია ჟორდანიას სორბონის უნივერსი-

ტეტს ამთავრებდა. მათი პირველი შვილი ეთერი ფალავა გახლდათ. მეორე ქალიშვილი ქრისტინე კი მშობლების ქორწინებიდან მე-13 წლისთავზე დაიბადა. დებს შორის 12 წელი იყო განსხვავება.

ქრისტინე ფალავა თავის მოგონებათა წიგნში - „ერთი უჩვეულო ოჯახი“, წერს: „როდესაც დავიბადე, ჩემი ოჯახი კომუნის საავადმყოფოს პირდაპირ, ფობურგ სენ ჟაკის ქუჩაზე ცხოვრობდა, ლუქსემბურგის ბალთან ახლოს. ეთერი ბავშვობიდან უკვე როლან პეტისა და ჟანინ შარას მიერ დაარსებულ „შანზ-ელიზეს ბალეტის“ დასში ცეკვავდა სოლისტად და მასზე გაზეთების მონინავე გვერდებზე სტატიები იწერებოდა. პეტი და შარა, ცეკვის ყველა ტრადიციის დაცვით, ეთერის შემოქმედებით მშობლებად იქცნენ. 15 წლის სერჟ ლიფარმა პრიმა-ბალერინად აიყვანა მონტე-კარლოს საბალეტო დასში, რომელსაც მარკის დე კუევასის ხელმძღვანელობით იმხანად ხელახლა აყალიბებდა. დედამ იფიქრა, რომ ტურნეში მარტო გასამგზავრებლად ეთერი პატარა იყო და თან გაჰყვა. მაშინ 3 წლის ვიყავი და მეც თან წამიყვანა“ (ფალავა-ბულეზი 2017:107-109).

ამ მოგონებაში ქრისტინე ფალავა ერთ დეტალზეც ამახვილებს ყურადღებას: „ბაბუა მთელ თავის დროს საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლას უთმობდა. მაგრამ ამის მიუხედავად, დედამ მიამბო, რომ როდესაც ჩემი დის - კლასიკური ბალეტის ვუნდერკინდის, ეთერის დებიუტი შედგა იენის დარბაზის სცენაზე, ბაბუა, რომელიც მანამდე მხოლოდ ქართულ ხალხურ ცეკვას იცნობდა და აფასებდა, დაესწრო წარმოდგენას. საოცრად მოხიბლული იყო თავისი შვილიშვილის ადრეული მოწიფულობითა და იმ დიდი შრომით, რომელსაც ტერფსიქორას ხელოვნების ამ სახეობის დაუფლება მოითხოვდა“ (ფალავა-ბულეზი 2017:80).

ეთერი ფალავას პირველი ქორწინებიდან 1958 წელს ეყოლა ვაჟი - ტარიელი. „ჩემი დისშვილი ტარიელი მუდამ ჩვენთან იყო. დედა და მამა ზრდიდნენ მას, ვინაიდან მათი ქალიშვილი, პრიმა-ბალერინა ეთერი, ტარიელის დედა, სულ მოგზაურობდა. გაგიჟებით გვიყვარდა პატარა ტარიელი და ლევილულებიც ზრუნავდნენ მასზე...“

როცა გაიზარდა, პარიზში არწმუნებდა ბებიას და ბაბუას, ამ ბინაში მოვიყვან ცოლს და ერთად ვიცხოვრებთო.

ჩვენ ვიცინოდით... მაგრამ, მართლაც ასე

მოხდა. იმ დროისთვის, როცა ჯვარი დაინერა ახალგაზრდა მოცეკვავე ანაზე, მამა დაქვრივებული იყო და ტარიელს აზრადაც არ მოსვლია მისი დატოვება... (ფალავა-ბულები 2017:121).

ეთერი ფალავამ, ფრანგული ბალეტის პრიმა-ბალერინამ, თითქმის მთელი მსოფლიო მონარა, მაგრამ ფესვების განცდა ყოველთვის თან ახლდა. მისი უდიდესი ოცნება იყო, რომ ქართულ სცენაზე თანამემამულეთათვის ეცეკვა.

„აი, ეს დღე, 1966 წლის ოქტომბერში დადგა“, - წერს ეთერი ფალავა თავის მოგონებებში, - „პირველად აღმოვაჩინე ჩემი ქვეყანა საქართველო!



ეთერი ფალავა და ვახტანგ ჭაბუკიანი  
თბილისის ოპერისა და  
ბალეტის თეატრის სცენაზე

„თვითფრინავმა ძალიან დააგვიანა. ღამის 4 საათზე ჩამოვედი და ჩემს გოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე, რომ აეროპორტი სავსე იყო ჩემს დასახვედრად მოსული ადამიანებით, რომლებსაც ხელში ყვავილები ეჭირათ. ამ ზღვა ხალხს შორის მყოფი ჩემი ნათესავები, ბიძა, დეიდა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, რომელთა გაცნობამაც გული ამიჩუყა, მეხვეოდნენ და გულში მიკრავდნენ; (მოგვიანებით ჩემი ბებიაც გავიცანი, მამის დედა, რომელიც მამას იმის მერე, რაც 17 წლის ასაკში საფრანგეთში გადაიხვეწა, აღარ ენახა). იქ მყოფ ცნობილ ადამიანთა შორის გამოჩენილი მოცეკვავე ჭაბუკიანიც დავინახე, დიდი თაიგულით ხელში.“

ეთერი ფალავასამი კვირა იმყოფებოდა სამშობლოში.

„წარმოდგენების ჩატარებისას დარბაზი გაჭედული იყო და ისეთი ოვაციები ისმოდა, როგორც პრემიერის დროს იცის ხოლმე. სპექტაკლის შემდეგ სამადლობელ სიტყვას ქართულად წარმოვთქვამდი... მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახს, რომ ქართული მასწავლეს და ვიცხოვრე საფრანგეთში, ქართულ ატმოსფეროში და ქართული წესჩვეულებების შესაბამისად“ („ცხოვრება საბჭოეთში“ 2019:210-211).

ეთერი ფალავა თბილისში გამართულ გასტროლებზე მაყურებლის წინაშე ადანის „ჟიზელსა“ და ლ. მინკუსის „დონ კიხოტში“ წარსდგა. ორივე ამ პარტიას თავისი ტრადიციები აქვს. ბუნებრივია, მაყურებელი როცა ნაცნობი პარტიების ახალ შემსრულებელს ხვდება, ისინი მასში უნებურად ეძებენ რაღაც ახალს, თავისებურს, განუმეორებელს, რომლის გამოც თეატრი დღესასწაულად იქცევა. ეთერი ფალავამ ორივე პარტიაში საკუთარი შთაგონება შეიტანა.

საქართველოში ეთერი ფალავას გასტროლების თვითმხილველი ეთერ გუგუშვილი წერდა: „ჟიზელი - ფალავა ეფემერული როდია, იგი მიწინერი, მგზნებარეა, აღფრთოვანებულია. მისი აღფრთოვანების წყაროა არა ბავშვური ინფანტილობა, არამედ სიცოცხლის აქტიური შეგრძნება. მსახიობს კარგად გამოუდის გადასვლები ლალი მგზნებარებიდან ღრმა სულიერ ძვრებზე, ხოლო შემდეგ, მეორე აქტში - გამჭვირვალე, იმქვეყნიურ უწონობასა და აჩრდილისებრ, მაგრამ მომხიბლავ ქალურ სინაზზე, რომლებშიც ცოცხლობს სულის სინძინდე, უმანკოება და სიდიადე“ („კომუნისტი“ 1966:4).

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე წარმოდგენილ ორივე სპექტაკლში ეთერი ფალავას პარტნიორი გახლდათ ცეკვის დიდებული რაინდი ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიც მასთან ერთად განიცდიდა დიდ სიხარულს.

„რამდენიმე დღის განმავლობაში ვვარჯიშობდით „ჟიზელს“ და „დონ კიხოტს“. ჭაბუკიანს, რომელიც 60 წლის იყო, არაჩვეულებრივი სტიმული და ტექნიკა ჰქონდა. მისი უბადლო და დაუშრეტელი საცეკვაო აზარტი, სწრაფი, აჟურული მოძრაობა, მსუბუქი ნახტომები, საოცარი პირუეტი, მთელი მისი განუმეორებელი საცეკვაო ბუნება და თავისთავად მისი გამოსვლა სცენაზე უკვე ნიშნავდა ცეკვის საფუძველს,“ - იგონებს ეთერი ფალავა.

ორ დღეს ზედიზედ იდგა ცეკვის ნამდვილი დღესასწაული თეატრის სცენაზე. ეს დღესასწაული საერთო ძალებით შეიქმნა, რომელსაც ქმნიდა ორივე სპექტაკლის ყველა მონაწილე. „დონ კიხოტში“ ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშის „სამაიას“ ცეკვის გამოძახილი იგრძნობოდა მთავარი პარტიის სამივე მონაწილის ვერა წიგნაძის, ლილიანა მითაიშვილის და ეთერი ფაღავას შესრულებაში. ეს იყო თავისებური შეჯიბრება, რომელშიც თვითეული მოცეკვავე უჩვენებდა თავის მაღალ ოსტატობასა და ცეკვის ნატიფ გრძნობას.



ეთერი ფაღავა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე - „ჟიზელი“.

„დონ კიხოტი“-ს პრემიერის წინ - იხსენებს ეთერი ფაღავა, - ვახტანგ ჭაბუკიანიმა ეს სიტყვები მომანია: „ეთერი, ეს ბალეტი უნდა იცეკვო ქართული ცეცხლით, ორჯერ მეტი ალით ჩვეულებრივზე“ (ფაღავა 2021:2).

„ჟიზელის“ პრემიერის დღეზე დიდი მღელვარებით იკითხება ეთერი ფაღავას მოგონება: „რა თქმა უნდა ვნერვიულობდი, ჩვეულებრივზე მეტად, რადგან ჩემს სამშობლოში ვიყავი. თეატრის გადატვირთულმა ტრიუმფმა იქამდე მიმიყვანა, რომ მაყურებელს რამოდენიმე სიტყვით ქართუ-

ლად მივმართე: „ძალიან აღფრთოვანებული ვარ, რომ პირველად აღმოვჩნდი საქართველოსა და თქვენს წინაშე, ჩემო ძვირფასო მეგობრებო. მე ყველა მიყვარხართ და ვამაყობ, რომ ქართველი ვარ“ (ფაღავა 2021:3).


ყურადღებას იქცევს ეთერი ფაღავას სტატია „პერსონა ნონ გრატა“, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს: „1965 წლის ბოლოს, ჩემმა პარიზელმა იმპრესარიომ მაცნობა, რომ „გოს კონცერტი“ საქართველოსა და უკრაინაში მეპატიჟებოდა მრავალ-რიცხოვანი წარმოდგენის ჩასატარებლად, როგორც მიწვეულ პრიმა - ბალერინას.

ეს იყო გასაოცარი და სრულიად მოულოდნელი ახალი ამბავი, რადგან ცნობილი მოცეკვავე ვიყავი, აგრეთვე, ნოე ჟორდანიას შვილიშვილი და ლევან ფაღავას ქალიშვილიც გახლდით... საქართველოში ჩემდამი თაყვანისცემა იმდენად ძლიერი იყო, რომ, როდესაც ტელევიზიაში მიმიწვიეს და მკითხეს: „რას უსურვებდით საქართველოს?“, მე სპონტანურად ვუპასუხე: „დამოუკიდებლობას“.

საფრანგეთში ჩასულმა, რუსეთის „გოს კონცერტისგან“ წერილი მივიღე, რომელიც მაფრთხილებდა, „რომ საქართველოში წლების მანძილზე ვეღარ დავბრუნდებოდი“ და ეს მაშინ, როცა თბილისის ოპერაში მომავალი სფექტაკლების ჩასატარებლად მელოდნენ... და, ასე ვარსკვლავი და პრიმა-ბალერინა გადავიქეცი „პერსონა ნონ გრატად“.

საქართველოში მხოლოდ 1990 წელს დავბრუნდი. ამჯერად უკვე ჩემი საცეკვაო დასის სათავეში, სახელწოდებით: „ეთერი ფაღავას ბალეტი“ („ცხოვრება საბჭოეთში“ 2019:211-212).

1970-იან წლებში საფრანგეთის განათლების მინისტრმა ეთერი ფაღავა მიიწვია ხელოვნების აღორძინებისა და განვითარების მუდმივ კომი-



ეთერი ფაღავა ლადო გუდიაშვილთან ერთად.

სიაში. მას საზოგადოების ფართო ფენებში ქორეოგრაფიის პოპულარიზაცია მიენდო. ეთერი დავალებას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა და ენერგიულად შეუდგა საქმეს. საზოგადოების წინაშე ჯერ თვითონ გამოდიოდა და ქორეოგრაფიის მნიშვნელობაზე საუბრობდა, შემდეგ კი მოცეკვავეთა ჯგუფი ასრულებდა მის მიერ დადგმულ ბალებებს. ეს გამოსვლები დიდი მოწონებით სარგებლობდა.

1980-იან წლებში ეთერი ფალავამ პედაგოგობას მოჰკიდა ხელი. მისი საქმიანობის არეალი საკმაოდ ფართო იყო - ცეკვას ასწავლიდა პარიზის თეატრებში, კონსერვატორიაში, პომპიდუს ცენტრში. გარდა ამისა, 1980-იანი წლების ბოლოს მის მეორე მეუღლესთან, ცნობილ მომღერალ ჟაკ დუესთან ერთად, ხელმძღვანელობდა თეატრს ბულონის ტყის მიმდებარე ბაღში "Le Theatre du Jardin" პარიზში. აქ ხშირად იდგმებოდა, ბავშვებისთვის ნაშუადღევს და მოზრდილებისთვის საღამოს, მისი საბალებო სპექტაკლები, რომლებიც წარმატებით სარგებლობდნენ.

ამ თეატრში მიწვეული გახლდათ თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომლის შესახებ თავის პირად წერილში ეთერი ფალავა ხაზგასმით აღნიშნავს: „ქართველებს თავიანთ გენში აქვთ ცეკვისა და სიმღერის ხელოვნება. თქვენ უნდა ნახოთ პატარა ქართველები, რომლებიც განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და რიტმით რომ ცეკვავენ.“

მე და ჩემმა მეუღლემ ჟაკ დუემ ჩვენს თეატრში, გასტროლებზე მოვიწვიეთ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი. საფრანგეთის საზოგადოება მოხიბლა მათმა ტრიუმფალურმა შესრულებამ. სწორედ, ამას ვხვდებით ქართველ კლასიკურ მოცეკვავეებშიც. ამ თეატრში მივიღეთ 250.000 მაყურებელი“ (ფალავა 2021:3).

90-იან წლებში ეთერი ფალავა მეუღლესა და შვილთან, ასევე ბიძის, რეჯებ ჟორდანას, თანხლებით მეორედ ეწვია სამშობლოს. მისმა ფრანგმა მეუღლემ თურმე ისე ემოციურად შეასრულა ქართული სიმღერა „სულიკო“, რომ მთელი საქართველო აღაფრთოვანა.



ეთერი ფალავა მეუღლესთან, ჟაკ დუესთან ერთად.

უკვე 77 წელი შესრულდა, რაც პრიმა-ბალერინა პროფესიულ სცენაზე მოღვაწეობს. „ახალგაზრდა აღარ ვარ, მაგრამ ვვარჯიშობ ყოველ დღეს, ვატარებ მასტერკლასებს და ვდგამ ბალებებს ჩემ ჯგუფისთვის. ჩემს გვერდით დგას ჩემი ვაჟი ტარიელი, სცენოგრაფი, რომელიც ქართულად არაჩვეულებრივად საუბრობს. რომ მეკითხებიან, ამ ასაკში როგორ ცეკვავო, ვპასუხობ, იმიტომ, რომ ქართველი ვარ - მე თქი... ჩემი პატარა შვილიშვილი თეა ამბობს, ბებიაჩემი ცეკვით დაიბადა და ამ ქვეყნიდანაც ცეკვით წავაო...“ („კვირის პალიტრა“ 2016:33).

ეთერი ფალავას ოჯახში ყველა ხელოვანია. სცენოგრაფი ვაჟიშვილის ტარიელ ლურდენ-ფალავას მეუღლე პორტუგალიელი ანა პინტო ბალერინაა, მათი ქალიშვილებიდან თეა ბალეტის მოცეკვავეა, ხოლო 15 წლის კლარა-ნათელა მუსიკალურ განათლებას ვიოლინოზე ეწევა. ორივენი ამყობენ თავისი ქართული ფესვებით.

თავად, ფრანგული ბალეტის ვარსკვლავი ეთერი ფალავა, დღესაც ისევე ჰაეროვანი, გრაციოზული, ნაზი და მოქნილია.



## ღიხსეული მამულიშვილები: გახიედ ფუტკარაძე



**რიტა ნაქაძე**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

2007 წელს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის თავკაცობა ცნობილ ფილოლოგს, უაღრესად განსწავლულ პიროვნებას, ბატონ მერაბ გვაზავას დაეკისრა. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა საუკუნე-ნახევრის ინსტიტუციაა - თავმოსაწონი ისტორიითა და ტრადიციებით. ეს პასუხისმგებლობა კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ბატონ მერაბს. პატივი მერგო და საკუთარი მისიის შესრულება ჩემთან თანამშრომლობით ისურვა. ასე აღმოვჩინე დირექტორის მოადგილის პოზიციაზე. ორივეს გვესმოდა, რომ ტრადიციების პატივისცემა და შენარჩუნება აუცილებელია, მაგრამ საჭირო იყო ინსტიტუციის შემდგომი განვითარება, ამიტომ ორიენტაცია ავიღეთ სიახლეებზე და ვცდილობდით, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, გაგვეზარდა ბიბლიოთეკის ფუნქციები. ბევრს ვფიქრობდით და მეგობრებთანაც ხშირად ვსაუბრობდით ამ თემაზე. ერთ-ერთი შეხვედრისას ჩვენმა საერთო მეგობარმა, ცნობილმა ქართველოლოგმა, პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ, ბიბლიოთეკაში ქართველოლოგიური და ბიბლიოთეკათმცოდნეობითი მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დაფუძნების იდეა შემოგვთავაზა. მოგვეწონა, ბიბლიოთეკის წინაშე დიდებული პერსპექტივა იშლებოდა - ეროვნული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა. დავაფუძნეთ და შევუდექით საქმეს. ამ იდეის გარშემო ბევრი თანამოაზრე გაერთიანდა. განსაკუთრებული თანადგომა გავგვინა ჩვენი ქალაქის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორამ.

*ქაჩიუკო ფუტკარაძე*

## და ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა

ბატონი ტარიელ ფუტკარაძე არასოდეს ყოფილა კონფერენციის მხოლოდ იდეის ავტორი და დამფუძნებელი, იგი მუდამ აქტიურად მონაწილეობდა თითოეული კონფერენციის მომზადებაში. პირველი კონფერენცია, არსებითად, მისი ძალისხმევით გაიმართა. აქამდე ბიბლიოთეკას ასეთი მასშტაბური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების გამოცდილება არ გააჩნდა, ამიტომ რთული იყო მეცნიერთა დაინტერესება. მაგრამ ტარიელ ფუტკარაძის ავტორიტეტმა გააჩინა ნდობა. უკვე პირველ კონფერენციაში ორმოცდაათი მომხსენებელი მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე უცხოეთიდან. კონფერენცია ტრადიციად იქცა. ყოველი წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის ბოლოს, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში ორდღიანი დიდი სამეცნიერო ფორუმი იმართება. დღემდე ჩატარდა თორმეტი სამეცნიერო კონფერენცია. სამწუხაროდ, მეცამეტე კონფერენცია უკვე ბატონი ტარიელის გარეშე ჩატარდა.

კონფერენციის წყალობით ძალიან გაიზარდა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის ცნობადობა როგორც საბიბლიოთეკო, ისე სამეცნიერო ველში. დღესდღეობით ბიბლიოთეკის პარტნიორი ორგანიზაციებია: ივანე ჯავახიშვილის, აკაკი წერეთლისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტები, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო



**ტარიელ ფუტკარაძე**

ფორუმი იმართება. დღემდე ჩატარდა თორმეტი სამეცნიერო კონფერენცია. სამწუხაროდ, მეცამეტე კონფერენცია უკვე ბატონი ტარიელის გარეშე ჩატარდა.

კონფერენციის წყალობით ძალიან გაიზარდა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის ცნობადობა როგორც საბიბლიოთეკო, ისე სამეცნიერო ველში. დღესდღეობით ბიბლიოთეკის პარტნიორი ორგანიზაციებია: ივანე ჯავახიშვილის, აკაკი წერეთლისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტები, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო

უნივერსიტეტი, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ცენტრი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ზუგდიდის საჯარო ბიბლიოთეკა, ქუთაისის ცენტრალური არქივი და სხვ.

ვრცელია საერთაშორისო თანამშრომლობის არეალიც: აშშ - ფლორიდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის გოლდსტეინის ბიბლიოთეკა, მასაჩუსეტსი, მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯი; ეგვიპტე - კაიროს უნივერსიტეტი, ეგვიპტის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდი; ირანი - ისპაჰანისა და თეირანის უნივერსიტეტები, თეირანის უნივერსიტეტის კავკასიურ კვლევათა ინსტიტუტი; აზერბაიჯანი - ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი; თურქეთი - სტამბოლის, რიზეს, დუზჯესა და სინოპის უნივერსიტეტები; გერმანია - გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი; ერაყი - ბაღდადისა და ქუფას უნივერსიტეტები; უკრაინა - ტარას შევჩენკოს კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი და სხვ.

კონფერენცია საქართველოს ერთიანობის ერთგვარ სიმბოლოდაც იქცა. მის საქმიანობაში ჩართული არიან ქართველოლოგიის სფეროში მომუშავე თურქეთისა და ირანის ეთნიკური ქართველები.

ტრადიციული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პარალელურად, ტარიელ ფუტკარაძემ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში კიდევ ერთ ქართულ საქმეს ჩაუყარა საძირკველი. ესაა ყოველწლიური სამეცნიერო კრებული „წელიწადული“. მასში იბეჭდება ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები,

ასევე რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები. გამოცემულია „წელიწადულის“ 12 ნომერი. ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში.“

დიდია ტარიელ ფუტკარაძის დამსახურება ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო საქმიანობის განვითარებაში და ეს არაა განსაკუთრებული შემთხვევა. საკმაოდ ბევრია საქართველოში ისეთი სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთა საქმიანობაშიც ტარიელ ფუტკარაძემ საკუთარი იდეებითა თუ მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა მადლობას უხდის დიდ მამულიშვილს, ბიბლიოთეკის მოამაგეს, ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს და გრძნობს ვალდებულებას, გააგრძელოს მის მიერ ფუძეჩაყრილი ქართული საქმე.





**ლუიზა საქაპურიძე**  
ფილოლოგიის დოქტორი

# ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და მისი ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანაში, 1992 წლის დეკემბერში, ქუთაისში დაფუძნდა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მას შემდგომში ეწოდა ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი, უფრო გვიან სახელდებული იყო ქართველოლოგიური დიალექტოლოგიის მიმართულებად. დღეს იგი ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია.

ტარიელ ფუტკარაძე ახალგაზრდა ენათმეცნიერი იყო, როცა აკადემიკოსების: თედო უთურგაიძისა და ქეთევან ლომთათიძის წარდგინებითა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტის რექტორმა, მაგალი თოდუამ ინსტიტუტის დირექტორად დანიშნა. სწორედ მისი ძალისხმევით დიალექტოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობაში ღირშესანიშნავ მოვლენად იქცა 90-იანი წლების საქართველოში ერთადერთი, ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმი, სახელწოდებით - „ქუთაისური საუბრები“ - ქართველოლოგთა ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური სამეცნიერო ფორუმი.

პირველი სიმპოზიუმი 1994 წელს გაიმართა. დღეს ადვილი სათქმელია, მაგრამ თუ გავაცნობიერებთ, რა მდგომარეობა იყო მაშინ საქართვე-

ლოში, მივხვდებით, რამხელა ენთუზიაზმი უნდა გვექონოდა ყველას ერთად. ტარიელ ფუტკარაძემ შეძლო, თავისი სულის ცეცხლი სხვათა სულის პატრუქისთვის წაეკიდებინა. სწორედ, ამიტომაც იქცა მაშინ ქუთაისი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევით და საერთაშორისო სიმპოზიუმების ცენტრად. ეს იყო იმდროინდელი ქუთაისის მზიანი ღამე. ინსტიტუტის თანამშრომლები ძირითადად ახალი კურსდამთავრებულები ვიყავით. დირექტორის ხელმძღვანელობით ხდებოდა ჩვენი განვრთნა, პროფესიონალებად ჩამოყალიბება. ვამუშავებდით დიალექტურ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ ლიტერატურას, მეცნიერთა მიერ სავლელ ექსპედიციებზე გაკეთებულ ჩანაწერებს, დარგობრივ კითხვარებს. ვმუშაობდით დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის მოძიებისათვის საჭირო პროგრამა-ინსტრუქციაზე, პარალელურად ვინერდით ტექსტებს.

ჩვენი ბიბლიოთეკის გამდიდრებაც ბ-ნი ტარიელის მონდომებითა და მითითებით დავინწყეთ.

მასალათა შესაპირისპირებლად გვესაჭიროებოდა სხვადასხვა ხასიათის ლექსიკონები, გამოქვეყნებული ტექსტები და ის დიდძალი სპეციალური ლიტერატურა, რომელთა უმეტესი ნაწილი გაფანტული იყო კერძო ბიბლიოთეკებში. წიგნების შესაძენად უნივერსიტეტმა 1995 წლის ოქტომბრის თვეში გამოყო 442 მილიონი კუპონი, მაშინ მისი ბიუჯეტისათვის ეს უზარმაზარი თანხა იყო, თუმცა ძალიან მცირე კი ბიბლიოთეკის შესაქმნელად - იმ დროს ვ. ბარდაველიძის „სვანურ დღესასწაულთა კალენდარი“ 15.000000 კუპონი





ღირდა. გამომდინარე აქედან, ნათელია, რომ რექტორატის მიერ გამოყოფილი თანხით ბიბლიოთეკის შექმნაზე ოცნებაც არარეალური იყო. დახმარება ვთხოვეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, თსუ პროფესორ-მასწავლებლებსა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს - ჩვენთვის ახლობელ ადამიანებს.

90-იანი წლების ქაოსის დიქტატურაში შემოქმედ ადამიანთა დიდი ნაწილი ყოველდღიური პურის ფულის მოპოვებას ერთადერთი სიმდიდრის, ადრე შეძენილი წიგნების გაყიდვითა თუ ახერხებდა. მახსოვს, იმერეთის ერთ-ერთ სოფელში შევიძინეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული. სოფელში თქვეს - ბ-ნი პავლე (განმარტებითი ლექსიკონის პატრონი) წიგნებს რომ ყიდის, ე.ი. მართლა დაქცეულა ქვეყანაო... ამის მთქმელი ბ-ნ ტარიელ ფუტკარაძემ დაამშვიდა - „ამ წიგნებს მეტი სიკეთის მოტანა ამის შემდეგ უფრო შეეძლება, რადგან აქამდე ერთი კაცის საკუთრება იყო, დღეიდან კი გაცილებით მეტს მიაახლებს ქართული ცნობიერების ნაკადულებთან“ - ასეთი იყო წიგნების მფლობელის სურვილიც და მან რამდენიმე წიგნი საჩუქრადაც გადასცა ინსტიტუტს...

სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათა მიერ ნაჩუქარი წიგნების რაოდენობა უკვე 1000-ს გა-

დასცდა... მახსოვს, ბატონმა ტარიელმა გვითხრა, იმდროინდელი სიდუხჭირის ფონზე მეცნიერი 40-მდე წიგნის გაჩუქებას რომ შეძლებს, ზნეობრივ გმირად უნდა ჩაითვალოსო. საკუთარი ბიბლიოთეკებიდან დიალექტოლოგიის ინსტიტუტს წიგნები გადასცეს: ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომლებმა: ლილი და ირინე ასათიანებმა, თეიმურაზ გვანცელაძემ (50-ზე მეტი ძვირფასი წიგნი), ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგემ ჯონდო ბარდაველიძემ (40-მდე წიგნი), ცნობილმა მეცნიერებმა: კორნელი დანელიამ, როლანდ თოფჩიშვილმა, ნათელა იმნაძემ, ლეო კვაჭაძემ, ზურაბ კიკნაძემ, მანანა კვაჭაძემ, დამანა მელიქიშვილმა, მანანა ტაბიძემ, ომარ მემიშიშმა, ალექსანდრე ონიანმა, თენგიზ სანიკიძემ, თედო უთურგაიძემ, იზა ჩანტლაძემ, გურამ ჩიქოვანმა, როსტომ ჩხეიძემ, გიორგი ცოცანიძემ (40-მდე წიგნი), პაატა ცხადაიამ, ალექსი ჭინჭარაულმა (40-მდე წიგნი), ზურაბ ჭუმბურიძემ, ქუთაისის სახელმწიფო არქივის დირექტორმა მერაბ კვებევაძემ, ქუთაისის 24-ე სკოლის დირექტორმა მერაბ დანელიამ, ქ-ნმა ცირა ჯიმშელიაშვილმა (მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა) ... სამწუხაროდ დღეს ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მათი ხსოვნა მუდამ ძვირფასი იქნება ყოველი ჩვენგანისათვის.



**ტარიელ ფუტკარაძის სახელობის  
ქართველოლოგიის  
სამეცნიერო-კვლევითი  
ცენტრი**

როგორც ჩანს, ყველა დროში ქველმოქმედებას მაღალი სულიერება უფრო სჭირდება, ვიდრე ეკონომიკური სახსარი. ამის ნათელი დადასტურება იყო დასახელებულ ცნობილ ადამიანთა უშურველი ღვაწლი, განუული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკის შექმნისათვის. (მადლიერებმა, მათ ამ ღირსეულ ჟესტს, სამადლობელი წერილიც მივუძღვენით „სიკეთე დღესაც ყვავილობს ანუ მეცნიერები ქველმოქმედებასაც პირველნი ახერხებენ“, გაზეთი „მსგეფსი“, 1994 წ. 24-31 დეკემბერი).

დირექტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის წერილობითი მიმართვის შემდეგ, დიალექტოლოგიის ინსტიტუტს თავიანთი გაცვლითი ფონდებიდან დიდი რაოდენობის წიგნები გამოუყო საქ. მეცნ. აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა (დირექტორი ქ-ნი გურია კვარაცხელია, ბიბლიოთეკის გამგე მარინე მდინარაძე), ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა (დირექტორი ბ-ნი გიორგი მელიქიშვილი), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა (დირექტორი ბ-ნი თამაზ გამყრელიძე), ივ. ჯავახიშვილის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა (დირექტორი ბ-ნი გურამ ბარნოვი), აჭარის სამუზეუმო გაერთიანებამ (დირექტორი ბ-ნი ნოდარ ცეცხლაძე) და საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი ბ-ნი აკაკი ძიძიგური)...

ნელ-ნელა ძალებს იკრებდა და ძლიერდებოდა ჩვენი საყვარელი ინსტიტუტი და მისი ბიბლიოთეკა. არასოდეს დამავიწყდება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში (ყოფილი საჯარო ბიბლიოთეკა) გატარებული დღეები თუ კვირები, ჩვენთვის საჭირო თემატური კატალოგების შესაქმნელად თუ სადისერტაციო თემებზე

მუშაობისას, უშუქობის გამო ბიბლიოთეკაში დაგვეკონდა ფარანი. მიუხედავად არანორმალური სამუშაო პირობებისა, თანამშრომლები ისე აკადემიურად, დაუზარებლად გვემსახურებოდნენ, გვაინყდებოდა გარეთ არსებული საშინელი ყოფა. ჩვენი დირექტორის, ტარიელ ფუტკარაძის ოჯახი და მისი უკეთილშობილესი დიასახლისი, ქალბატონი ია ვაშაკიძე თვითონვე გვმასპინძლობდა თბილისში. გვაპურებდნენ, გვერდით გვედგნენ და გვაკვირვებდნენ საქმის ერთგულებით.

თავდადებული ადამიანების წყალობით გაძლიერდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კვლევითი ცენტრი და მისი ბიბლიოთეკა, რომელიც ამჟამად მოიცავს 3000-მდე წიგნს (ძირითადად ლექსიკონები, ენათმეცნიერული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, ისტორიული ხასიათის სპეციალური ლიტერატურა); ცენტრში დაცულია ქართული ყოფის ამსახველი დიალექტური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ხასიათის აუდიო მასალა (უკვე გაციფრებული); ცენტრი დღესაც აგრძელებს სტუდენტური საველე ექსპედიციებით მასალის მოპოვებას, აგრძელებს საერთაშორისო სიმპოზიუმებს.

დღეს ჩვენი დირექტორის - ენათმეცნიერის, პედაგოგისა და პოლიტიკოსის ტარიელ ფუტკარაძის ღვაწლის უკვდავსაყოფად, მისი სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი კვლავაც ჩვეული შემართებით საქმიანობს და ღირსეულად აგრძელებს კარგად გაკვალულ გზას. ყოველივე ეს ჩვენ ყველამ ერთად შევძელით!





# წიგნი ჩემი მოწიქია

## ბიბლიოფილის ჩანაწერები

### ბიბლიოთეკა ჩემს სამყაროში

ო, რა ძნელად დასაწერი თავი მომიწია. აქამდე ჩემი ამბები ასახავდა ჩემს ცხოვრებას ბიბლიოთეკის გარეშე, ახლა კი მინდა მოგიხროთ, თუ როგორ შემოიჭრა ბიბლიოთეკა ჩემს სამყაროში. პირველი შეხვედრა მასთან სკოლის ასაკში მქონდა. ჩემი სახლის გვერდით, პეკინის ქუჩის N31-ში, პატარა ბიბლიოთეკა იყო, ქალაქის ბიბლიოთეკის ფილიალი. იქ ჩამწერა ბებიამ და მთელი სკოლის პერიოდი მისი მკითხველი ვიყავი. წიგნაკიც მქონდა გახსნილი. სახლში მატანდნენ წიგნებს. ვკითხულობდი და უკან ვაბრუნებდი. წიგნის დაბრუნების ვადა 10 დღე მქონდა. მემსახურებოდა უკეთილშობილესი ქალბატონი. მისი სახელი იყო ბელა. დამახასიათებელი და სამწუხარო ამ ქალბატონის გარეგნობაში კუბი იყო. საშინელი კუბი არათუ ამახინჯებდა, ტანჯავდა კიდევ, ხერხემლის განვითარებას უშლიდა, ზურგზეც და მკერდზეც ამობურცული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ქალბატონის სახე იმდენად კეთილშობილი და ხმა იმდენად მიმზიდველი იყო, რომ რამდენიმე შეხვედრის მერე ვეღარ ვხედავდი მის ამ საშინელ ფიზიკურ ნაკლს. მე არასოდეს მინახავს ასეთი კეთილშობილი და სათნო, უბოროტო და სულიერად ლამაზი სახე. ჩემი და, საზოგადოდ, ბავშვის აღქმა მაშინ გაცილებით ნაზი და გულჩვილი იყო, ვიდრე დღესაა. დღეს მე სხვისი ფიზიკური ნაკლის გამო არ ვიტყვებ, მაშინ კი ბიბლიოთეკის ერთმა თანამშრომელმა უყვირა იმ ქალბატონს, რამაც ისე საშინლად იმოქმედა ჩემზე, რომ ცრემლები წამომივიდა. მისი თვალები ახლაც მახსოვს, ბოდიში მომიხადა, თანამშრომლის დავალება შეასრულა და

შემდგომ მე გამომიწერა წიგნი.

სკოლის დამთავრების შემდეგაც შევედი იმ ბიბლიოთეკაში, მაგრამ ვერ დავინახე ის ქალბატონი. მოვიკითხე და მითხრეს - გარდაიცვალაო. თურმე სულ ახალგაზრდა გარდაცვლილა კუბის გამო. იმ ბიბლიოთეკარმა მახიარა ტომ სოიერს, რობინზონ კრუზოს, გულივერს, გაიდარის „თემური და მის რაზმს“, მედოლის ბედს, ჩუკსა და გეკს, სალამურას, პეპი გრძელიწინდას. ... ჩიპოლინო, ბურატინო, ბიჭუნა და კარლსონი, კორჩაგინი... ეს გმირები მან გამაცნო. მე მაშინ არც ვიცოდი, რომ თბილისში იყო წიგნის დიდი სასახლე: მაშინდელი საჯარო ბიბლიოთეკა, შემდგომ რომ ეროვნული ბიბლიოთეკა ეწოდა. ეს გავიგე ერთ კვირა დღეს, მამამ რომ წამიყვანა კინოთეატრ „რუსთაველში“. მაშინ მამამ მანქანა ვაჩნადის ქუჩაზე გააჩერა. მანქანიდან რომ გადმოვედით, ვილაცამ ლამაზი შენობის აივნიდან დაუძახა და გაისაუბრეს. მამამ მითხრა, ჩემი ძველი მეგობარია, ისტორიკოსი ვახტანგ გოილაძე, სულ ბიბლიოთეკაში ათენ-ალამებსო, საქართველოს ისტორიას იკვლევსო, ეს შენობა კი საჯარო ბიბლიოთეკაა და საბჭოთა კავშირში რაც იბეჭდება, ყველაფერი აქ ინახებაო. ჩვენ რაც გვაქვს სახლში, აქ ყველაფერია-მეთქი? - კიო. ბროკგაუზის „Библиотека великих писателей“-მეთქი? - კი, მაგრამ ისეთი შენახული არაა, როგორც ჩვენიო. მივხვდი, რატომაც მითხრა: აკრძალული მქონდა ამ წიგნებთან შეხება. მაშინ ის ისტორიკოსი არანორმალურ კაცად ჩავთვალე დღე და ღამე ბიბლიოთეკაში ყოფნის გამო. რას ვიფიქრებდი, რომ მე მართლა დღე და ღამე ამ ბიბლიოთეკაში



ვიქნებოდი შემდგომ, ბიბლიოთეკის ფონდებს ჩამაბარებდნენ და ბროკაგაუზის გამოცემებს რარიტეტში გადავიტანდი.

ამ ბიბლიოთეკასთან ჩემი დაახლოვება მოგვიანებით, 1988 წელს მოხდა. მამამ სთხოვა თავის მეგობარს, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკაში სამეურნეო ნაწილს განაგებდა (გვარი არ მახსოვს, მგონი კოკაია), ჩავენერე მკითხველად ამ ბიბლიოთეკაში. ჩამწერეს, ბილეთიც მომცეს, პატივიც მცეს და სამეცნიერო დარბაზში გამაფორმეს. არც მამას და არც მე არაფერი გვითხვნია ამ დარბაზში ჩაწერაზე. ეს მაშინ სკოლის მეთერთმეტე კლასელისათვის მიუწვდომელი პატივი იყო. პირველივე მისვლაზე ამ დარბაზის თანამშრომელმა ჩამომართვა ბილეთი, ატეხა ერთი ამბავი და საერთო დარბაზში უნდოდა ჩემი გადაყვანა. კედელთან ვიყავი ატუბული. მოიყვანეს დარბაზების გამგე, მერე დირექტორის მოადგილე სერგო მეფარიშვილი. ლანძღავდნენ ამ კოკაიას. ჩემზე თქვეს: ასეთი ღლაპები მეცნიერთა გვერდით სირცხვილიაო. ბოლოს ტექნიკურ დარბაზში ჩამწერეს. იქ ერთხელ მივედი მხოლოდ. ვუყურებდი, როგორ ემსახურებოდნენ მკითხველებს. ერთ ბიბლიოთეკარს ვკითხე: რამდენი გაქვთ ხელფასი მეთქი? ხარხარი ატეხა. აი, ბავშვიც კი ხვდება, რა დღეში ვართო. ამ დარბაზში მომუშავე ერთმა კეთილმა ქალბატონმა (შემდგომში ჩემი თანამშრომელი იყო), გვარად სოხაძემ, მირჩია, ბოლო რიგში დავმჯდარიყავი - შენხელა შვილები მყავსო. გამომანერინა წიგნები. ვიჯექი და ვკითხულობდი. მეგონა, რომ რაღაცას ვაშავებდი.

ჩავაბარე წიგნები, გამოვედი გარეთ და თავი კარგად ვიგრძენი. ისე გავიდა სტუდენტობის ხუთი წელი, საჯაროს წიგნის წასაკითხად არ გავკარებდითარ. ინსტიტუტი 1994 წელს დავასრულე. ერთხელ მივედი ბიბლიოთეკაში რაღაცის სანახავად. აღმოჩნდა, რომ ბილეთს ვადა გასვლოდა. რიგი იდგა საშვთა ბიუროში. იქ ქალბატონმა - დედიკო-შვილიკო, აქ მომიწერე ხელიო, სად ჩაგწერო? - ვთხოვე, სამეცნიერო დარბაზში არ ჩამწერო-მეთქი. საერთოში ჩამწერა.

ქართველოლოგიის დარბაზში ძველი გაზეთები მიწოდდა მენახა. დილას შევედი. 13 საათზე

ქალბატონი დამადგა თავზე: სტუდენტების დრო ამოიწურაო. გადავედი პერიოდიკის დარბაზში, იქ კი გაზეთი „ივერია“ იმ წლის, რომელიც მინდოდა, არ იყო. გამაგზავნეს საარქივო ფონდში. კვლავ ქართველოლოგიაში დავბრუნდი, რომლის შემადგენლობაშიც საარქივო ფონდი შედიოდა მაშინ. იქ მითხრეს: „კვიტოკზე“ დაგიწერონ, რომ არ არის საერთო ფონდშიო. დაჯემუჭნე ეს ე.წ. „კვიტოკი“ და წამოვედი. ერთი კი დამრჩა ყოველთვის დასამახსოვრებელი: გაცივანი ქალბატონი ლანა ჩიტაიშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი, რომელიც გამოცემა, წამოიღო ჟურნალი „მნათობი“, გადამაღებინა საჯაროს გვერდით შენობაში ქსეროქსზე და მერე თვითონვე აიტანა ეს ჟურნალი ბიბლიოთეკაში.

დღეს კოლეგები ვართ. ლანა ჩიტაიშვილს და ნატო სოხაძეს დღემდე ვთვლი იმ პატარა ვარსკვლავებად, გზაზე რომ გაგიძღვებიან სინათლისაკენ.

ამის შემდეგ აღარ მქონდა სურვილი ბიბლიოთეკაში მისვლისა. თუ რამ შემაბრუნა და როდის მოვიწამლე ბიბლიოთეკით, ეს შემდგომ. ჯერ არ ვიცნობდი ჩემს მთავარ მასწავლებლებსა და ლეგენდარულ ბიბლიოთეკარებს. არ ვიცოდი, ბიბლიოთეკა რომ მთელი სამყარო იყო.

ერთი ამბავიც მინდა გავიხსენო: ბიბლიოთეკაში ანტიკვარული წიგნის აუქციონი ჩატარდა 1990 წელს. მიჰყავდა კოტე მახარაძეს. ერთი წიგნი მიწოდდა მეყიდა. მივედი და ამ წიგნის ლოტს დაველოდე. ტროცკისტულ-ზინოვიევის ჯგუფის სასამართლო პროცესის სტენოგრაფიული ანგარიში იყო ეს წიგნი, 1937 წლის. ხელი ავწიე. ბატონმა კოტემ შემომხედა და თქვა: აგერ კაცი, რომელსაც არ ენანება 30 მანეთი ამ ტყუილებისათვისო. ხალხმა სიცილი დაიწყო. ჩუმად გადავიხადე თანხა, ავიღე ეს წიგნი აუქციონის შემდეგ და გამოვიპარე. მეწყინა ესეც. თავშეკავება ყველგან და ყოველთვის, ეს იყო ჩემი არჩევანი. ბიბლიოთეკის ტუალეტში შესვლისას ჩემი ყოველგვარი თავშეკავება დასრულდა. ცხვირის აქცეპტორებში დარჩენილი საშინელი სუნი მთელი დღე დამყვებოდა. მას შემდეგ, წლების განმავლობაში, არ შევდიოდი ბიბლიოთეკის ტუალეტში, მაგრამ იმ საშინელ პერიოდში, როგორც



ნატო სოხაძე



ლანა ჩიტაიშვილი



დღევანდელი რეალობიდან ვუყურებ, მუშაობდნენ ისეთი გულანთებული ქალი ბიბლიოთეკარები, რომლებიც დღევანდელ ცხოვრებაში, როგორც ჩანს, აღარ არიან. დღეს რომ ხელფასები აქვთ, მაშინ, განსაკუთრებით სსრკ-ს დაშლის შემდეგ, გაბონებული ფულით როგორ ახერხებდნენ სიარულს, გათბობის გარეშე მუშაობას?! ბიბლიოთეკა სულს დაფავდა. ის პრაქტიკულად ენთუზიაზმზე ფუნქციონირებდა, ეს ენთუზიაზმი კი მცირდებოდა. ახალგაზრდები მიდიოდნენ სამსახურიდან. საშუალო წლოვანება 68,6 წელი იყო. თითოეულ განყოფილებაში თითო-ოროლა ახალგაზრდა იყო და კეთილშობილი მოხუცები. მათ ჯერ არ ვიცნობდი. მე ვიყავი მკითხველი, ერთი შეხედვით, არაორდინარული და ხშირად სასაცილო შეკითხვებით. შენობის გარეთ კი უზარმაზარი იაპონური აკაცია ყვავოდა და ეს სუნი ისტორიული პირველი კორპუსის საერთო დარბაზშიც აღწევდა. მარქსის ძეგლი ამ კორპუსის წინ უკვე მოხსნილი იყო... ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება საჯარო ბიბლიოთეკაზე, არცთუ სასიამოვნო.

**კიდევ ერთი შეხვედრა საჯარო ბიბლიოთეკასთან**

ინსტიტუტის დამთავრების პერიოდი დაემთხვა დამოუკიდებელი გაზეთების გამოსვლის ბუმს. მეც ოცნებად დავისახე აღდგენა გაზეთისა „წიგნის სამყარო“. მამა დამპირდა, რომ გამომიცემდა ამ გაზეთს. მას პატარა სტამბა ჰქონდა და მიზანი იყო, ჩავები სასტამბო საქმეში. იცოდა, რომ ამ გაზეთის გამოცემას ან გავართმევდი თავს, ან ვერა. წამოდი სტამბაში, იმუშავე, თავისუფალი დრო კი გაზეთს დაუთმო, - მეუბნებოდა. ამ პერიოდში გავიცანი ოთარ ეგაძე. მას გავანდე ჩემი გეგმა. მომიწონა და მითხრა, რომ მივსულიყავი საჯარო ბიბლიოთეკაში და მისი სახელით პირდაპირ მივდგომოდი მის ძველ მეგობარს, ბიბლიოთეკის იმდროინდელ დირექტორს აკაკი ძიძიგურს. მისი დავალებით საჯარო მომცემდა ახალი გამოცემების სიებს. კაკო თვითონაც ბევრს საინტერესო ამბავს მოგიყვება, მეც დაგეხმარები და სხვებიც, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც ვახსოვარო.

მივედი საჯაროში. დირექტორის მდივანი ვნახე და ვუთხარი, რომ გაზეთის დაბეჭდვასთან დაკავშირებით მქონდა საქმე. რაკი ბატონი აკაკი

არ იყო, შემიყვანა მის მოადგილესთან, ქალბატონ ლეილა ზამბახიძესთან. მან მომიხმინა და გამაგზავნა ბატონ სერგო პულუზაშვილთან. ბატონმა სერგომ მომიწონა განზრახვა, თუმცა მითხრა, რომ ბიბლიოთეკა დაფინანსებას ვერ შეძლებდა. მე ავუხსენი, რომ სპონსორი მყავდა და ბიბლიოთეკისგან მხოლოდ, თვეში ერთხელ, ახალი მიღებული წიგნების სია მინდოდა. რა ინტერესი გაქვსო? ენთუზიაზმი-მეთქი. სერგო პულუზაშვილმა შეხედა მის წინ მჯდომ გურამ თაყნიაშვილს. ბატონმა გურამმა სიხარულით მითხრა: გაზეთისთვის სტატიებიც გექნებათო. ძლივს არ ვნახე გულშემატკივარი-მეთქი, - გავიფიქრე. სიჩუმე ჩამოვარდა. ბატონმა სერგომ კომპუტატორზე დარეკა, როგორც მივხვდი, დირექტორის მდივანთან, რომელმაც შეატყობინა, რომ ბატონი აკაკი უკვე მოსულიყო.



აკაკი ძიძიგური



ლეილა ზამბახიძე

ბატონი სერგო გამიძღვა დირექტორის კაბინეტისაკენ. დირექტორი ქალბატონი ლეილას ოთახში ტახტზე იჯდა. შევედით თუ არა, ხალხიანი მზერით შემომხედა, გამოვიდა ოთახიდან და შემიძღვა თავის უზარმაზარ ოთახში. გვარი და სახელი მკითხა, ოთარ თაქთაქიშვილი ვინ იყო შენო? მისი ბიძებიც ბრწყინვალე ხალხი იყო, და უცებ მეუბნება: ქუთაისში მეეტლეები ამ სიმღერას მღეროდნენო და დაიწყო სიმღერა. ამყევით. არ მაქვს სმენა-მეთქი. დილიჯანი თუ იცი, რა არისო? წარმოდგენა არ მაქვს მეთქი. თაქთაქიშვილს სმენა როგორ არ გაქვსო. ვახ! ჩავფლავდი. შეყვარებული თუ გყავსო? ეხლა არ მყავს მეთქი. აქამდეო? ჩემი სკოლის მასწავლებელი მიყვარდა-მეთქი. გაიცინა. არცერთი დღე არ მიცხოვრია უსიყვარულოდო. ვიცი-მეთქი. შენ საიდან იციო? თქვენმა მეგობარმა მითხრა-მეთქი. ვინო? ბატონმა ოთარ ეგაძემ-მეთქი. ხედავო? მაგან თავის ისტორიებს მიხედოსო. მაინც რა გი-



თხრაო? (არც არაფერი უთქვამს ბატონ ოთარს. მე მინდოდა, ჩამეგდო ლაპარაკში პროტეჟეს სახელი). სიჩუმე... თქვენთან მან გამომგზავნა-მეთქი. მოუყევი ჩემს ჩანაფიქრზე. ყურადღებით მისმენდა. აილო ტელეფონი და მდივანს დაავალა, რომ ერთი მოადგილესა და განყოფილების გამგესთვის დაეძახა. შემოდის ორი კაცი. უთხრა მათ: გაიცანით, ყოფილი თავადი თაქთაქიშვილიო. წინაპართა საქველმოქმედო თვისებებით დაჯილდოვებული, წინადადებით მოდის, გაზეთის დაბეჭდვას გვთავაზობს. თხოულობს სიებს ახალი წიგნებისას, უნდა დავუდგეთ გვერდშიო. გაზეთი მკითხველებს უფასოდ დაურიგდებათ. ხომ იცით, ბატონო კაკო, უამრავი საქმე გვაქვსო, რომ დაგვავალეთ, იმ საქმეებს ვერ ავუდივართო. გასაგებიაო, უპასუხა დირექტორმა. ისინი წავიდნენ. მე მარტო დავრჩი ბატონ კაკოსთან. შემომთავაზა, ჯერ გამეცნო ბიბლიოთეკა, მივსულიყავი იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში, სადაც, მისი თქმით, კარგი გოგოები მუშაობდნენ. მათი გამგე ენერგიული გოგოა, ფერიდეო. გაიცანი, მერე დავილაპარაკოთო. ამ საქმეს გავაკეთებთ. ოთარს მოკითხვა გადაეცო. თავადები მიყვარს, ცოლი ერისთავი მყავსო. მათხოჯიდან ვარ, მაგრამ ჩემს ცოლს რომ ვეტრფოდი, თავი ბაგრატიონი მეგონაო. კეთილშობილი ადამიანი ყოველთვის გაიმარჯვებს, აბა შენ იციო! - გამამხნევა ბოლოს.

გამოვედი და კიბეებზე ერთერთი იმ ოთახში შემოსულ ერთი კაცთაგანი შემხვდა: გაზეთის გაკეთება რომ გინდა, ფარაო? წამოვედი მხრებაჩეჩილი: გაზეთი დავბეჭდო, ნაწილი ტირაჟის უფასოდ დავარიგო, თან ფული მივცე? მაინც მივედი იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში, ვიკითხე ქალბატონი ფერიდე, წასული იყო მივლინებაში. „მშვიდობით, ბიბლიოთეკა“. გამოვედი და წამოვედი.

გავიდა ხანი და გავიგე, რომ იყიდებოდა წიგნების კარადები. ფული ვისესხე, რადგან ძვირი ღირდა. პირველად და უკანასკნელად, პროცენტით - 20 დოლარი, ისეთი პროცენტით, რომ თვეში 3 დოლარი დაემატა პირველივე თვეში. მაშინ 20 დოლარი დიდი ფული იყო ჩემთვის. სახლში არ იცოდნენ. 23 დოლარი მეორე თვეში პროგრესიით გაიზრდებოდა. სულ მაფიქრებდა ეს ვალი.

ერთ დღეს წიგნის მაღაზიაში რომ შევედი, დავინახე ჩემხელა ბიჭი, რომელსაც ბიბლიის ყიდ-

ვა უნდოდა და გამყიდველს ფასის დაკლებას სთხოვდა. არადა ამ ბიბლიის 2 იდენტური ცალი მქონდა. რომ გამოვიდა მაღაზიიდან, მივედი ამ უცნობ ბიჭთან და შევთავაზე ნახევარ ფასად, ოღონდ წიგნი თან არ მქონდა და სახლში უნდა გამომყოლოდა. მეტროთი წამოვედით. გავიცანი ეს ბიჭი - ბუბა კუდავა. ამომყვა სახლში, იყიდა ჩემგან ეს წიგნი, ვანახე ბიბლიოთეკა. მოეწონა წიგნები. ყიდვა მოინდომა. გამეცინა, არ ვყიდი-მეთქი. ვათხოვე 2 რევოლუციამდელი გამოცემა. დავძმაკაცდით. (რომ გავიგონებ, ბიბლიის გაყიდვა არ შეიძლებაო, იმას ვფიქრობ, რომ ვიცოდე, ის გაყიდვა კვლავ ისეთ მეგობარს შემადენინებს, როგორც ბუბაა, ისევ ვიყიდი და 20 კაპიკად გავყიდი-მეთქი).

ბუბა მაშინ დარბოდა ჟურნალ „არტანუჯის“ დაფუძნებაზე. შემეყვანა სარედაქციო ჯგუფში და მითხრა: მიხეილ საბინინზე მინდა სტატია და ხომ არ გსურს, დაწერო. დავიწყე მუშაობა და მივედი კონკრეტული წიგნის სანახავად საჯარო ბიბლიოთეკაში. ეს წიგნი იყო ნიკო ნიკოლაძის არქივის აღწერილობა, სადაც საბინინთან დავკვირებული დოკუმენტები იყო აღწერილი. შემდეგ ქართველოლოგიის განყოფილებაში მივედი ნ. ნიკოლაძის არქივის იმ დოკუმენტთა სანახავად. იქ დამხვდა ახალგაზრდა, მოკლე ყვითელ კაბაში გამოპრანჭული ბიბლიოთეკარი, რომელმაც ღიმილით გამომართვა მოთხოვნა და გამომიტანა დოკუმენტები. უცბად ვნახე, ახალი შევუკვეთე, 5 წუთში გამომიტანა ისინიც. სხვა რალაცებიც გამოვიწერე. ერთი სიტყვით, დავტანჯე. სტოიკურად გაუძლო. თან ყოველი მოთხოვნის გადაცემაზე ჩაილაპარაკებდა: ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე. ბოლოს ვეკითხები: ამ კარადაში რა წიგნებია-მეთქი. ილია ჭავჭავაძის პირადი




ნანა ხვედელიანი

ბიბლიოთეკის წიგნები აღმოჩნდა. დავინტერესდები. გამომიტანა და მაჩუქა ამ ბიბლიოთეკის კატალოგის მეორე გამოცემა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იფიქრა, ეს აბეზარი მკითხველი მოვიშორეო. ეს იყო 29 დეკემბერი 1995 წლისა. მეორე დღეს საახალწლო სანიტარული დღე იყო. გამაფრთხილა: არ ვმუშაობთო. 4-მდე ვისვენებთო. სულ კარგად ბრძანდებოდეთო. რა იცოდა, რომ 4 იანვარს დამინახავდა, რა იცოდა, რომ ეს კატალოგი მე აღმოჩენამდე მიმიყვანდა, აღმოჩენამდე, რომლის განხორციელებამ გამაცნო ჯერ საჯარო ბიბლიოთეკა, შემდეგ საბიბლიოთეკო საქმე, შემდეგ კი წიგნის სამყარო, რომელშიც ვცხოვრობ.

**ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგზე**

წინა მოგონება დავასრულე იმ ამბით, რომ საჯარო ბიბლიოთეკაში საბინის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად მისულმა მკითხველმა ლევან თაქთაქიშვილმა 1993 წლის 29 დეკემბერს წამოვიღე ქართველოლოგიის განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარის, ნანა ხვედელიანის ნაჩუქარი ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგის მეორე გამოცემა, შედგენილი 1987 წელს ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტების, ეთერ იმნაძისა და გიული რამიშვილის მიერ.



ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი

სახლში მოსვლის შემდეგ ვიკახშმე და დავიწყე ამ კატალოგის შესწავლა. წინასიტყვაობაში შემდგენლები წერდნენ, რომ მათ ახალი გამოცემისათვის დაუმატებიათ ბიბლიოთეკის საერთო ფონდებში გაფანტული და მათ მიერ მოკვლეული გამოცემები. ასევე აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად ამისა, ფონდებში კვლავ უნდა ყოფილიყო მოუძებნელი გამოცემები. რადგან შემდგენლებმა ილია ჭავჭავაძისეული ქართული გამოცემების ამოკრება მკვლევარ ლევან ჭილაშვილის მიერ მოძიებული მწერლის ბიბლიოთეკის ქართული გამოცემების ხელნაწერი ძველი კატალოგის მიხედვით შეძლეს, უცხოური გამოცემების კატალოგი კი მიუკვლეველი იყო და სავარაუდოდ, ეს უცხოური გამოცემები ბიბლიოთეკის ფონდებში უნდა ყოფილიყო გაბნეული.

დავიწყე ოცნება, რომ მომეძებნა ეს გამოცემები. მე მაშინ საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებს არ ვიცნობდი, ამიტომ მარტივი გზა ავირჩიე. ავიღე გურამ შარაძის წიგნი - ილია ჭავჭავაძე, ტ. 2. 1990 წ. იქ ვნახე თავი: ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა. ბატონი გურამიც ასევე ეჭვის ქვეშ აყენებდა ილიას ბიბლიოთეკის ამ კატალოგის სისრულეს. მაგალითიც მოყავდა: ფოტოზე კარადაში ჩანდა, რომ ილიას ბროკგაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის 86 ტომი ჰქონდა, რაც დასახელებულ კატალოგში არ ასახულა. დავაკვირდი ფოტოს და ენციკლოპედიის გვერდით გელმოლტის „История человечества“-ს 8 ტომი ამოვიცანი, „Вся природа“-ს ტომებიც, რომლებიც ასევე არაა კატალოგში. ბატონი გურამი იმასაც წერდა, რომ ილიას ბიბლიოთეკა მისი სიკვდილის შემდეგ, უახლოეს დღეებში ერმაკოვს გადააღებინეს და ამ ფოტოების ნეგატივები ხელოვნების მუზეუმში ინახებო. ახალი წლის დღეებში სულ იმას ვფიქრობდი, დროზე გასულიყო უქმეები. 3 იანვარს მივადექი ხელოვნების მუზეუმს. შევედი დირექტორთან. გამიშვეს ქალბატონ ეთერ ბაიბუხაშვილთან. გავიცანი და ვთხოვე, ეჩვენებინა ილიას კაბინეტის ფოტოების ნეგატივები. ქალი გაფითრდა. რად გინდაო? ავუხსენი. მითრიალდა და სამი ნეგატივიდან ერთი გამომიტანა. ორი არ იყო. აღმოჩნდა, რომ ლაბორატორიის ღვანლმოსილ ხელმძღვანელს, გილგენდორფს, 2 წელია წაღებული ჰქონდა სახლში. მუზეუმში გათბობა რაკი არ იყო, ეს ადამიანი არ მოდიოდა სამსახურში, ფილტვების ანთების ეშინოდა. ქალბატონი ეთერი ფიქრობდა,



რომ ნეგატივები შეიძლება დაკარგულიყო, ამიტომ შემომთავაზა, რომ ეს საკითხი დირექტორთან დამეყენებინა. კვლავ დირექტორთან მივედი. მან ერთ კვირაში დამიბარა. მეორე დღეს ბიბლიოთეკაში მივედი, ვნახე ნანა ხვედელიანი. ქართველოლოგიის გოგოები საცავში სუფრა გაუნყვიათ და ქეიფობდნენ. ნანამ მთხოვა, მეორე დღეს მივსულიყავი.

ჩავედი პირველ სართულზე. შემხვდა სერგო პულუზაშვილი. ვეუბნები, რომ ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის გამოცემები საერთო საცავში შეიძლება მოიძებნოს მეთქი. დაიცაო, გუშინ გაზეთის გაკეთება გინდოდა, დღეს ილია ჭავჭავაძის წიგნების მოძიება დაიწყეო? გელმოლტის „История человечества“-ს ყველა ეგზემპლარი ამოიტანეთ საცავიდან და 8 ილიას ბიბლიოთეკის ეგზემპლარი შეგემატებათ მეთქი. გადადი პირველ კორპუსში და გამოწერეო. გადავედი, მოვინახე კატალოგში და 8-ტომეულის ყველა ტომის ყველა ეგზემპლარი გამოვწერე. ჩავაბარე დარბაზში. ველოდე. ამომივიდა თითო ტომის ერთი ეგზემპლარი. დავათვალიერე და ილიას ცალები არ აღმოჩნდა (უნდა ჰქონოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის საინვენტარო ნომრები და ბეჭედი). მოვიკითხე დანარჩენი ეგზემპლარები. ეს წაიკითხეო? - მეკითხება დარბაზში მომსახურე. კი-მეთქი. 5 წუთშიო? კი-მეთქი. ვეძებ ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ეგზემპლარებს და ესენი არაა-მეთქი. იგივე გამოცემის სხვა ცალები მინდა მეთქი. კაიო. ველოდე ნახევარი საათი. მივედი და იმავეს მაძლევენ. ეს ვნახე-მეთქი. ისინიც ასეთები იქნებაო. მომეცით ისინი-მეთქი. ასეთია ისინიცო. ამინა ხმა ბიბლიოთეკარმა, ხნიერმა ქალმა. ა, მატყუებთ მეთქი? მოვიდა დარბაზის გამგე. ვთხოვე კვლავ. ნახევარ საათში


მოდიო. მივედი. შვიდთვიანი ხარო? დიახ-მეთქი. (მართლა შვიდთვიანი ვარ). უზრდელი ხარო. ჯერ არააო ამოსული. თავს ვიკავებ. ბოლოს მომიტანეს ყველა, რაც გამოვწერე. არ აღმოჩნდა. ახლავინ არის მატყუარაო, აბა, ვინაა თქვენი შვიდთვიანიო. აი, მაგ ბილეთს რომ ჩამოგართმევთ, მაშინ გაიგებ, სად ხარო. აბა, წამობრძანდი ჩემს უფროსთანო. წამიყვანეს ლეილა ზამბახიძესთან.

ქალბატონმა ლეილამ დაურეკა პულუზაშვილს, თან ამ დარბაზის გააფთრებულ გამგეს ანიშნა, დავეტოვებინე. კედლიდან მიყურებდა ვლადიმერ მაიაკოვსკი ბაშმაკებით და ვაჟა-ფშაველა. მივხვდი, რომ ეს ქალი გემოვნებიანი იქნებოდა. დაჯდომა შემომთავაზა. მდივანმა განერვიულებულს ჩაი შემომიტანა. დავლიე ისე, რომ შაქრის ჩაყრა დამავინწყდა. პულუზაშვილმა მკითხა, თურით შეეძლო დახმარება? მე ავუხსენი, რომ კატალოგი არასრული იყო და აუცილებლად იქნებოდა ისეთი წიგნები, რომლებიც კატალოგში არ იყო შეტანილი. გელმოლტის ყველა გამოცემა დარბაზში მქონდა გამოტანილი. ვთხოვე, რომ საცავში შესვლის უფლება მოეცა. ვარწმუნებდი, რომ შევძლებდი ილიას ბიბლიოთეკის ამ გამოცემის სხვა ცალების პოვნას. ერთმანეთს შეხედეს. ნამდვილად არანორმალური ვეგონე ორივეს. რომელ სართულს გაივლითო? მე არც კი წარმომედგინა, რას ვთხოვლობდი. წამიყვანა პულუზაშვილმა საცავში და ჩამაბარა იქაურ ქალებს. რაღაც სისულელეს თხოვლობს, გაატარეთ საცავში, დაათვალიერებინეთო. ერთი ღვთისწიერი გოგონა იყო, დღეს ჩემი ძვირფასი თანამშრომელია მ ა ნ ა ა ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. იქაც საახალწლო სუფრა იყო გაშლილი. გოგობო, ეხლავე დავათვალიერებინებ, გავუშვებ და მოვალო. წამიყვანა და მკითხა, თუ რას ვეძებდი. აღწერილობა გავუნოდე: იქვე ჩემი გამონერილი ნომრები ეწერა. დახედა და მითხრა, რომ ყველა ეს ნომერი მეოთხე ფორმატში იყო. შემდეგ წამიყვანა, ამიყვანა ლიფტით და შემიყვანა უზარმაზარი საცავის ერთ სართულზე. მე ამხელა საცავი ცხოვრებაში არ მენახა. გამიკვირდა. დავიბენი. გავიარე და არ თავდება. ვიცოდი, რომ მეორედ არ გამატარებდნენ. ჩავედი ბოლომდე. ვერ დავინახე გელმოლტის ტომების ლამაზი ყუები. ასე ვერ იპოვნო - გადამიწურა იმედი მანანამ. გამოვდივარ შერცხვენილი და გულგატეხილი და... დავინახე! ტომები ერთად ბრწყინავენ თაროზე.



მანანა ოთინაშვილი

გადმოვიღე და ილიას ცალებია. აი! ხომ ვიპოვნე მეთქი. გაუხარდა თანამშრომელსაც. დაიტოვა წიგნები და შემპირდა, რომ მეორე დღეს წიგნები დარბაზში დამხვდებოდა.



ილია ჭავჭავაძის წიგნის კარადები

არაჩვეულებრივ განწყობაზე ვიყავი. ეს იყო დღე, როცა მივხვდი, რომ მე შემეძლო მეპოვნა ის, რაც საჯარო ბიბლიოთეკაში 1945 წლის შემდეგ ვერ იპოვნეს, თან ვერ იპოვნა პავლე ინგოროყვამ, თამარ მაჭავარიანმა... მთელი დამე აუტირებული ვიყავი. ველოდი მეორე დღეს. დილას ერთი სული მქონდა, შევსულიყავი ქართველოლოგიის სამკითხველო დარბაზში, გადმომელო ჩემთვის გადადებული ეს ტომები და მოვფერებოდი. ასეც გავაკეთე. გავაცანი ჩემი აღმოჩენა ნანა ხვედელიანს და მან გამაცნო ქალბატონი ეთერ იმნაძე. ეთერ იმნაძემ, ერთი შეხედვით, მშვიდად მიიღო ჩემი აღმოჩენა. მე ჩავთვალე, რომ არ გაუხარდა. მაგრამ შემდგომ აღმოჩნდა, რომ ამ ქალბატონმა უდიდესი როლი ითამაშა ჩემს ბიბლიოთეკაში დამკვიდრებაში, ბიბლიოთეკარად ჩამოყალიბებაში და, საერთოდ, დამანახა, რომ ყოველი აღმოჩენა მოითხოვს ანალიზს, ღრმა ანალიზს, რომელიც შემდგომი მიღწევების საფუძველია. ქალბატონმა ეთერმა ჩემი ნაპოვნი ტომების ძველი საინვენტარო ნომრები შეადარა თავის დადგენილ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილ საინვენტარო ნომრების ჩარჩოს და დაადასტურა, რომ ილიას ცალები იყო. მადლობა გადამიხადა და დამემშვიდობა. მეც წამოვედი.

იმავე დღეს მივედი ხელოვნების მუზეუმში. ბაიბუხაშვილი გახარებული იყო - მისულან გილ-

გენდორფთან და ნეგატივები წამოუღიათ. დავაბეჭდინე ფოტოები. ბრწყინვალე ხარისხი. მთელი კარადების იდენტიფიკაცია შეიძლებოდა. სხვათა შორის, გილგენდორფი მალე გარდაიცვალა და ქალბატონი ეთერ ბაიბუხაშვილი სულ მეუბნებოდა, შენ რომ არ მოსულიყავი, ეს ნეგატივები შეიძლება დაკარგულიყო. ძალიან ვუყვარდი და მანებივრებდა შემდგომ. მისი კაბინეტი იყო ჩემი ერთ-ერთი საინტერესო ადგილი. ალბომები, ფოტოები, ყავა და საუბრები ძველ ამბებზე. გამაცნო საუკეთესო სპეციალისტები - ეთერ ალექსანდრია და კიდევ მუზეუმის ბიბლიოთეკის სხვა ქალბატონები, ბატონი გურამ აბრამიშვილი.

### **ფერიდეს ბიჭი**

დავინყე მუშაობა სტამბაში. მინდოდა, დამევიწყებინა ყველაფერი, რაც ბიბლიოთეკასთან იყო დაკავშირებული. ჩავთვალე, რომ აქ ჩემი აზრები არავის აინტერესებდა. ერთ მშვენიერ დღეს ტელეფონმა დარეკა. მირეკავდა უცნობი პირი და მთავაზობდა ვახტანგ მეექვსის სტამბის „სამოციქულოს“. ეს გამოცემა ადრე ვიყიდე 13 000 კუპონად. მაშინ 4 კილო ხორცის ფული იყო.

მამაჩემმა მთხოვა, საჯარო ბიბლიოთეკაში მიმეტანა და მენახებინა. მე ვიუარე, თუ რატომ, ალბათ ხვდებით. თვითონ მიუტანია, ქართველოლოგიის განყოფილების გამგესთან (კლარა რამიშვილი) უსაუბრია. მასაც ურჩევია, რომ იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში მიეტანა და ფერიდე კვაჭანტირაძისთვის ეჩვენებინა. მამას ვიზიტის დროს ფერიდე არ ყოფილა. მამამ მთხოვა, ფერიდე ნახე და შენი გამოცემა ანახეო. ტვინი გამიხვრიტა, ყოველდღე მახსენებდა. შაბათს დასვენების დღე მქონდა და წავედი. სიმაღლეთლე გითხრათ, ფეხები უკან მრჩებოდა. კვლავ უცნაური კაცის სიტუაციაში ყოფნა მზარავდა. მივედი და არ დამხვდა ფერიდე. ჩემი წარმოდგენით, ფერიდე მოხუცი და მკაცრი გამომეტყველების უნდა ყოფილიყო. იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში ორი ქალბატონი დამხვდა: დალი მაჩაიძე და ქეთევან ბორჩხაძე. გავეცანი. ქალბატონი დალი დაინტერესდა გამოცემით, ვისაუბრეთ. გამომკითხა ჩემი ინტერესები, ვეფხისტყაოსნის კოლექციით „ვიბლატავე“, ქეთი ყავით გამიმასპინძლდა. სითბო ვიგრძენი. დრო უცბად გაიქცა. მეორე შაბათს მივედი. სხვა ორი



ქალბატონი დამხვდა: ია ჩხეიძე და მანანა სამაშვილი. მათაც დავუმეგობრდი. დავდიოდი შაბათობით.




რარიტეტის თანამშრომლებთან

მივედი ერთ შაბათს და დალი მაჩაიძეს მოვუყევი ილიას ეგზემპლარების შესახებ. დაინტერესდა და მირჩია, არ შევჩერებულიყავი და ძებნა გამეგრძელებინა. ამიყვანა დაკომპლექტების განყოფილებაში, სადაც ინახებოდა მთელი ბიბლიოთეკის ფონდების საინვენტარო წიგნები. მე არ ვიცოდი, რომ 1937 წელს ბიბლიოთეკაში შემოსულ წიგნს შემდგომ საინვენტარო ნომერი არ შეცვლია. არც ფონდის საინვენტარო განლაგების ვიცოდი რამე. იქ გავიცანი ქალბატონები თამარ (თამუსია) გოგუა და მარგო ბალანჩივაძე. ხანში იყვნენ მაშინ. 80 წელს მიტანებულნი. მათ გამოვკითხე, რაც შეიძლებოდა გამეგო ფონდების რეგისტრაციაზე. მანახეს საინვენტარო წიგნები, ოღონდ ერთი პირობით: უნდა მემუშავა მათ წინ ან მათი ახალგაზრდა კოლეგების - ბელა ქსოვრელის, ლალი აბესალაშვილის მეთვალყურეობით. ოთახში ყინავდა და ხელები მეყინებოდა, ამიტომ თითებზე ვიჭექე, როცა ვკითხულობდი. ვწერდი იქამდე, სანამ შემეძლო.

დაიწყო ახალი ეტაპი ილიას წიგნების მოძიებისა. შევამჩნიე, რომ 1937 წელს შემოსულ ყოველ წიგნს რაღაც რიცხვი ეწერა შემოსვლის წყაროში. მაშინ კომპიუტერი არ იყო ჩემს განკარგულებაში და არც რაიმე საბუღალტრო პროგრამა. ამიტომ კართოტეკის ბარათებზე ვიწერდი საინვენტარო ნომერს და მის შესაბამის შემოსვლის

წყაროში ჩაწერილ წიგნს. მივანერე ილიას კატალოგში აღწერილ ჩემამდე ნაპოვნ გამოცემებს შესაბამისი შემოსვლის წყაროს ციფრები და დავალაგე ეს გამოცემები ამ ციფრების ზრდადობით. რამდენიმე გამონაკლისის გარდა დალაგდა წერა-კითხვის საინვენტარო ნომრის ზრდის მიხედვით. ე. ი. ეს შემოსვლის წყაროს ციფრები პროპორციულია ძველი საინვენტარო ნომრებისა. ასე რომ, ამ ციფრების მიხედვით შემეძლო შემეკვეთა საცავში ძიების გარეშეც ილიას ბიბლიოთეკის ფონდებში ჩარჩენილი გამოცემები. გავამზადე სია და კვირას შევუკვეთე დარბაზში. ათი ეგზემპლარის მეტი ერთბაშად არ შეიძლება შეკვეთაო. ნაცნობი სიმღერა. ამომიტანეს ათი ცალი - ათივე ილიასია. ვაშა!



ლევან თაქთაქიშვილი და ფერიდე კვაჭანტირაძე

დარბაზში ვზივარ და მგონია, რომ ნიუტონის კანონები აღმოვაჩინე. ზემოთ ავიხედე და წარმოვიდგინე, რომ ვაშლი დამეცემა. ამ განწყობით შევედი ჩემს ახლად გაცნობილ იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში და მოვუყევი დალის მიღწევების შესახებ. შემოდის ამ დროს ქალბატონი ფერიდე - არავითარი სიმკაცრე, არავითარი მოხუცებულობა. ღიმილით გამეცნო. დალის უთქვამს ჩემზე. სალამოს 8 საათამდე ვსაუბრობდით. უამრავი ამბავი გავიხსენეთ წიგნის ისტორიიდან... ამ დღიდან პატრონი გამიჩნდა ბიბლიოთეკაში, მე კი ამ დაწესებულებაში ახალი სახელით მომნათლეს: ფერიდეს ბიჭი!

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. N3, 2021**

## ხელოვნება



### დავით გიგინიძე


ხელოვნების კრიტიკოსი,  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მუსიკას კაცობრიობის ხელოვნების ისტორიაში უდიდესი ადგილი უჭირავს. ვინ მოთვლის იმ კომპოზიტორებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ დარგში და მთელი თავიანთი შემოქმედება მიუძღვნეს ადამიანის მრავალფეროვანი გრძნობების უღამაზესი ჰანგებით ჰარმონიულად გადმოცემას, რაც განსაკუთრებით იგრძნობა კლასიკური მუსიკის უკვდავ დარგში - საოპერო ხელოვნებაში.

მინდა მკითხველთან ერთად ვისაუბრო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ცნობილ კომპოზიტორ გაეტანო დონიცეტის ოპერა „პარია / Il Paria“ -ზე, რომელიც დაწერილია 1829 წელს ნეაპოლის თეატრ „სან კარლოსათვის“. აქამდე დონიცეტის 11 ოპერა ჰქონდა დაწერილი ნეაპოლის სხვადასხვა თეატრისთვის. ეს დონიცეტის შემოქმედების ადრეული პერიოდია. ერთი წლის შემდეგ მილანში დაიდგმება კომპოზიტორისთვის საერთაშორისო წარმატებების მომტანი ოპერა - „ანა ბოლენი“, მოგვიანებით კი იგი წერს იმ ოპერებს, რომლებიც ჩვენი მსმენელისათვის საკმაოდ ცნობილია (სიყვარულის ნექტარი, ლუჩია ლამერმურელი და ა.შ.). ოპერამ, რომლის პირველ წარმოდგენას ესწრებოდა სამეფო ოჯახი, არ დაიმსახურა დიდი მოწონება. მაგრამ, სამართლიანობა ითხოვს აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად არცთუ ურიგო მუსიკისა და საუკეთესო შემსრულებლებისა, გარკვეული ფაქტორების თანხვედრამ

## ქართველი შემსრულებელი დონიცეტის დაწინაურებული ოპერის ჩანაწერში

ხელი არ შეუწყო ოპერის დიდ წარმატებას (მაღალი ფასები ბილეთებზე, ცუდი ამინდი, არაშესატყვისი გამოხმაურება პრესაში და ა.შ.). დონიცეტი ამას განიცდიდა, მაგრამ იმდენად მაღლა აფასებდა მუსიკალურ მასალას, რომ მოგვიანებით „პარიას“ მელოდიები მან გამოიყენა შემდგომ ოპერებში (ანა ბოლენი, ტორკვატო ტასო, ფრანჩესკა დი ფუა). ოპერის უცნაურმა სიუჟეტმა (მოქმედება ვითარდება XVI საუკუნის ინდოეთში) და მოქმედების ფართომასშტაბიანმა ატმოსფერომ ხელი შეუწყო კომპოზიტორს, გაემდიერებინა ორკესტრული პალიტრა და შეეტანა მასში უჩვეულო კონტრაპუნქტული ელემენტები. ლიბრეტო, რომელიც ეყრდნობა კაზიმირ დელავინეს დრამას „Le Paria“ 1821, დანერა დომენიკო ჯილარდონიმ. ოპერის სამი ძირითადი ვოკალური პარტია შეასრულეს იმ დროის უდიდესმა მო-



მღერლებმა: ნეალას, მზის კულტის ქურუმის პარტია - სოპრანო ადელაიდა ტოზიმ, მასში შეყვარებული მხედარმთავარი იდამორეს - ტენორმა ჯოვანი ბატისტა რუბინიმ, იდამორეს მამის, ზარეტეს - ბანმა ლუიჯი ლაბლაშმა.

დონიცეტიმ ფართო შესაძლებლობები მისცა რუბინის ფენომენალურ ხმას - იდამორეს პირველი აქტის არია და კაბალეტა

დახუძნულია ზედა რეგისტრის პასაჟებით, მეტიც - ისინი ჩვეულებრივი გამის ფორმას არ ატარებს - იწყება ქვედა დიაპაზონიდან, უმაღლვე აღწევს დო დიებს და მერე უჩვეულოდ ჩამოედინება ქვემოთ. ასეთი ვოკალური სირთულეების გადალახვა შეეძლო მხოლოდ განსაკუთრებულ ხმას, რაც რუბინის გააჩნდა.

ოპერის სიუჟეტი ასეთია: ბრახმის ტაძარში მზის ამოსვლას ეთაყვანებიან. ტაძრის მზის ქურუმი, ნეალა ყვება შიშის მომგვრელ სიზმარს - რომ ტაძარი შეირყა და იგი აღმოჩნდა გარშემორტყმული მოწინააღმდეგე კასტის წევრი

პარიის („Ah, che un raggio“) რაზმით. ტაძარში მყოფი მრევლი ელოდება მთავარ ქურუმ აკებარესგან ამ სიზმრის ახსნას. აკებარეს მზაკვრული გეგმა მოსდის თავში: იგი აცხადებს რომ ღმერთები ითხოვენ მსხვერპლს უკანასკნელ ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებების საფასურად და იქვე თავის ქალიშვილ ნეალას ხელს სთავაზობს არმიის მეთაურს - იდამორეს, რომელთანაც მას დაპირისპირება აქვს. მიუხედავად საყოველთაო სიხარულისა, ნეალას, რომელიც შეყვარებულია იდამორეში, არ მოსწონს მამის წინადადება, რადგან იცის მამისა და იდამორეს დაპირისპირება („Ah, che un raggio“). ტაძარში შემოსული და მომლოცველი მოხუცი ნეალას ყურადღებას მიიპყრობს - ეს იდამორეს მამა, ზარეტეა, რომელიც ბრაქემების მოწინააღმდეგე კასტას ეკუთვნის („Tergi, o Dio di pietà“). მას შვილთან შეხვედრა აქვს განზრახული („Ah no, che il core“). იდამორე უახლოვდება ტაძარს. იგი იპოვის ნეალას საიდუმლო წერილს, სადაც ნეალა მამის გადაწყვეტილებას უმხელს და მის მიმართ სიყვარულს ადასტურებს („Lontano, io più l'amai“). იდამორე მზად არის გაათავისუფლოს ნეალა („Fin dove sorgono“). ამ დროს მოდის მამა, კიცხავს შვილს, ადანაშაულებს მტრის მხარეზე გადასვლაში, რომ გამარჯვება მოაქვს მათთვის („D'un Akebar la glia?“) და მოთხოვს მათთან კავშირის განწყვეტას. იდამორე მამის ნებას დაჰყვება და დაპირდება გაქცევას მასთან ერთად („Lascero colei che adoro?“). აკებარე გააცნობს იდამორეს თავის გეგმებს ნეალას მიმართ. იგი გაორებულია და როდესაც შეხვდება ნეალას, გაუმხელს, რომ არის მათი მოწინააღმდეგე კასტის - პარია ზარეტეს ვაჟი. მაგრამ ისინი ხომ სიყვარულის პატივსაცემად რელიგიურ დაპირისპირებაზე მაღლა უნდა დადგნენ. ზარეტე მთის გამოქვაბულში კედლის ნახატებს ათვალიერებს, სადაც გამოსახულია აკაბერეს ხელმძღვანელობით უცხოტომელების დასჯა, რომელსაც სასწაულად გადაურჩა ზარეტე („Qui pel glio una madre gridava“). აქ მას ესმის ნეალასა და იდამორეს ქორწინების საზეიმო მზადების ხმა და იგი რწმუნდება, რომ შვილმა უღალატა. სცენაზე გამოჩნდება ბრაქემის ტაძარი. იქ საზეიმო მზადებაა, მაგრამ იდამორე უხასიათოდაა - იგი მამას ვერ შეხვდა. იწყება საქორწინლო ცერემონია. ამ დროს უეცრად შემოჰყავთ შეპყრობილი ზარეტე. იგი კიცხავს რელიგიურ შუღლს, მაგრამ აკებარე ისარგებ-

ლებს ვითარებით და მის დასჯას მოითხოვს. იდამორე გადაეფარება ზარეტეს და გაამხელს, რომ იგი მისი შვილია. აკებარე უკვე ორივეს სიკვდილს ითხოვს. განწირული ნეალა მზად არის გაჰყვებს მეუღლეს ამ მძიმე გზაზე. მაგრამ აკებარე უმოწყალოა - რელიგიური შუღლით შეპყრობილი, იგი ტკბება თავისი ძალაუფლებით. იტალიური საოპერო მუსიკის შესრულების დიდი ტრადიციებით გამოირჩევა ქართული ვოკალური სკოლა, მაგრამ იგი არცთუ ისე ფართოდ არის წარმოდგენილი დასავლური ხმის ჩამწერი სტუდიების მიერ განხორციელებულ ჩანაწერებში. მხოლოდ უკანასკნელმა დეკადებმა მოგვცა ამის საშუალება და აქ კიდევაც გაბრწყინდნენ ისეთი მომღერლები, როგორებიცაა პაატა ბურჭულაძე, ლადო ათანელი, ნინო მაჩაიძე, ანიტა რაჭველიშვილი და სხვები. ახლახან ამ სიას კიდევ ერთი ქართველი - ბარიტონი მიშა ქირია



მიშა ქირია

დაემატა. განსაკუთრებული ის არის, რომ ამ ჯერზე იგი დონიცეტის დავიწყებული ოპერის პირველ ჩანაწერში მთავარი პარტიის შემსრულებლად დაპატიჟეს. აქ ინიციატორად ლონდონური კომპანია Opera Rara გამოვიდა. ეს უნიკალური საოპერო კომპანიაა, რომლის მიზანია დავიწყებული საოპერო მუსიკის ნიმუშების აღორძინება დღევანდელი მსმენელის წინაშე. კომპანია პირველ რიგში ახერხებს ამ ნაწარმოებების პარტიტურების მოძიებას და გასწორებას, შემდეგ დასის შეკრებას და საკონცერტო შესრულების მოწყობას ლონდონში, პარალელურად ხორციელდება ოპერის ჩანაწერი. თავისი დებიუტიდან, 1970 წლიდან დღემდე, კომპანიამ უკვე 60 ოპერა



ჩანერა, იქედან - პაჩინის, მეიერბერის, დონიცეტის, როსინის, მერკადანტეს, ბელინის, ოფენბახის და სხვების. 2019 წლის ივნისის დასაწყისში სირ მარკ ელდერის (Sir Mark Elder), მაშინდელი სამხატვრო დირექტორის ხელმძღვანელობით და დირიჟორობით, განხორციელდა დონიცეტის ოპერა „პარიას“ ჩანანერი (ამ ნაბიჯისკენ მას ნანარმოების „აღმომჩენმა“, მისმა მეგობარმა მუსიკოლოგმა, სამეფო კოლეჯის პროფესორმა - როჯერ პარკერმა უბიძგა). ორი დღის შემდეგ, 8 ივნისს, დასმა უკვე საკონცერტო შესრულება განახორციელა ლონდონის ბარბიკან პოლში. ნეალას პარტია შეასრულა რუსმა სოპრანომ ალბინა შაგიმურადოვამ (Albina Shagimuradova), იდამორეს - ამერიკელმა ტენორმა რენე ბარბერამ (Rene Barbera) და ზარეტეს - ჩვენმა თანამემამულემ, მიშა ქირიამ. ბარბერასთვის და ქირიასთვის ეს იყო დებიუტი Opera Rara-სთან ურთიერთობაში. ჩანანერი გამოვიდა კარგი - ფართო დიაპაზონიანი, ბალანსირებული, ორკესტრის კარგი ჟღერადობით და საკმარისი სირბილით. დირიჟორი მარკ ელდერის ხელნერა არ იყო ჩემთვის ახალი - ამ ჩანანერშიც იგი, ტრადიციულად, დეტალებისადმი ყურადღებიანი იყო და ოდნავ სწრაფი ტემპებით მიყავდა ორკესტრი. უდავოა,

რომ ჩანანერის გმირი - ამჟამად პოპულარული რენე ბარბერა აღმოჩნდა. იგი ჩინებულად გაუმკლავდა პარტიის სირთულეებს. პირველი აქტის არია და კაბალეტა „Fin dove sorgio“, რომელშიც გამოირჩევა ჩელოს ხაზი, დახუნძლულია მაღალი ნოტებით - სი, დო და დო-დიეზი. ეს უკანასკნელი კაბალეტაში რამდენჯერმე მეორდება უცნაური პასაჟებით. ალბინა შაგიმურადოვა ტექნიკურად არ მოისუსტებდა, მაგრამ, რატომღაც, როლთან სრულად შერწყმული არ მომეჩვენება. რაც ეხება ქირიას - მას პირველ აქტში ორი სოლო სცენა აქვს, საიდანაც გამოვყოფდი სწრაფ კაბალეტას „Ah, che un raggio“, სადაც მაღალ ფა დიეზს და სოლს მომღერალი კარგად გაუმკლავდა. თუმცა ქირიას ხმას, რომელიც შეესატყვისება მის ჰაბიტუსს, ტემბრალურად ტრადიციულ ბელ-კანტოს ან სამხრეთოვანი ხავერდოვნება აკლია, მაგრამ ჩანანერში იგი კარგ პარტნიორობას უწევს კოლეგებს, კერძოდ, საინტერესოა დიდ დუეტში ბარბერასთან, პირველი აქტის ბოლოს („D'un Akebar la glia?“). აღვნიშნავდი, რომ ოპერაში ბევრი სასიამოვნო მელოდიურობით აღსავსე არია და დუეტია, ამიტომაც იტალიური ოპერის მოყვარულთ ერთი დაუვიწყარი შეხვედრა ელოდება დონიცეტის უცნობ ოპერასთან.

## 2022 წლის ღირსსახსოვარ დღეთა მცირე კალენდარი

### იანვარი

3 იანვარი - 110 წლის წინ დაიბადა ანდრო თევზაძე (1912-1974), ქართველი პოეტი, ავტორი ცნობილი ლექსისა „თბილისი და ნალვერი“.

4 იანვარი - 170 წლის წინ, 1852 წელს, თბილისში გიორგი ერისთავის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ პირველი ნომერი.

12 იანვარი - 190 წლის წინ, 1832 წელს გამოვიდა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“.

13 იანვარი - 150 წლის წინ დაიბადა ნინო ნაკაშიძე (1872-1963), ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

13 იანვარი - 160 წლის წინ დაიბადა ალექსანდრე ყიფშიძე (ფსევდონიმი ფრონელი) (1862-1916), ქართველი ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე.

27 იანვარი - 310 წლის წინ, 1712 წელს პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

170 წლის წინ დაიბადა გრიგოლ ჩარკვიანი (1852-1922), ქართველი გამომცემელი, წიგნმოვაჭრე, ბიბლიოგრაფი, მესტამბე.

### თებერვალი

5 თებერვალი - 220 წლის წინ დაიბადა მარი ფელისიტე ბროსე (1802-1880), ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი.

19 თებერვალი - 170 წლის წინ დაიბადა ნიკოლოზი (1852 - 1915) - ქართველი მწერალი.

22 თებერვალი - 120 წლის წინ დაიბადა თამარ ღვალაძე (1902 - 1986) - ქართველი მკვლევარი-ბიბლიოგრაფი და პედაგოგი.

### მარტი

5 მარტი - 90 წლის წინ დაიბადა ნოდარ წულეისკირი (1932-2015), მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე.

11 მარტი - 80 წლის წინ დაიბადა ალექსანდრე ბასილაია (1942-2009), ქართველი კომპოზიტორი.

14 მარტი - 120 წლის წინ დაიბადა ირაკლი თოიძე (1902-1985), საქართველოს სახალხო მხატვარი.

25 მარტი - 90 წლის წინ დაიბადა მიხეილ ხერგიანი (1932-1969), ქართველი ალპინისტი.

### აპრილი

3 აპრილი - 160 წლის წინ დაიბადა დავით კარიჭაშვილი (1862-1927), მწერალი, ბიბლიოგრაფი.

5 აპრილი - 210 წლის წინ დაიბადა ვახტანგ ორ-

ბელიანი (1812- 1890), ქართველი რომანტიკოსი პოეტი.

14 აპრილი -100 წლის წინ დაიბადა დავით თორაძე (1922-1983), ქართველი კომპოზიტორი.

18 აპრილი - ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე.

24 აპრილი - 220 წლის წინ დაიბადა ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869), ქართველი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი.

### მაისი

4 მაისი - 240 წლის წინ დაიბადა თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1782-1846), ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

5 მაისი - 160 წლის წინ დაიბადა ნიკო ფიროსმანი (ფიროსმანაშვილი) (1862-1918), მხატვარი.

27 მაისი - 180 წლის წინ დაიბადა გიორგი წერეთელი (1842-1900), ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

28 მაისი - 150 წლის წინ დაიბადა კოტე მარჯანიშვილი (1872-1933), ქართველი რეჟისორი. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

### ივნისი

5 ივნისი -120 წლის წინ დაიბადა ჰუგო ჰუპერტი (1902-1972), ავსტრიელი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი.

### ივლისი

8 ივლისი - 170 წლის წინ დაიბადა არტურ ლაისტი (1852-1927), გერმანელი მწერალი, ქართველოლოგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, „საქართველოს გული“ - ს ავტორი.

11 ივლისი - 90 წლის წინ, 1932 წელს, დაიბადა ტარიელ ჭანტურია, ქართველი პოეტი.

29 ივლისი - 90 წლის წინ, 1932 წელს, დაიბადა ვახტანგ ჯავახაძე - პოეტი და მწერალი.

### აგვისტო

15 აგვისტო - 130 წლის წინ დაიბადა პაოლო იაშვილი (1892-1937), ქართველი პოეტი.

25 აგვისტო - 180 წლის წინ დაიბადა ანასტასია თუმანიშვილი (1842-1932), ჟურნალ „ჭეჭილი“- ს დამაარსებელი.

28 აგვისტო -100 წლის წინ დაიბადა მარიამ ლორთქიფანიძე (1922-2018), ისტორიკოსი, აკადემიკოსი.

### სექტემბერი

8 სექტემბერი - 140 წლის წინ დაიბადა ვარინკა (ბარბარე) მაჭავარიანი-წერეთელი (1882-1919),



სიმღერა „სულიკოს“ ავტორი.

11 სექტემბერი - 160 წლის წინ დაიბადა დავით კლდიაშვილი (1862-1931), ქართველი მწერალი.

12 სექტემბერი - 90 წლის წინათ დაიბადა გურამ თიკანაძე (1932-1963), მთამსვლელი, ფოტოჟურნალისტი.

15 სექტემბერი - 100 წლის წინ დაიბადა გიორგი (გიგლა) ფირცხალავა (1922 - 1983), ქართველი გრაფიკოსი, მოქანდაკე და კარიკატურისტი. საქართველოს სახალხო მხატვარი.

21 სექტემბერი - 150 წლის წინ დაიბადა კონდრატე თათარაშვილი (უიარაღო) (1872-1929), ქართველი მწერალი.

**ოქტომბერი**

28 ოქტომბერი-140 წლის წინ დაიბადა გრიგოლ რობაქიძე (1882 - 1962), ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

**ნოემბერი**

14 ნოემბერი - 100 წლის წინ დაიბადა მურმან ლებანიძე (1922-2002), ქართველი პოეტი.

19 ნოემბერი - 120 წლის წინ დაიბადა დავით გაჩეჩილაძე (1902-1974), ქართველი პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი.

21 ნოემბერი - 170 წლის წინ დაიბადა ბესარიონ ნიჟარაძე, თავისუფალი სვანი (1851- 1919), პუბლიცისტი, ეთნოლოგი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე.

21 ნოემბერი - 160 წლის წინ დაიბადა გიორგი (გიგო) გაბაშვილი (1862-1936), ქართველი მხატვარი.

25 ნოემბერი - 100 წლის წინ დაიბადა ვასო ბაიაძე (1922-1993), ქართველი მწერალი და კრიტიკოსი.

26 ნოემბერი - 170 წლის წინ დაიბადა იონა მეუნარგია (1852-1919), მწერალი, პუბლიცისტი, ქშნკვ საზოგადოების აქტიური წევრი, საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი.

**დეკემბერი**

24 დეკემბერი - 110 წლის წინ დაიბადა არჩილ კერესელიძე (1912-1971), ქართველი კომპოზიტორი.

24 დეკემბერი -170 წლის წინ დაიბადა ივანე როსტომაშვილი (1852-1924), პედაგოგი, ჟურნალისტი.

27 დეკემბერი - 120 წლის წინ დაიბადა სიმონ ჩიქოვანი (1902-1960), ქართველი პოეტი.

14 იანვარი - ქართული თეატრის დღე.

3 მარტი - დედის დღე.

8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე.

21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე.

27 მარტი - თეატრის საერთაშორისო დღე.

2 აპრილი - საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.

6 აპრილი - სპორტის საერთაშორისო დღე.

7 აპრილი - ჯანმრთელობის მსოფლიო დღე.

9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.

9 აპრილი - საქართველოს ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.

12 აპრილი - კოსმონავტიკის დღე.

14 აპრილი - ქართული ენის დღე.

8 მაისი - წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო დღე.

9 მაისი - ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაული.

15 მაისი - შოთა რუსთაველის დღე

26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - ეროვნული დღესასწაული.

31 მაისი - საქართველოს პოლიციის დღე.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

5 ივნისი - გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.

ივლისის პირველი კვირა საქართველოს საზღვაო ფლოტის დღეა.

2 აგვისტო - ილიაობა.

24 აგვისტო - საქართველოს კონსტიტუციის დღე.

1 სექტემბერი - ცოდნის დღე.

21 სექტემბერი - მშვიდობის მსოფლიო დღე.

27 სექტემბერი - ტურიზმის მსოფლიო დღე.

1 ოქტომბერი - მუსიკის საერთაშორისო დღე.

1 ოქტომბერი - ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე.

24 ოქტომბერი - გაერთიანებული ერების საერთაშორისო დღე.

ოქტომბრის ბოლო კვირა - თბილისობა. ძმობის და მეგობრობის დღესასწაული.

10 ნოემბერი - ახალგაზრდობის მსოფლიო დღე.

7 დეკემბერი - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დღე.

10 დეკემბერი - საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის დღე.

**კაენდახი შეადგინა ნაგო ჩაფუნემა.**  
**საქართველოს პაჩდამენგის ეხოვნული ბიბლიოთეკა**



# მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა





